პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 მარტი **პარასკევი** 2012

№ 075 (13681) ფასი 80 თეთრი

# ჩვენთან გუშინ ნულები ენთო




2-3

სახიფათო მომენტი დინამოს კართან

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



# პირველი მხედარი კავკასიიდან მსოფლიოს თასის ფინალში ქართველია!

10




# მარტო რაული რეკორდებშიც ცოდოა




7

## ვალენსიას უპირატესობას მესტალია ჰქვია



ელენე გედევანიშვილი

10

მსოფლიოს ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში

# მეშვიდე ნიცაში

## მეშვიდე ცამდე კი მეორე ცდაა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## პლეი ოფი (1-8 ადგილები)

# ნულები მეკარეთა წყალობით

29.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 4000 მაყურებელი

**ზესტაფონი 0**

**ტორპედო 0**

| ზესტაფონი 4-4-2 | ტორპედო 4-2-3-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | მიგინეიშვილი |
| ლონლაძე | რიგვავა |
| გ. ონიანი | გამეზარდაშვილი |
| საჯაია | კვახაძე |
| ელიავა | გურული |
| გორგიაშვილი | გ.დათუნაიშვილი |
| აფციაური | დილმელაშვილი |
| მენთეშაშვილი | კუხიანიძე |
| შ. გრიგალაშვილი | ვ. ბოლქვაძე |
| დ. მუჯირი | საბანაძე |
| დვალი | გოცირიძე |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| **გ. ჭიაბრიშვილი** | **გ. გეგუჩაძე** |

**ზესტაფონი**

62. მენთეშაშვილი - **შარიქაძე**
69. მუჯირი - **ბაბუნაშვილი**
74. აფციაური - **წინამძღვრიშვილი**

*სათადარიგოები: მამალაძე, რაყამაშვილი, კობახიძე, ბერაია*

**ტორპედო**

59. კუხიანიძე - **ფირცხალავა**
62. დილმელაშვილი - **იოსელიანი**
85. საბანაძე - **ფანცულაია**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, ფეიქრიშვილი, დ. ჯანელიძე.*

გაფრთხილება: დილმელაშვილი (48), მენთეშაშვილი (59), იოსელიანი (77)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

...ДИДТОВЛОБИС — ...დიდთოვლობის გამო გადადებულ მატჩს ამჯერად მშვენიერი ამინდი დაერთო და ზესტაფონის არენაც ბოლომდე გაივსო. მოკლედ, კარგი ფეხბურთის „გასაჩაღებლად" ყველანაირი წინა პირობა იყო შექმნილი. ორივე გუნდმა სამი დღის წინ პრინციპულ მეტოქეებთან რთული მატჩები ჩაატარა, თუმცა მწვრთნელებს შემადგენლობებში ცვლილებები არ განუხორციელებიათ. მხოლოდ „ტორპედოში" იყო ერთი იძულებითი ჩანაცვლება, სიცხიანი **გრიგოლ დოლიძის** ნაცვლად სასტარტოში **ვალერი ბოლქვაძე** გამოჩნდა.

შეხვედრა მასპინძლების აქტიურობით დაიწყო. ზესტაფონელები მოკლე პასებითა და კომბინირებული თამაშით ცდილობდნენ „ტორპედოს" დაცვის გარღვევას. ტრადიციულად ენერგიულად ირჯებოდნენ **ჯაბა დვალი** და **შოთა გრიგალაშვილი**, მათ სწრაფ შეტევებს, განაპირა მცველების ფლანგური იერიშები და **დავით მუჯირის** ძლიერი დარტყმებიც თან ერთვოდა. ტორპედოელები კი ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და კონტრშეტევების იმედად იყვნენ, მაგრამ პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი მხოლოდ ტაიმის შუანელს შექმნეს, როცა **გიორგი კუხიანიძემ** საჯარიმოს მისადგომებიდან არაზუსტად დაარტყა. ზესტაფონელებს კი მატჩის დებიუტშივე შეეძლოთ დაწინაურება. მუჯირმა ერთი შეხებით **თორნიკე აფციაურს** გაუკეთა გადაცემა, რომელმაც კარისკენ ჩააწოდა, თუმცა ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა, კარში წავიდა და ქუთათურები ხარიხამ იხსნა. აფციაურის მორიგ აქტიურობას გრიგალაშვილის სახიფათო დარყტმა მოჰყვა, თუმცა ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. დასამახსოვრებელი იყო დვალის სოლორეიდი და მეკარის ბაქანთან გაკეთებული გამჭოლი გადაცემა, რომელსაც აფციაურმა ვერ მიუსწრო და მცველებმა განმუხტეს მდგომარეობა.

**ომარ მიგინეიშვილის** ბრწყინვალე თამაშს უკვე მიჩვეულები ვართ და ქუთაისელთა გოლკიპერმა გუშინ კიდევ ერთი საუცხოო მატჩი ჩაატარა. მან შეხვედრის მიმდინარეობისას არაერთი რთული ბურთი მოიგერია და საკუთარი გუნდი რამდენჯერმე აშკარა გოლისგანაც იხსნა. პირველ ტაიმში მიგინეიშვილმა **ლონლაძის** ძლიერი დარტყმა გააუვნებლა, შემდეგ კი აკრობატულ ნახტომში მუჯირის ყუმბარისებური საჯარიმოც მოიგერია. შესვენების შემდეგ კი აფციაურს შესანიშნავი სეივით ორი რთული ბურთი აუღო. ზესტაფონელები მეორე ტაიმშიც ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ „ტორპედომაც" გამოასწორა თამაში და რეალური საგოლე მომენტებიც შექმნა. ანგარიშის გახსნა შეეძლო შეტევაში ჩართულ **დავით გამეზარდაშვილს**, რომლისთვისაც მეტოქეთა დამწუხრება უცხო არ არის, თუმცა ამჯერად არ გაუმართლა და საჯარიმოს შემდეგ მისი ახლოდან დარტყმული ბურთი მეკარე **როინ კვასხვაძემ** მოიგერია. ქუთაისელები განსაკუთრებით **გივი იოსელიანის** გამოსვლის შემდეგ გააქტიურდნენ. იგი მარჯვენა ფრთის „ბატონ-პატრონი" გახდა და სტუმართა შეტევები ძირითადად სწორედ ამ ფლანგიდან ვითარდებოდა, თუმცა იოსელიანის რეიდებსა და სახიფათო ჩაწოდებებს შედეგი არ მოჰყოლია. ზემოთ, „ტორპედოს" მეკარის კარგი თამაში აღვნიშნეთ და არანაკლებ საიმედოდ გაისარჯა მისი კოლეგა როინ კვასხვაძეც. მართალია, იგი მიგინეიშვილივით დატვირთული არ ყოფილა, მაგრამ რომ არა კვასხვაძის ბრწყინვალე რეაქცია მატჩის მიწურულს, გიორგი დათუნაიშვილს გოლის გატანა და სტუმართათვის გამარჯვების მოპოვება შეეძლო, თუმცა ზესტაფონელთა მეკარემ ქუთაისელთა ნახევარმცველს დაახლოებით 7-8 მეტრიდან დარტყმული ბურთი აუღო და საკუთარი გუნდი გადაარჩინა. მატჩის ბოლო წუთებმა შედარებით მშვიდად ჩაიარა, ზესტაფონს ცდა არ დაუკლია, გრიგალაშვილმა და გორგიაშვილმა სახიფათო დარტყმებიც განახორციელეს, თუმცა ჩემპიონობისთვის მებრძოლი ზესტაფონელები მხოლოდ ქულას გამორჩნენ.



ფოტო: www.fctorpedo.ge

**მატჩის შემდეგ**

**გია გეგუჩაძე (ტორპედო):** *„მოლოდინისამებრ რთული თამაში გამოვიდა. „ზესტაფონი" ძლიერი გუნდია და სასიხარულოა, რომ ასეთ მოწინააღმდეგესთან გასვლაზე ქულა ავიღეთ. ბიჭებმა თავდადებით ითამაშეს, მართალია, ზესტაფონივით არა, მაგრამ საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა. შედეგი დადებითია."*

**გია ჭიაბრიშვილი (ზესტაფონი):** *„ძალიან რთული მატჩი იყო; „ტორპედო" კარგი გუნდია, ძლიერი მწვრთნელები ჰყავს და სამომავლოდ კიდევ უფრო რთული იქნება მასთან თამაში. ჩვენს ფეხბურთელებს თავდადებას და მონდომებას ვერ დავუკარგავ, მაგრამ მოსაგები მატჩი რომ ყოფილიყო, მოვიგებდით კიდეც. საგოლე მომენტები გვქონდა, მაგრამ მეტოქეც არ იყო უქმად და შეიძლებოდა წაგვეგო კიდეც."*

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

29.03. ფოთი. ფაზისი. 1 500 მაყურებელი

**კოლხეთი 2**

**ბაია 1**

1:0 ბოიომო (16), 1:1 კუტალია (22), 2:1 გ. ქვარცხავა (ს.კ.)

| კოლხეთი 4-4-2 | ბაია 4-5-1 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | სომხიშვილი |
| ფოფხაძე | ზ. ქვარცხავა |
| ბოიომო | გ. ქვარცხავა |
| ლომაშვილი | აფაქიძე |
| გაბუნია | აკობია |
| ქებაძე | ტყემალაძე |
| პ. დათუნაიშვილი | სიხარულია |
| წურწუმია | ლ. ტყეგუჩავა |
| გვალია | ენდელაძე |
| პავლიაშვილი | კუტალია |
| ბ. ტულუში | გაბედავა |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| **დ. მახარაძე** | **გ. ტყეგუჩავა** |

**კოლხეთი**

46. პავლიაშვილი – **გოგონაია**
63. ქებაძე – **ციცხვაია**
78. ტულუში – **ცხადაია**

*სათადარიგოები: ხარშილაძე, ცხვიტარია, გ. კილასონია, ნაბრია*

**ბაია**

59. გაბედავა – **ეხვაია**
63. ზ. ქვარცხავა – **ნ. შონია**
81. ენდელაძე – **ახალაია**

*სათადარიგოები: ჯომიდავა, გამრეკლიძე, აქუბარდია, ზარნაძე*

გაფრთხილება: ტყემალაძე (20), პ. დათუნაიშვილი (45), კუტალია (47), სიხარულია (50), მიქაბერიძე (90)

არბიტრი: ჯ. ხორავა

**პლეი ოფი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 18 | 11 | 5 | 2 | 31 | 14 | 38 |
| 2 | მეტალურგი | 18 | 10 | 2 | 6 | 26 | 21 | 32 |
| 3 | დინამო | 18 | 7 | 6 | 5 | 31 | 24 | 27 |
| 4 | ტორპედო | 17 | 7 | 5 | 5 | 18 | 14 | 26 |
| 5 | ბაია | 18 | 5 | 5 | 8 | 15 | 23 | 20 |
| 6 | კოლხეთი | 18 | 4 | 7 | 7 | 11 | 21 | 19 |
| 7 | დილა | 18 | 4 | 6 | 8 | 17 | 19 | 18 |
| 8 | მერანი | 17 | 4 | 2 | 11 | 15 | 28 | 14 |

**მომდევნო ტური**

**2 აპრილი. ორშაბათი**

დინამო-კოლხეთი
მეტალურგი-ტორპედო
ბაია-ზესტაფონი
დილა-მერანი

# ბავშვები მოდიან, მაგრამ თამაში კაცებმა უნდა მოიგონ

## დილას სამი ქულა ხარიხამ წაართვა

29.03. თბილისი. დინამო არენა. 2000 მაყურებელი

**დინამო 0**

**დილა 0**

| დინამო 4-2-3-1 | დილა 4-2-3-1 |
|---|---|
| ლორია | სკინდერი |
| ტვილდიანი | ალადაშვილი |
| კვეკვესკირი | სალუქვაძე |
| თომაშვილი | ინწკირველი |
| გ.რეხვიაშვილი | მეგრელიშვილი |
| ხმალაძე | კაშია |
| ძარია | ბეჭვაია |
| ჯილაური | გურული |
| კოშკაძე | ხოჯვავა |
| გოგუა | კახელიშვილი |
| ჩისკო | ვანაძე |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი:** |
| **გ.დევდარიანი** | **თ.შალამბერიძე** |

**დინამო**

48. კოშკაძე - **რობერტინიო**
65. გოგუა - **ოდიკაძე**
68. ჯილაური - **პარუნაშვილი**

*სათადარიგოები: სეფიაშვილი, კოტო, პაპავა, ხიზანეიშვილი*

**დილა**

54. ხოჯვავა - **ახალკაცი**
68. კახელიშვილი - **გოგინაშვილი**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ნ.ნოზაძე, კანდელაკი, ბარაბაძე*

გაფრთხილება: კახელიშვილი (41), კაშია (65), ტვილდიანი (72), სალუქვაძე (90)

არბიტრი: ლ.კვარაცხელია

სეზონის მეორე ეტაპზე "დინამო" დაუმარცხებელია, თუმცა გამარჯვება კვლავაც ენატრება – ზედიზედ მეოთხე ფრე ითამაშა. გორის "დილამ" კი მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტი შექმნა და ალბათ უფრო გულნაკლულმა დატოვა "დინამო არენა".



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თავიდანვე ფრთხილი თამაში წავიდა, განსაკუთრებული ჟინი არც ერთ გუნდს არ ეტყობოდა, ნერვიული პირველი წუთების შემდეგ ხან "დილა" აძლიერებდა ოდნავ ბურთზე კონტროლს, ხან კი — "დინამო".

მასპინძელთა ლიდერი **გოგიტა გოგუა** მარცხენა ფლანგიდან ემუქრებოდა "დილას", ერთი-ორჯერ კარგი გარღვევაც გამოუვიდა, თუმცა საქმე საგოლე მომენტამდე არ მისულა.

"დილა" პირველ ტაიმში ვარსკვლავებს ნამდვილად არ წყვეტდა. ახალი მწვრთნელის ხელში სხვანაირად თამაშობდა, **თემურ შალამბერიძემ** რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გაამწესა სასტარტოში, მისი წინამორბედი ნაკლებად რომ ენდობოდა – **შოთა კაშია** და **გიგა ბეჭვაია, რომან გოგინაშვილი** და **რომან ახალკაცი** კი შეცვლაზე ათამაშა.

"დილამ" პირველ ტაიმში თავით იმით დაგვამახსოვრა, რომ **ლაშა სალუქვაძემ კახა ალადაშვილის** ჩაწოდებულზე თავით გაახვია ბურთი ბადეში, თუმცა მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირეს.

ტაიმის შუაწელიდან "დინამო" უფრო მეტხანს ფლობდა ბურთს, საგოლე შანსიც შექმნა – გოგუამ მარცხენა ფლანგზე იჩაუქა, კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი და **ირაკლი ძარიამ** ვარდნაში არაზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, **გიორგი დევდარიანმა** მოედანზე **რობერტინიო** რომ შეუშვა. ბრაზილიელმა "დინამოს" იერიშები უფრო ფხიანი გახადა, მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა "დილას" დაცვას, არაერთი კუთხურიც მოინაგრა, მაგრამ მისი აქტიურობა საგოლედ საკმარისი არ აღმოჩნდა.

მოედნის დატოვებამ მოუწია გოგუას. დევდარიანმა პრესკონფერენციაზე გვითხრა, გოგიტას ამ თამაშამდე ორი დღე სიცხე ჰქონდა და მინდორზე გასვლას თუ შეძლებდა, სათუო იყოო.

55-ე წუთზე "დილამ" გაანიავა შესაძლებლობა – **გიორგი კახელიშვილი** თითქმის პირისპირ დარჩა **გიორგი ლორიასთან** და მხოლოდ კუთხურს გამორჩა.

"დინამომ" **ჩისკოს** მიერ ოციოდე მეტრიდან დარტყმით უპასუხა მეტოქეს – ბურთი ოდნავ გადასცდა ხარიხას. იყო ისეთი ეპიზოდიც, როცა ჩისკო კართან ახლოს აღმოჩნდა და დარტყმა ერთ-ერთმა მცველმა დაუფარა.

სტუმრებს ერთხელაც მიეცათ ჩინებული შანსი – გადმოვარდნილი ბურთი "დინამოს" საჯარიმოში მყოფ ბეჭვაიას მიუვიდა, რომლის ძლიერი დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

83-ე წუთი კი გარდამტეხი უნდა გამომდგარიყო, მაგრამ "დილას" ბოლო მომენტში იღბალმა უმუხთლა – მარჯვენა ფლანგიდან დაწყებული შეტევის შემდეგ ბურთი საპირისპირო ფლანგზე **სანდრო გურულს** მიუვიდა და "დინამო" ხარიხამ იხსნა.

"დილამ" კიდევ ერთი სახიფათო იერიში განახორციელა, რომელიც ბეჭვაიას არაზუსტი მაკრატელათი დასრულდა.

**მატჩის შემდეგ**

**თემურ შალამბერიძე (დილა):** "დინამო"ამ ეტაპზეც კარგი გუნდია და დევდარიანის ხელში დიდი წარმატებების მიღწევა შეუძლია. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, თავიდან ვფრთხილობდით, მერე კი გამოჩნდა, რომ შეტევის საშუალება არსებობს. იმედია, შეტევაში მოვუმატებთ და გუნდის თამაშიც უფრო შემტევი გახდება."

**გიორგი დევდარიანი (დინამო):** "დასანან ქულებს ვკარგავთ, არადა ვცდილობთ, მაქსიმუმი გავიღოთ. გოგუა შევცვალეთ, გიორგი მერებაშვილი და ალვარო გვაკლდნენ, ჩისკომაც ტრავმა მიიღო...ფორვარდი აშკარად გვაკლია, დამამთავრებელ ფაზაში გვიჭირს, ეტყობა, მეც რაღაც დავაკელი გუნდს. ბოლო დროს "დინამოში" ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა და ეს იმაზე მიუთითებს, რომ კარგი თაობა მოდის, მაგრამ ამავე დროს ეს იმაზეც მიანიშნებს, რომ საკადრო პრობლემები გვაქვს."

**დავით თავართქილაძე**

პლეი აუტი (9-16 ადგილები)

# აი, დუბლი 2!

## შევიდა, 2 გაიტანა, გაიმარჯვა

29.03. ოზურგეთი. მეგობრობა. 1000 მაყურებელი

მერცხალი **1**
ჩიხურა **2**

0:1 ლილუაშვილი (75, კვასხვაძის პასით), 1:1 მეგრელაძე (83), 1:2 ლილუაშვილი (89)

| მერცხალი 4-1-4-1 | ჩიხურა 4-2-3-1 |
|---|---|
| გია გოგუა | რ. თევდორაძე |
| ზ. ტულუში | მურველაშვილი |
| ქობულაძე | ქელიძე |
| ხაჩიძე | გუშარაშვილი |
| ზ. ვარდუაშვილი | სალარიძე |
| ხურციძე | ძამსაშვილი |
| ა. ლორია | ზაბახიძე |
| ვაშაკიძე | ნ. კვასხვაძე |
| ტაკიძე | ფიფია |
| კალანდაძე | კირკიტაძე |
| ტყეშელაშვილი | მუმლაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ხ. ჩხატარაშვილი | ს. ფრუიძე |

**მერცხალი**

65. ვაშაკიძე - **მეგრელაძე**
72. ტაკიძე - **ს. ჩიგოგიძე**
76. კალანდაძე - **ბაჯელიძე**

სათადარიგოები: ჩხატარაშვილი, ათუაშვილი, მურუსიძე

**ჩიხურა**

74. ზაბახიძე - **ლილუაშვილი**
90. კირკიტაძე - **ბერიანიძე**

სათადარიგოები: მწყერაშვილი, ლ. ნოზაძე, დეკანოიძე, ჩიკვაიძე, ტუხაშვილი

გაფრთხილება: ხურციძე (14), ქელიძე (53).

არბიტრი: ო. ხეცაძე

გურიაში დაბანაკებულმა „ჩიხურამ" 4 დღეში ოზურგეთის სტადიონზე 2 შეხვედრა ჩაატარა და ორივე გურულ კლუბთან მაქსიმალური შედეგი აჩვენა. საინტერესოა ისიც, რომ **სოსო ფრუიძის** შეგირდებმა ორივეჯერ მოგება დუბლის წყალობით მოახერხეს: წინა შემთხვევაში გოლები წყვილად **დათო კირკიტაძემ** გაიტანა, ამჯერად **ირაკლი ლილუაშვილი** გამოირჩა. ამ უკანასკნელს კი საამისოდ ის 15 წუთი ეყო, რაც მწვრთნელებმა მატჩის ბოლოს მოედანზე შეუშვეს.

არადა, გოლგაუტანელი და უქულო „მერცხალმა" პლეი-აუტში პირველი გოლიც გაიტანა და პირველ ქულასთანაც ძალიან ახლოს იყო. წინა წაგებული მატჩის შემდეგ, **ხარიტონ ჩხატარაშვილმა** შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა, ხოლო მისმა კოლეგამ ზუსტად ის შემადგენლობა გამოიყვანა, რომლითაც წინა ტურში „გურია" დაამარცხა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში სტუმრების უპირატესობით დაიწყო და საწყისი ნახევარი საათის მანძილზე ეს თვალში საცემი გახლდათ, თუმცა მასპინძელთა დაცვა **მიხეილ ქობულაძის** ხელმძღვანელობით უშეცდომოდ ირჯებოდა. ამიტომაც რეალურ ხიფათამდე საქმე არ მიდიოდა. გამოსარჩევი სულ ორიოდ მომენტი იყო — საწყის წუთებში კირკიტაძის დარტყმული „მერცხალის" მეკარემ მოიგერია, ხოლო მე-15 წუთზე, იმავე კირკიტაძის ჩაწოდებულზე **მუმლაძემ** თავი კარგად კი წაჰკრა, მაგრამ მიზანმა ცოტათი უმტყუნა.

სამაგიეროდ, ტაიმის მიწურულს ვითარება რადიკალურად გამოასწორეს ოზურგეთელებმა, მათ თამაში გაათანაბრეს, რასაც სტუმართა მხრიდან შეცდომები და დაულაგებელი შეტევები მოჰყვა. ერთხელ გურულებმა ხიფათიც შექმნეს, მაგრამ **ხურციძის** ჩაწოდების შემდეგ **ხაჩიძემ** თავური დარტყმით ცოტათი ააცილა.

მორიგი რეალური ხიფათიც „მერცხალმა" შექმნა - 55-ე წუთზე „ჩიხურა" აშკარად გადარჩა: ისევ ხურციძის ჩაწოდებულის შემდეგ იმერელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ოზურგეთელებმა ვერ ისარგებლეს. ხიფათი გრძელდებოდა, თუმცა შემდეგ უკვე ლაინსმენმა თამაშგარე დააფიქსირა. იქვე კირკიტაძემ ბოლომდე იბრძოლა, **კვასხვაძეს** კარგი გადაცემაც გაუკეთა, მაგრამ ნიკას თავური ხარიხას მოხვდა.

გურულთა თავკაცმა იგრძნო რა, მოგებაზეც შეიძლებოდა ფიქრი, მოედანზე **გიორგი მეგრელაძე** შეუშვა. ვეტერანმა იმედები გაამართლა: 83-ე წუთზე, „ჩიხურას" მეკარის უხეში შეცდომის შემდეგ საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, **სერგო ჩიგოგიძემ** მისი გამოყენება ვერ შეძლო, თუმცა მეგრელაძემ შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.

თუმცა უფრო იღბლიანი სოსო ფრუიძის მიერ გაკეთებული შეცვლა გამოდგა — ირაკლი ლილუაშვილი მინდორზე წუთის შესული თუ იქნებოდა, როცა საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი მიიღო, ბევრიც არ უფიქრია — მისი დარტყმული მეკარისგან შორეულ დაბალ კუთხეში აღმოჩნდა, 1:0.

იგი მატჩის გმირი ბოლოსწინა წუთზე გახდა, ამჯერადაც ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, მცველებისგან დაუცველმა მოტრიალებაც და დარტყმაც მოახერხა — გამოცდილმა **გია გოგუამ** „მერცხალის" მარცხისგან გადარჩენა ვერ შეძლო, 1:2.

**მათე გურული**
ოზურგეთიდან


ირაკლი ლილუაშვილი

29.03. ბათუმი. ადლი. მაყურებელი

ბათუმი **1**
სიონი **1**

**პლეი აუტი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 4 | 0 | 10 |
| 2 | სპარტაკი | 4 | 2 | 1 | 1 | 5 | 4 | 7 |
| 3 | ჩიხურა | 4 | 2 | 1 | 1 | 5 | 4 | 7 |
| 4 | გაგრა | 4 | 1 | 2 | 1 | 5 | 4 | 5 |
| 5 | გურია | 4 | 1 | 2 | 1 | 7 | 8 | 5 |
| 6 | დინამო (ბთ) | 4 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 5 |
| 7 | სიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 6 | 6 | 4 |
| 8 | მერცხალი | 4 | 0 | 0 | 4 | 1 | 6 | 0 |

**მომდევნო ტური**
**2 აპრილი, ორშაბათი**

გაგრა-მერცხალი
სიონი-სპარტაკი
ჩიხურა-ვიტ ჯორჯია
ბათუმი-გურია


ჩისკო დილასთან მატჩში დაშავდა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დინამო

# ჩისკო კლინიკაში

"დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, "დილასთან" გუშინდელი მატჩის მიწურულს **ჩისკომ** გულმკერდის არეში ტკივილი იგრძნო და გამოკვლევებისთვის ლუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს.

31 წლის ესპანელი დედაქალაქელთა ერთ-ერთი ლიდერია. მიმდინარე ჩემპიონატში მან საქართველოს ჩემპიონატში 12 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით "დინამოს" საუკეთესო ბომბარდირია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 17. ელიტრაუნდი. ჩვენი შანსები

# ბოლო ევროპული ვაკანსიისთვის

ხვალ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდის გადამწყვეტ მატჩს ჩაატარებს და თუ გაიმარჯვა, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. თბილისური ელიტრაუნდის ბოლო ტურის ვრცელ წინათქმას "ლელოს" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ, დღეს კი ელიტრაუნდის სხვა ჯგუფებში შექმნილი მდგომარეობა მიმოვიხილოთ.

შვიდი ჯგუფიდან ექვსში ბრძოლა უკვე დასრულდა და შესაბამისად, ხვალ "მიხეილ მესხსა" და "დინამო არენაზე" გასამართავი მატჩები ბოლო იქნება ელიტრაუნდში. ცნობისთვის, ჩვენი ჯგუფი რიგით მესამეა.

**I ჯგუფი:** ჩვენი ჯგუფის მსგავსად, შემადგენლობით აშკარად იმსახურებს "სიკვდილის ჯგუფის" სტატუსს. აქ საფრანგეთი და შვედეთი თავიდანვე წინ გაიჭრნენ და გადამწყვეტი მათი გუშინდელი დაპირისპირება აღმოჩნდა, სადაც ფრანგებს ფრეც ჰყოფნიდათ. მათ 3:1 გაიმარჯვეს და ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. შეგახსენებთ, შვედები პირველ შესარჩევ ეტაპზე ქართველების მეტოქეები იყვნენ და ჩვენს გუნდს 2:0 სძლიეს.

**II ჯგუფი:** პოლონეთმა ფინალური ეტაპის საგზური პირველ ორ შეხვედრაში გამარჯვებით დაიბევა და სულერთი იყო, რას იზამდა ბოლო ტურში. პოლონელთა გარდა, ამ ჯგუფში ჩეხეთის, ბელარუსისა და ლუქსემბურგის ნაკრებები თამაშობდნენ.

**IV ჯგუფი:** ბოლო ტურში პორტუგალიას გერმანიასთან გამარჯვება სჭირდებოდა, მაგრამ 0:0-ს დასჯერდა და ფინალურ ეტაპზე გერმანელები გავიდნენ. მათ გარდა, ამ ჯგუფში ბულგარეთისა და თურქეთის ნაკრებები თამაშობდნენ, რომლებიც, შესაბამისად, მესამე და მეოთხე ადგილებზე გავიდნენ.

**V ჯგუფი:** ჰოლანდიამ და სერბეთმა ბოლო ტურში ერთმანეთთან ფრედ, 1:1 ითამაშეს და ორივემ 7-7 ქულა დააგროვა. ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით ფინალური ეტაპის საგზური ჰოლანდიელებმა მოიპოვეს. ალბანეთი მესამე საფეხურზე გავიდა, ირლანდია – მეოთხეზე.

**VI ჯგუფი:** ელიტრაუნდის ყველაზე დიდი სენსაცია სწორედ აქ მოხდა. მართალია, ისლანდიამ არცთუ დიდი სახელებით დაკომპლექტებულ ჯგუფში გაიმარჯვა, მაგრამ მისი წარმატება მაინც გამოსარჩევია. 7-ქულიანმა ისლანდიელებმა დანიელებს ბურთების შეფარდებით აჯობეს. ჯგუფში მესამე შოტლანდია იყო, მეოთხე – ლიტვა.

**VII ჯგუფი:** ჯგუფის ფავორიტები რუსეთი და ბელგია იყვნენ, მაგრამ უნგრეთმა მათაც აჯობა და უელსსაც. უნგრეთი, ბელგია, რუსეთი, უელსი – ამ თანამიმდევრობით განლაგდნენ გუნდები სატურნირო ცხრილში. უნგრეთმა ასევე 7-ქულიან ბელგიას ბურთების სხვაობით გაასწრო.



კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ ფინალისტები: **საფრანგეთი, პოლონეთი, გერმანია, ჰოლანდია, ისლანდია, უნგრეთი.** იმედია, ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელ საგზურს **ვასილ მაისურაძის** გუნდი მოიპოვებს.

შეგახსენებთ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს 4-16 მაისს სლოვენია უმასპინძლებს და ტურნირის მერვე მონაწილეც, ცხადია, ამ ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრები იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ჩვენი მეტოქე უკრაინის ნაკრები
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლეგიონერები

# გურამ კაშია: საიმედო კატი


გურამ კაშია

ბელარუსულმა ინტერნეტგამოცემა "გოლმა" ევროპის 10 ვუნდერკინდი დაასახელა. მართალია, 24 წლის **გურამ კაშია** ვუნდერკინდებში ვერ მოხვდებოდა, უკვე გასცდა ამ ასაკს, მაგრამ თანაგუნდელთან ერთად ახსენეს: ათეულში მე-7 ადგილზე არნემის "ვიტესში" მისი მეწყვილე **ტომაშ კალაში** აღმოჩნდა.

18 წლის კალაში ჩეხი ვუნდერკინდია, რომელიც ლონდონის "ჩელსიმ" შეისყიდა, მაგრამ **მერაბ ჟორდანიამ** არნემის "ვიტესში" იჯარით გადაიყვანა. არადა, ტომაშის გამზრდელი კლუბის, ოლომოუცის "სიგმას" ხელმძღვანელები ინგლისელებს მცველის კიდევ ერთი წლით დატოვებას სთხოვდნენ.

*"იონ ვან დენ ბრომის გუნდში, ტომაშ კალაშმა და ქართველმა გურამ კაშიამ ცენტრალურ მცველთა საიმედო წყვილი ჩამოაყალიბეს და ძალიან პოზიტიურ შეფასებებს იმსახურებენ. მიუხედავად იმისა, რომ "ვიტესი" ერედივიზიეში ჯერჯერობით მხოლოდ მე-7 ადგილზე იმყოფება, არნემელებზე ნაკლები გოლი მხოლოდ ლიდერმა "ალკმაარმა" გაუშვა"* - წერს ბელარუსული "გოლი".

მართლაც, ერედივიზიეს ცხრილს რომ გადახედოთ, პირველ ექვსეულში მყოფ კლუბებიდან "ვიტესზე" ნაკლები მხოლოდ ლიდერმა "ალკმაარმა" გაუშვა – 25 გოლი. დანარჩენი გრანდების მაჩვენებელსაც გადავხედოთ: პსვ-მ 40 გოლი გაუშვა, "აიაქსმა"—33, "ტვენტემ"—32.

ეტყობა, შემთხვევითი არ არის, "ვიტესის" ქართველი კაპიტნით "ტვენტე" და "ეინდჰოვენი" რომ ინტერესდებოდნენ. საერთოდაც, კაშიას პროგრესი რომ აშკარაა, ამ ფაქტს ყველა ამჩნევს.


ეროვნული ბიბლიოთეკა
ლევან კორღალიძე

# უჟურე, შენ: ლევან კორღალიძე ჩელსის წინააღმდეგ?!.

დიახ, მოლდოველები იმედოვნებენ, რომ მალე კიშინიოვში ლონდონის "ჩელსის" უმასპინძლებენ. საქმე ისაა, რომ მოლდოვური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ცნობილი კლუბი, კიშინიოვის "ზიმბრუ" მალე დაარსებიდან 65 წელს აღნიშნავს. კლუბი 1947 წელს 16 მაისს ჩამოყალიბდა და სახელი რამდენჯერმე შეიცვალა, თავიდან მონათლეს "ბურევესტნიკად", შემდეგ გადააკეთეს "მოლდოვად", "ავანტულად", "დინამოდ", ყველაზე ცნობილი მაინც "ნისტრუს" სახელით გახდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რომ ასპარეზობდა.

კლუბის ამჟამინდელმა მეპატრონემ, ჩეჩენმა ბიზნესმენმა **ადლან შიშხანოვმა** საიუბილეო თარიღის საზეიმოდ აღნიშვნა და გულშემატკივრებისთვის სიურპრიზის გაკეთება გადაწყვიტა; შიშხანოვმა მოლდოვურ მედიასთან დაადასტურა, რომ "ზიმბრუს" იუბილეზე მიწვევა და ამხანაგური მატჩის ჩატარება ლონდონის "ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს** შესთავაზა. მისივე თქმით, სავარაუდოდ, შეხვედრა 16 მაისს ჩატარდება, როდესაც ინგლისში ჩემპიონატი დასრულდება.

ძნელი სათქმელია, იციან, საერთოდ, ლონდონელებმა, რა გუნდია "ზიმბრუ-ნისტრუ" და დათანხმდებიან კი მის მიწვევას? ცოტა საეჭვოა, არ უთხრან, ტოლი ნახეთ, კოჭი გააგორეთო, მაგრამ ჩატარდეს, ჩვენგან რა მიდის? ბოლოს და ბოლოს, იმით მაინც იქნება ჩვენთვის აღსანიშნავი, რომ "ზიმბრუში" ქართველი პლეიმეიკერი, 31 წლის **ლევან კორღალიძე** თამაშობს და კარიერაში ამ დასამახსოვრებელ მატჩსაც ჩაატარებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ნავალოვსკი ხიმკის კაპიტანია

უკვე მეორე წელია, თბილისის "დინამოს", საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების ყოფილი მცველი **გიორგი ნავალოვსკი** მოსკოვის ოლქის "ხიმკიში" თამაშობს. ეს გუნდი რუსეთის ფეხბურთის ნაციონალური ლიგის (ძველებურად პირველი ლიგა) საუკეთესო რვიანში ვერ მოხვდა და ბრძოლას ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად აგრძელებს. "ხიმკი" თავიდან პრემიერლიგაში გადასასვლელად იბრძოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ახლა კი 12 გუნდს შორის მე-4 ადგილზეა და თუ სასწაული არ მოხდა, არ უნდა გავარდეს.

გუნდმა მეორე ეტაპი სეზონი ცუდად დაიწყო: **ოლეგ დოლმატოვის** გაწვრთნილებმა ვორონეჟის "ფაკელთან" 1:3 წააგეს, გიორგიმ კი შეუცვლელად ითამაშა და 5,0 შეფასება დაიმსახურა. მაგრამ ამ ყველაფერში მთავარი ისაა, რომ "ხიმკი" მოედანზე კაპიტნის სამკლავურით სწორედ ნავალოვსკიმ გაიყვანა.

*"თქვენს ყურადღებას მივაქცევთ ოლეგ დოლმატოვის ("ხიმკის" მთავარი მწვრთნელია) საგაზაფხულო სიურპრიზებს. პირველი ის იყო, რომ მისი გუნდი კაპიტნის რანგში მოედანზე გიორგი ნავალოვსკიმ გაიყვანა. არადა, მთელი მოსამზადებელი ეტაპი სამკლავური დარიუს მიცეიკას ეკეთა"* – წერს ინტერნეტგაზეთი "ვანდივიზიონ.რუ".

გიორგი "ხიმკიში" ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგადან" გადავიდა, თავიდანვე მყარად დაიმკვიდრა ადგილი და მწვრთნელთა ხშირი ცვლის მიუხედავად, სათადარიგოთა სკამზე ერთხელაც არ მოხვედრილა. მხოლოდ შარშან მოუხდა დასვენება, როდესაც ერთ-ერთი მეტოქე, ეროვნებით სომეხი მოთამაშე შემოელახა და ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

დოლმატოვი გიორგის ძალიან აფასებს და ამბობს, როდესაც ნავალოვსკი მოედანზე არ არის, ეს "ხიმკის" აშკარად ეტყობა. აქვე მცირე ხნის წინანდელ ამბავსაც მოგითხრობთ, რადგან რუსეთის პირველი ლიგაში ჩვენებურთა სიმწირის გამო, ნავალოვსკი ჩრდილში მოექცა, არადა, ძალიან დასამახსოვრებელი შეხვედრა ჩაუტარებია.

რუსეთის თასის მიმდინარე გათამაშების 1/16-ფინალში "ხიმკი" საკუთარ სტადიონზე პეტერბურგის "ზენიტთან" დაძაბულ ბრძოლაში 2:3 დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა. ერთ-ერთი გოლი სტუმართა მეკარე **იური ჟევნოვს** სწორედ ნავალოვსკიმ გაუტანა – როგორც რუსული მედია იუწყებოდა, მისი შორეული დარტყმა ძალიან ეფექტური გამოდგა.

მაშინ "სპორტს.რუ" წერდა: *"ნავალოვსკი ასწრებდა ყველგან. გოლი ხომ გაიტანა, "ხიმკის" "გატუზომ" ნევისპირელები ფლანგზე ისე აიკლო, რომ სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ დანკო ლაზოვიჩი (სერბეთის ნაკრების მოთამაშე) შეცვალა. გაუგებარია, "ზენიტმა" იტალიელი დომენიკო კრიშიტო 11 მილიონად რატომ იყიდა, როდესაც ბევრად იაფი ვარიანტი რუსეთის პირველ ლიგაში ყოფილა?"*

სავიზო პრობლემებისა და რაც მთავარია, ეროვნულ ნაკრებში იგნორირების გამო, თბილისში, დოლიძეზე გაზრდილი ნავალოვსკი იძულებული გახდა, 2010 წელს რუსეთის მოქალაქეობა მიეღო, თუმცა, ამან არ მოგატყუოთ, გიორგი ისევ საქართველოში დაბრუნებასა და ნაკრებში თამაშზე ფიქრობს.

გასაგებია, რომ ამჟამად ის მაღალი დონის კლუბში არ გამოდის, მაგრამ დღეს ჩვენს ფეხბურთში ხომ მარცხენა მცველების კატასტროფული დეფიციტია; ისიც უცნაურია, რომ ქართულმა კლუბებმა შედარებით "გამოილვიძეს" და გასაძლიერებლად ათას ვარიანტს განიხილავენ, მაგრამ გიორგი არავის გახსენებია. არადა, ვეჭვობთ,რომ 25 წლის ფეხბურთელს რუსეთის პირველ ლიგაში გამოსვლას რომელიმე წამყვან ქართულ კლუბში თამაში არ ერჩივნოს.


გიორგი ნავალოვსკი

გაგრა


უმარ მაგაჯი

# გაგრა და ნიგერიელები

ნიგერიელი თავდამსხმელი **უმარ მაგაჯი** "გაგრაში" ზაფხულში ჩამოიყვანეს. გუნდის იმდროინდელი თავკაცის **ანატოლი პისკოვეცის** დაჟინებული მოთხოვნით მაგაჯი დაიტოვეს, რადგან ნიგერიელში პერსპექტივა შენიშნა.

ახალწვეული სექტემბერში გუნდის განაცხადში მოხვდა და საქართველოს თასზე და ჩემპიონატში სულ რვა შეხვედრა ჩაატარა. თუმცა, ქუთაისის "ტორპედოსთან" შეხვედრაში ჯვარედინი იოგი გაუწყდა და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა.

"გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის, **მიხეილ აფხაზავას** თქმით, მაგაჯის წარმატებით ჩაუტარდა ოპერაცია, რეაბილიტაციის ეტაპი კი 7-8 თვე გაგრძელდება და 19 წლის თავდამსხმელი მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდება მოედანს.

მაგაჯის გარდა, "გაგრაში" კიდევ ორი ნიგერიელი მოთამაშეა: **ჯონი ჯერემია** გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, ახლახან კი ჯერემიას მსგავსად, ბრაიტონის საფეხბურთო აკადემიის გაზრდილი, საყრდენი ნახევარმცველი **ბენჯამინ ტეიდი** ჩამოიყვანეს, რომელსაც 5 მაისს 18 წელი შეუსრულდება და გუნდის განაცხადშიც შეიყვანეს.

გვერდი მოამზადა **მერაბ მამულაშვილი**

● გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ



დორტმუნდის ბორუსიაში დღესდღეობით ყველაზე მეტად შინჯი კაგავა ბრწყინავს

# ლიდერი ინყებს! და იგებს?

## დორტმუნდელებს სიფრთხილე მართებთ: შტუტგარტი კარგ ფორმაშია

**ბორუსია (დ)–შტუტგარტი 22:30**

**პირველ წრეში:** 1:1

**დისკვალიფიკაცია:** კაკაუ (შტუტგარტი)
**ტრავმა:** ფელიპე სანტანა, კოხი, გიოტცე – ბულარუზი, დელპიერი, აუდელი, ოკაზაკი

ბუნდესლიგის პარასკევის მატჩი ამჯერად უაღრესად საინტერესოა, რადგან დღეს ერთპიროვნული ლიდერი დორტმუნდის „ბორუსია“ თამაშობს. გერმანიის ჩემპიონი ევროპალიგის საგზურისთვის მებრძოლ „შტუტგარტს“ მასპინძლობს და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ შვაბები ბოლო დროს საკმაოდ კარგ ფორმაში არიან: **ბრუნო ლაბადიას** გუნდმა ბოლო ხუთ ტურში ოთხი თამაში მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა.

თუმცა შტუტგარტელებს ის ერთი ფრეც წაფორხილებად უნდა ჩაეთვალოთ, რადგან საკუთარ მოედანზე აუტსაიდერ „კაიზერსლაუტერნს“ ვერ მოუგეს (0:0). თუმცა მას მერე ჯერ „ჰოფენჰაიმს“ სძლიეს სტუმრად (2:1), წინა ტურში კი „ნიურნბერგი“ დაამარცხეს (1:0) და ახლა მეშვიდე ადგილზე არიან, რაც ამ სეზონში (გერმანიის თასზე განვითარებული მოვლენების გამო) ევროპალიგის საგზურს იძლევა.

„დორტმუნდი“ კი უფრო უკეთეს ფორმაშია და ჩემპიონობასთან ერთად, ახალ რეკორდებსაც უმიზნებს – **იურგენ კლოპის** სამწყსოს ბუნდესლიგაში 21-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. „ბორუსიადან“ საუკეთესო ფორმაში იაპონელი გამთამაშებელი **შინჯი კაგავაა**, რომელმაც წელს უკვე შვიდი გოლის გატანა მოასწრო, რაც მის გარდა გერმანიაში მხოლოდ ისეთმა გოლეადორებმა მოახერხეს, როგორებიც არიან **კლაას-იან ჰუნტელაარი** (შალკე) და **მარიო გომესი** (ბაიერნი).

„შტუტგარტს“ **კაკაუ** ჰყავს დისკვალიფიცირებული. სამაგიეროდ, ლაბადიას დისკვალიფიკაციამოხდილი **ვედად იბიშევიჩი** უბრუნდება. სხვა მხრივ, შვაბებისთვის დღევანდელ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმის გამო აქვს, რომ „შტუტგარტი“ ამ უქმეებზე დაარსებიდან ასწლიან იუბილეს აღნიშნავს: ეს კლუბი 1912 წლის 2 აპრილს შეიქმნა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ***1. ბორუსია (დ)*** | ***27*** | ***19*** | ***5*** | ***3*** | ***59-17*** | ***62*** |
| 2. ბაიერნი | 27 | 18 | 3 | 6 | 66-18 | 57 |
| 3. შალკე | 27 | 17 | 2 | 8 | 60-34 | 53 |
| 4. ბორუსია (მ) | 27 | 15 | 6 | 6 | 40-18 | 51 |
| 5. ლევერკუზენი | 27 | 11 | 7 | 9 | 39-36 | 40 |
| 6. ვერდერი | 27 | 11 | 7 | 9 | 41-40 | 40 |
| ***7. შტუტგარტი*** | ***27*** | ***11*** | ***6*** | ***10*** | ***44-34*** | ***39*** |
| 8. ჰანოვერი | 27 | 9 | 11 | 7 | 35-38 | 38 |
| 9. ვოლფსბურგი | 27 | 11 | 4 | 12 | 36-48 | 37 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 27 | 8 | 9 | 10 | 31-38 | 33 |
| 11. ნიურნბერგი | 27 | 9 | 4 | 14 | 25-38 | 31 |
| 12. მაინცი | 27 | 7 | 9 | 11 | 39-44 | 30 |
| 13. ფრაიბურგი | 27 | 7 | 7 | 13 | 35-53 | 28 |
| 14. კიოლნი | 27 | 8 | 4 | 15 | 34-56 | 28 |
| 15. აუგსბურგი | 27 | 5 | 12 | 10 | 28-41 | 27 |
| 16. ჰამბურგი | 27 | 6 | 9 | 12 | 31-50 | 27 |
| 17. ჰერტა | 27 | 6 | 8 | 13 | 29-48 | 26 |
| 18. კაიზერსლ. | 27 | 3 | 11 | 13 | 17-38 | 20 |

**ბომბარდირები:** 23 – გომესი (ბაიერნი); 22 – ჰუნტელაარი (შალკე); 17 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 16 – პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 15 – როისი (ბორუსია /მ/); 14 – ჰარნიკი (შტუტგარტი); 12 – რაული (შალკე).

**გოტფრიდ ლენცი**

● ვერდერი

# კლაუდიო პისარო კონტრაქტს წყვეტს!

## ...და ზაფხულში ბრემენიდან უფასოდ წასვლა შეუძლია

33 წლის პერუელმა თავდამსხმელმა **კლაუდიო პისარომ** „ვერდერის“ ხელმძღვანელებს შეატყობინა, რომ ხელშეკრულებაში ჩადებულ პუნქტს გამოიყენებს და ზაფხულში ბრემენულ კლუბთან კონტრაქტს გაწყვეტს – ეს ინფორმაცია გუშინ „შპორტ ბილდმა“ გაავრცელა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ პისაროს სეზონის დასრულების შემდეგ სხვა გუნდში გადასვლა უფასოდ შეუძლია. დიდი შანსია, რომ კლაუდიომ მიუნხენის „ბაიერნში“ ამოყოს თავი – როგორც იცით, ბავარიელები მას ორწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. აღსანიშნავია, რომ პისაროს ინგლისური კლუბი „ქუინზ პარკ რეინჯერსიც“ ეპატიჟება.

თუმცა „ვერდერთან“ კონტრაქტის გაწყვეტა ავტომატურად მის წასვლას არ მოასწავებს, რადგან პისაროს ეს რომ არ ექნება, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდებოდა – ასე კი, შეუძლია, ბრემენულ კლუბს უფრო მეტი ხელფასი მოსთხოვოს, ვიდრე კონტრაქტის ავტომატურად გახანგრძლივების შემთხვევაში დაენიშნებოდა. რომ წავიდეს, ეს „ვერდერისთვის“ სერიოზული დარტყმა იქნება, რადგან „მუსიკოსები“ საუკეთესო გოლეადორს (16 გოლი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში) დაკარგავენ. ზოგადად, პისარო ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე შედეგიანი ლეგიონერია (158 გოლი).

**გოტფრიდ ლენცი**



კლაუდიო პისაროს მიუნხენში ეპატიჟებიან

● ინტერვიუ. კარლო ანჩელოტი

# მიზანი არ იცვლება


კარლო ანჩელოტი უკანდახევას არ აპირებს

**“ბორდოსთან” მატჩის დასრულების შემდეგ “პარი სენ-ჟერმენის” მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი თავისი შეგირდების გარჯით ძალიან უკმაყოფილი იყო. საფრანგეთის ჩემპიონატში ახლა უცნაური მდგომარეობაა. ჩემპიონობისთვის იბრძვიან გუნდები, რომელთაგან ერთს არასოდეს ჰქონია მსგავსი პატივი (მონპელიე), მეორემ კი ოქროს მედლები ბოლოს 1994 წელს მოიგო. მთავარი ახლა ის არის, ვის უმტყუნებს ნერვები. კარლიტო სწორედ ამ თემებზე საუბრობს.**

**- “ბორდოსთან” ქულის უკმაყოფილო იქნებით.**

- ბუნებრივია, ვერ ვიქნები კმაყოფილი, რადგან მოსაგებად ვიბრძოდით. ახლა ის პერიოდი არ არის, როცა შინ ქულის დაკარგვა გვეპატიება. გოლზეც არ გვქონდა შესაბამისი რეაქცია, არადა საჭირო იყო და ველოდი კიდეც, რომ ასე იქნებოდა. ძალიან დიდ დროს ვკარგავთ ბურთის მოპოვებასა და გათამაშებაში. ამასთან, მეტოქეზე მეტი ზეწოლაა საჭირო. ამ შეხვედრაში დაცვაშიც ბევრი შეცდომა დავუშვით.

**- იმსახურებდა კი თქვენი გუნდი მეტს?**

- არა, შედეგი ლოგიკურია. შანსი ჩვენც გვქონდა და “ბორდოსაც”. დიდი პრობლემები გვქონდა ფლანგებზე. თუმცა წინდაწინ ვიცოდით, რომ მეტოქე შეეცდებოდა მათ გამოყენებას.

**- მენეზი რატომ გამოცვალეთ პირველი ტაიმის შემდეგ?**

- მან მსუბუქი დაზიანება მიიღო, თუმცა მისი შეცვლა ტაქტიკურ ცვლილებასთანაც იყო დაკავშირებული. მე კიდევ ერთი სუფთა ნახევარმცველი მჭირდებოდა მოედანზე.

**- “მონპელიე” ბურთების ბალანსის წყალობით ისევ პირველია. ხომ არ ნერვიულობთ?**

- სიმშვიდის შენარჩუნება გვჭირდება. მიზანი არ შეცვლილა – ჩვენ კონკურენტზე მეტი ქულა უნდა ავიღოთ სეზონის ბოლომდე. წელს ჩემპიონატში ჯერაც არ წაგვიგია და აქამდე ლიდერებში ვართ. მომდევნო თამაშში ბევრად უფრო დამაჯერებლად უნდა ვითამაშოთ. პლუს, მეტი სათამაშო დისციპლინაც გვჭირდება. ეს ფაქტორი განაკუთრებით მნიშვნელოვანია და ის “ბორდოსთან” ნამდვილად არ გვყოფნიდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები

## კოლოჩინი ერთი თვე დაისვენებს

“ნიუკასლის” 30 წლის არგენტინელმა ცენტრალურმა მცველმა **ფაბრისიო კოლოჩინიმ** “ვესტ ბრომვიჩთან” შეხვედრაში მუხლის ტრავმა მიიღო და ექიმების პროგნოზით, ვარჯიშს აპრილის შუა რიცხვებამდე ვერ განაახლებს. ფეხბურთელს მინიმუმ 5 თამაშის გამოტოვება მოუხდება და, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი დაპირისპირების როგორიცაა 1 აპრილს “ლივერპულთან”.

## ასტონ ვილამ საქმე გადადო

“ასტონ ვილას” ხელმძღვანელობის განცხადებით, ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ კლუბმა პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება ვერ მოახერხოს, ამიტომ წამყვან ფეხბურთელებთან ახალი ხელშეკრულებების გაფორმება დროებით შეჩერებულია. პრემიერლიგის დასრულებამდე 8 ტურია დარჩენილი, “ვილას” კი გასავარდნ ზონას 8 ქულა აშორებს. დაგვეთანხმებით, რომ შანსი ნაკლებია, მაგრამ ის მაინც არსებობს. მით უფრო, რომ გუნდს ამჟამად ტრავმირებულ ფეხბურთელთა მთელი არმია ჰყავს. მათ შორის **კირან კლარკი, ჯერმეინ ჯენასი, დარენ ბენტი, ფაბიან დელფი, შარლ ნ’ზოგბია** და **რიჩარდ დანი**. როგორც კი საფრთხე ჩაივლის, კლუბი უმალ განაახლებს მოლაპარაკებებს **ემილ ჰესკისთან, კარლოს კუელიართან** და **ბრედ გუზანთან**.

## ნანი ჯერ კიდევ ავადაა

უქმეებზე **ნანის** ვერ ითამაშებს. “მანჩესტერ იუნაიტედის” 25 წლის ვარსკვლავის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია და პორტუგალიელი “ბლექბერნთან” მოედანზე ვერ გავა. ინფორმაცია მასმედიას **ალექს ფერგიუსონმა** მიაწოდა. აღნიშნულთან ერთად შოტლანდიელმა საყურადღებო განცხადებაც გააკეთა, რომ ის “ფულჰემთან” მომგები შემადგენლობის გამოცვლას არ აპირებს, რაც მისგან ცოტა უცნაურია, რადგან ცნობილია, რომ სერ ალექსს როტაცია ძალიან უყვარს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● რეინჯერსი

# პირველი მსხვერპლი

“რეინჯერსის” დროებითი ადმინისტრაციის მიერ კლუბის პოტენციურ მყიდველთა წინადადებების განხილვა რამდენიმე დღეა, დაიწყო და ამ პროცესს პირველი “მსხვერპლი” უკვე მოჰყვა. ლაპარაკია სარაგბო კლუბ “სეილ შარქსის” მესაკუთრე **ბრაიან კენედიზე**. “დაფ ენდ ფელპსის” წარმომადგენელთა თქმით, ინგლისელის წინადადება შეუსაბამო იყო. ვერ გეტყვით, არის თუ არა ეს დაკავშირებული თავად კენედის მწვავე განცხადებებთან, რომელმაც ადმინისტრატორებს საქმის გაჭიანურებაში დასდო ბრალი, განაცხადა რა, რომ “რეინჯერსის” ინტერესებიდან გამომდინარე უკეთესი იქნებოდა, თუკი **პოლ კლარკი** (“დაფ ენდ ფელპსის” წარმომადგენელი კლუბში) და მისი ხელქვეითები პროცესს მაქსიმალურად სწრაფად წარმართავდნენ. მას შემდეგ, რაც გამოცხადდა კენედის ბრძოლიდან ჩამოცილების შესახებ, ბიზნესმენის პრესსამსახურმა ორაზროვანი განცხადება გააკეთა, იმედგაცრუებულები ვართ, მაგრამ არა გაკვირვებულიო. ამ ეტაპზე რაიმე მინიშნება, რომ ის გაუმჯობესებულ წინადადებას წარმოადგენს და “პროტესტანტების” ხელში ჩასაგდებად იბრძოლებს, არ ჩანს. მოგვიანებით “სქაი ნიუზისთვის” მოკლე კომენტარი გააკეთა თავად კენედიმაც: *“მოხარული ვარ, რომ პროცესი დაიძრა და იმედს გამოვთქვამ, რომ ადმინისტრატორების არჩევანი პოლ მიურეისა და “ცისფერი რაინდების” წინადადებაზე შეჩერდება, რადგან მგონია, რომ ყველაზე უკეთ “რეინჯერსის” ღირსეულ მომავალზე სწორედ ისინი იზრუნებენ”.*

“სქოთიშ სანი” წერს, რომ არსებობს ჯერჯერობით დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ “რეინჯერსის” ამჟამინდელი მესაკუთრე **კრეიგ უაიტი**, ვისმა საეჭვო პოლიტიკამაც კლუბი ლამის გაკოტრებამდე მიიყვანა, უარს აცხადებს მიურეისა და მისი ბიზნესპარტნიორებისთვის თავისი წილის გადაფორმებაზე. ჩვენ რასაკვირველია, ვერაფერს გეტყვით ამ საქმის იურიდიულ ასპექტებზე, ის კია, რომ პოლ კლარკის თქმით, ამჟამინდელ სიტუაციაში უაიტს არ აქვს უფლება კლუბის ბედი განკარგოს, რადგან “დაფ ენდ ფელპსი” “რეინჯერსის” მმართველად კანონმდებლობის სრული დაცვით არის დანიშნული.

**ლევან ბიბილაშვილი**


ამ ეტაპზე პოლ მიურეი რეინჯერსის შეძენის უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

მილანი

# მალე: კასანოს დაბრუნება
## ნესტა კი მარადიულია

ერთ-ერთ წინა ნომერში გაცნობეთ, რომ **ანტონიო კასანო** პრაქტიკულად სრულად გამოჯანმრთელდა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მოედანს აპრილში დაუბრუნდება. გუშინ, კიდევ უკეთესი ამბავი გავიგეთ, რომლის მიხედვითაც „მილანის“ და იტალიის ნაკრების 29 წლის შემტევი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ამხანაგურ შეხვედრაშიც კი მიიღო მონაწილეობა. დიახ, კასანომ „როსონერის“ ახალგაზრდულ გუნდში იასპარეზა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. **მასიმილიანო ალეგრიმ** უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომდევნო მომდევნო კვირიდან ანტონიო ინდივიდუალურ ვარჯიშებს შეწყვეტს და მთავარ გუნდს



ანტონიო კასანო

შეუერთდება. შესაბამისად, უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კასანო სრულად გამოჯანმრთელდა და მალე მოედანზეც ვიხილავთ. ამ საკითხზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა და მოვუსმინოთ მას:

*„თავი სიზმარში მგონია, ყველაზე ცუდი უკან მოვიტოვე და დიდ ფეხბურთში დასაბრუნებლად ვემზადები. ექიმებთან კონსულტაციას ყოველდღიურად გავდივარ და ბოლო ცნობით, უკვე შემიძლია სრული დატვირთვით ვარჯიში. ამხანაგურ მატჩშიც მივიღე მონაწილეობა და იმაზე უკეთ ვითამაშე, ვიდრე წარმოვიდგენდი. მადლობა მინდა გადავუხადო მასიმილიანო ალეგრის, რომელიც რთულ პერიოდში მუდმივად მხარში მედგა და მამხნევებდა. იგივე შემიძლია ვთქვა თანაგუნდელებზე, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან ჩემს დაბრუნებას. ვერ გეტყვით, როდის გავალ მინდორზე ოფიციალურ შეხვედრაში, მაგრამ ვიცი, რომ იქამდე ბევრი დრო აღარ არის დარჩენილი. ბუნებრივია, ძალიან მინდა, რომ სეზონის დასრულებამდე ოპტიმალური ფორმა აღვიდგინო და ევროპის ჩემპიონატზე გავემგზავრო. ნაკრებში თამაში ჩემთვის უმნიშვნელოვანესია და მიხარია, რომ არც ჩეზარე პრანდელისგან მაკლია მხარდაჭერა“.*

ერთი სიტყვით, ანტონიო კასანო მალე დაბრუნდება, ეს კი „მილანისა“ და ზოგადად იტალიური ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის შესანიშნავი სიახლეა. აპენინურ სპორტულ პრესაში კასანოს გამოჯანმრთელება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა და ხშირად ამბობენ, რომ მისი დაბრუნება „როსონერის“ საჩემპიონო შანსებს ერთიორად გაზრდის. თუ „მილანმა“ შეძლო და კატალონიური ბარიერი გაიარა, ანტონიო თავის გუნდს ჩემპიონთა ლიგაშიც დაეხმარება. სიტყვამ მოიტანა და „მილანი“-“ბარსელონას“ თამაშმა იტალიურ საფეხბურთო სამყაროში უდიდესი რეზონანსი გამოიწვია და ორი სიტყვით ამ ამბავსაც უნდა შევეხოთ. ნულოვანი ფრე უმეტესობამ დადებით შედეგად მიიჩნია, „როსონერის“ ცალკეული ფეხბურთელები კი ქებით ცაში აიყვანეს. განსაკუთრებით ეს ვეტერან ფეხბურთელებზე ითქმის - მაგალითად, **ალესანდრო ნესტასა** და **მასიმო ამბროზინიზე**. მარტო **ლეონარდო ბონუჩის** კომენტარი რად ღირს, რომელიც მან ნესტას თამაშს მიუძღვნა - მოვუსმინოთ „იუვენტუსის“ ახალგაზრდა მცველს:

*„დიდი ინტერესით მივადევნე თვალი „მილანი“-“ბარსელონას“ შეხვედრას და დღემდე შთაბეჭდილებებში ვარ, რადგან ვნახე მარადიული მცველი, რომელსაც ალესანდრო ნესტა ჰქვია. ნესტა მართლაც მარადიულია, რომლის ყურებაც არასდროს მომბეზრდება და რომელსაც ყოველთვის ვეცდები, რომ მივბაძო. სიმართლე გითხრათ, „მილანი“-“ბარსას“ ყურებას კიდევ ერთხელ ვაპირებ, რომ საგანგებოდ ნესტას დავაკვირდე და ბევრი რამ ვისწავლო, ვნახოთ, რა გამომივა“.*

ბონუჩის აღფრთოვანება გასაგებია, რადგან ნესტამ მართლაც ფენომენური თამაში აჩვენა. სამწუხაროდ, მეორე ნახევარში დაშავდა და შესაცვლელი გახდა, „მილანის“ ტიფოზერია კი ექიმთა ვერდიქტის მოლოდინშია - აი რას ამბობს სანდროს ტრავმასთან დაკავშირებით ლომბარდიული გრანდის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი**:

*„ნესტას უდიდესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ „ბარსელონასთან“ კარი მშრალად შევინახეთ და განმეორებითი თამაშის წინ საკმაოდ კარგი შანსი შევინარჩუნეთ. ალესანდრო უდიდესი ძალაა და დიდი იმედი მაქვს, რომ „კამპ ნოუზეც“ ძირითად შემადგენლობაში იქნება. მსუბუქი ტრავმა მიიღო და ნესით, მალევე უნდა დაბრუნდეს, თუმცა საბოლოო განაჩენს ექიმები გამოიტანენ. ნებისმიერ შემთხვევაში, მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს და სრული მობილიზება გვმართებს. „ბარსელონასგან“ უფრო თამამ თამაშს ველოდი, მაგრამ ცოტა შეშინებულნი მეჩვენენ. დარწმუნებული ვარ, „კამპ ნოუზე“ პირველივე წუთებიდან შემოგვიტევენ და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ“.*

აღიარება



მასიმო ფიკადენტი

# მასიმო ჩელინომ შეცდომა აღიარა

„კალიარის“ პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო** „რაი სპორტს“ ესაუბრა და აღიარა, რომ **მასიმო ფიკადენტის** გათავისუფლება მისი ყველაზე დიდი შეცდომა იყო და მოხარულია, რომ ამას მალევე მიხვდა. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ სარდინიულ გუნდს სეზონის სტარტიდან მასიმო ფიკადენტი ედგა სათავეში, რომელსაც არცთუ ურიგო შედეგები ჰქონდა, თუმცა ჩემპიონატის შუაწელს პრეზიდენტმა ის გაათავისუფლა და „კალიარი“ **დავიდე ბალარდინის** ჩააბარა. ახალი მწვრთნელის ხელში კუნძულელებს ჩავარდნა დაეწყოთ და კინაღამ გასავარდნ ზონაში აღმოჩნდნენ - პრეზიდენტი ჩელინო მალევე გაერკვა ვითარებაში, ბალარდინი პოსტიდან გაათავისუფლა და „კალიარი“ კვლავაც ფიკადენტის ჩააბარა. აი რას ამბობს ამ ჩახლართულ ისტორიასთან დაკავშირებით სარდინიული კლუბის პრეზიდენტი:

*„ფიკადენტის ხელში გუნდს ნორმალური შედეგები ჰქონდა და უკმაყოფილო არ ვიყავი, მაგრამ ჩემზე გარშემო მყოფთა აზრმა იმოქმედა და მისი მოხსნის გადაწყვეტილება მივიღე. ყველა იმას მეუბნებოდა, რომ ფიკადენტი დაცვიდან ათამაშებდა გუნდს, რისთვისაც არსებულ პოტენციალს ბოლომდე ვერ ვიყინებდით. იმდენჯერ მითხრეს ამის შესახებ, რომ ბოლოს გავლენის ქვეშ მოვექეცი და ფიკადენტი შემტევი ფეხბურთის მოყვარული სპეციალისტით, დავიდე ბალარდინით ჩავანაცვლე. სამწუხაროდ, ამან არ გაამართლა და ნათლად დავინახე, რომ მასიმო თავის საქმეს შესანიშნავად უძღვებოდა. პირად საუბარში მას ბოდიში მოვუხადე ნაჩქარევი გადაწყვეტილებისთვის და პოსტზე დაბრუნება ვთხოვე, რაზეც თანხმობა განაცხადა. იმედია, ფიკადენტი კიდევ დიდხანს იმუშავებს „კალიარის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე“.*

ინტერი

# ბიელსა ინტერის სათავეში?

„ინტერს“ **ანდრეა სტრამაჩონის** სახით უკვე ჰყავს ახალი მწვრთნელი და თუ **მასიმო მორატის** დავუჯერებთ, დიდია შანსი ხანგრძლივი ვადით და არა მხოლოდ სეზონის ბოლომდე. მიუხედავად ამისა, არ წყდება საუბრები იმის შესახებ, თუ ვინ ჩაიბარებს გუნდს ზაფხულში და შესაბამისად, ვინ გაწვრთნის მომავალი სეზონიდან. უკანასკნელი ცნობის თანახმად, ყველაზე რეალური კანდიდატი არგენტინელი **მარსელო ბიელსა** გახლავთ, რომელიც დღეს ბილბაოს „ატლეტიკის“ მთავარი მწვრთნელია და ესპანეთში შესანიშნავად მუშაობს. ბასკური გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და ევროპის ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზეა გასული, გზად კი თვით „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხა. თანაც, ბიელსას შეგირდებმა ბრწყინვალე სტილში მოუგეს ინგლისელებს და ბევრი იმაზეც ალაპარაკდა, რომ „ატლეტიკი“ „ბარსელონას“ კვალს დაადგა.

ბიელსას „ინტერის“ მთავარ მწვრთნელად შესაძლო დანიშვნის შესახებ კომენტარი მილანური გრანდის სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** გააკეთა: *„როგორც მასიმო მორატიმ განაცხადა, ანდრეა სტრამაჩონიზე დიდ იმედებს ვამყარებთ და სურვილი გვაქვს, რომ მასთან ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულება გავაფორმოთ. თუ მიმდინარე სეზონს გუნდი კარგად ჩაამთავრებს, ამის ალბათობა ძალიან დიდი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი მწვრთნელის ძიება მოგვიწევს და აი შემდეგ, უკვე ვიმსჯელებთ შესაძლო კანდიდატებზე. ასეთ შემთხვევაში, ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ბიელსასთან კონტაქტზე გავიდეთ, რადგან არგენტინელი ბილბაოში საუცხოოდ მუშაობს. საერთოდ, მარსელო ბრწყინვალე სპეციალისტია და ამას წლებია ამტკიცებს“.*

ბრანკამ ბიელსას მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა და არც ის გამორიცხა, რომ ზაფხულში არგენტინელ სპეციალისტთან მოლაპარაკება წამოიწყოს... ამ ეტაპზე, მეტს ვერაფერს იტყოდა, რადგან „ინტერს“ ჰყავს მთავარი მწვრთნელი და მას სტიმული სჭირდება და არა ფსიქოლოგიური წნეხი. ასეა თუ ისე, მილანელების ინტერესი ბიელსას მიმართ დადასტურდა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.



მარსელო ბიელსა

იუვენტუსი

# კრასიჩი 15 მილიონად

პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ ზაფხულში „იუვენტუსის“ მესვეურები **მილოშ კრასიჩს** ტრანსფერზე დააყენებენ და შეეცდებიან 27 წლის ნახევარმცველი რაც შეიძლება სარფიანად გაყიდონ. ამის თაობაზე თვითონ ფეხბურთელის პირადმა აგენტმა ისაუბრა და უმჯობესია სიტყვა სწორედ მას გადავცეთ - მოვუსმინოთ **ვლადო ბოროზანს:**

*„ტურინული კლუბის მესვეურებს ველაპარაკე და ვიცი, რომ მილოშის გასხვისებას აპირებენ. ისიც მითხრეს, რომ იოლად არ შეელევიან და მინიმუმ 15 მილიონ ევროს მოითხოვენ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან კრასიჩი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და მას უფასოდ არავინ გაუშვებს. თავად მილოშის სურვილია, რომ ამბიციურ, მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდში გადავიდეს“.*

ბოლო პერიოდში, აქტიურად ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ კრასიჩის გადაბირება „ლაციოს“ მესვეურებს სურთ და ტურინელებთან მოლაპარაკების დაწყებას აპირებენ... ამასთან დაკავშირებით, ბოროზანმა შემდეგი განაცხადა: *„რომაული კლუბის მესვეურებს მილოშის იჯარის წესით აყვანა სურთ, რადგან ფინანსური კრიზისი აქვთ და 15 მილიონ ევროს უბრალოდ ვერ გადაიხდიან. თუ „ლაციომ“ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, შეიძლება შეიცვალოს კიდეც ვითარება, მაგრამ დღეს ამაზე საუბარი მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეგვიძლია. რადგან ტურინელებს იჯარის გაგონებაც კი არ სურთ, ეს ვარიანტი ჯერჯერობით შორს არის რეალობისგან“.*



მილოშ კრასიჩი

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ამბები



## ნეიმარის ორი კერპი: მესი და რონალდო

ბრაზილიელმა ვუნდერკინდმა, **ნეიმარმა** განაცხადა, რომ მას სურს ბევრი ისწავლოს თანამედროვეობის ორი უძლიერესი ფეხბურთელისგან. „სანტოსის" 20 წლის ფორვარდი **ლიონელ მესის** და **კრიშტიანო რონალდოს** გულისხმობდა. შეგახსენებთ, რომ მესის „ბარსელონა" და რონალდოს „რეალი" ყველაზე მეტად აქტიურობენ ნეიმარის ხელში ჩასაგდებად, თუმცა ბოლო ინფორმაციით ამ ბრძოლაში გამარჯვებული კატალონიური გრანდი რჩება. „ჩემთვის ორივე, მესი და რონალდო, კერპია. მსურს, ორივესგან ცოტ-ცოტა გადავიღო და ჩემს სტილად ვაქციო. თუ ეს გამომივიდა, ძალიან ბედნიერი ვიქნები", - განაცხადა ბრაზილიელმა „გლობო ე სპორტესთან" ინტერვიუში.



## მატეისენი: განხეთქილების ვაშლი

გერმანული „ჰამბურგი" ესპანურ „მალაგას" ფიფაში უჩივლებს - მიზეზი ჰოლანდიელი მცველის, **იორის მატეისენის** ტრანსფერის თანხის გადაუხდელობაა. ამის შესახებ გერმანული „ბილდი" იუწყება. „მალაგა", რომელსაც გავლენიანი არაბი ინვესტორი უმაგრებს ფინანსურ ზურგს, თანხის გადახდის გრაფიკს (გათვალისწინებული იყო 3 ეტაპი) არ იცავს. სხვათა შორის, ადრე მსგავსი ტიპის პრობლემა „მალაგას" „ვალენსიასთანაც" შეექმნა - **ისკოს** ტრანსფერის განხორციელების შემდეგ.

## ბარსა იტალიაში ჩარჩა და ინტერს შეეკედლა

ესპანეთში საყოველთაო გაფიცვა დაიწყო, რის გამოც სატრანსფერო სექტორში ქაოსია. მაგალითისთვის, ჩემპიონთა ლიგის მატჩის გამართვის შემდეგ „ბარსელონა" სამშობლოში ვერ გაფრინდა და მილანში დარჩა. კატალონიელებს დახმარების ხელი, მილანის მეორე კლუბმა, „ინტერმა" გაუწოდა, როცა თავისი ბაზა დაუთმო სავარჯიშოდ. „ინტერი" ძირითად ბაზაზე ვარჯიშობს, ახალგაზრდული გუნდის ბაზა კი დროებით ესპანელ სტუმრებს დაეთმო.

## დი მარია ოსასუნასთან ითამაშებს

მადრიდის „რეალს" საბოლოოდ გამოუჯანმრთელდა არგენტინელი **ანხელ დი მარია** და 24 წლის ნახევარმცველი, სავარაუდოდ, ითამაშებს კიდევაც მომავალი ტურის მატჩში პამპლონაში, „ოსასუნას" წინააღმდეგ. დი მარიამ ბოლოს 18 თებერვალს ითამაშა. სამხრეთამერიკელს თამაში კვიპროსული გუნდის წინააღმდეგაც შეეძლო ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში, მაგრამ **ჟოზე მოურინიომ** იფრთხილა და დი მარიას დასვენებისთვის კიდევ რამდენიმე დღე მისცა. ყოფილი ბენფიკელი ალბათ სასტარტო შემადგენლობაში არ იქნება ნავარელებთან დაპირისპირებაში და მხოლოდ მე-2 ტაიმში ჩაებმება ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ დი მარიას ძალიან ბევრი გაუცდა ამ სეზონში, მას მხოლოდ ახლახან გადაუსწრეს ლა ლიგაში ასისტენტთა კონკურსში, ეს მისმა თანაგუნდელმა **მესუთ იოზილმა** შეძლო.

გუნდთან ერთად ვარჯიში დაიწყო დი მარიას შემცვლელმა **ხოსე კალეხონმაც**. მას ექიმებმა ბურთთან კონტაქტის უფლება დართეს. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მას „ოსასუნასთან" თამაშმა მოუწიოს.


ანხელ დი მარია

ევროპალიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები

# ესპანეთი–გერმანია 2:0

## მარტო რაული რეკორდებზეც ცოდოა

**ატლეტიკო–ჰანოვერი 2:1**

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, გოდინი, მირანდა, ფილიპე ლუიში - არდა თურანი, სუარესი, გაბი, კოკე (61. დიეგო) - ადრიან ლოპესი (70. სალვიო), ფალკაო.

**ჰანოვერი (4-4-2):** ცილერი - ჩერუნდოლო, ეგიმანი, პოგატეცი, პანდერი (70. შულცი) - შტინდლი, შმიდებახი (56. ია კონანი), პინტო, რაუში - შლაუდრაფი, დიუფი (82. აბდელაუე).

**გოლები:** 1:0 ფალკაო (9), 1:1 დიუფი (38), 2:1 სალვიო (89)

**გაფრთხილება:** ხუანფრანი, გაბი, გოდინი, დიეგო, არდა - პინტო, შლაუდრაფი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 20-14; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 10-5 (4-3); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 20 000

**ალკმაარი–ვალენსია 2:1**

**ალკმაარი (4-3-3):** ალვარადო - მარსელისი, მოისანდერი, კლავანი, პოულსენი - მარტენსი, ელმი, მაჰერი - გუდმუნდსონი, ალტიდორი (77. ბენშოპი), ჰოლმანი.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რ. კოშტა, დეალბერტი, მატიო (77. პიატი) - მ. თოპალი, ტინო კოსტა - პ. ერნანდესი, ფეგული (64. ჟონასი), ალბა - სოლდადო.

**გოლები:** 1:0 ჰოლმანი (45), 1:1 მ. თოპალი (51), 2:1 მარტენსი (79)

**გაფრთხილება:** მაჰერი - ბარაგანი, დეალბერტი

**კუთხური:** 8-12; **ჯარიმა:** 12-7; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 8-9 (5-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 16 100

**შალკე–ბილბაო 2:4**

**შალკე (4-1-3-2):** ჰილდებრანდი (46. შობერი) - უჩიდა, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი - ჯონსი - ჰოგერი (55. ჰოლტბი), რაული, დრაქსლერი (55. ხურადო) - ფარფანი, ჰუნტელაარი.

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე (70. ი. პერესი) - იტურასპე, დე მარკოსი (84. ეკიზა), ანდერი (46. ი. გომესი) - სუსაეტა, ფ. ლორენტე, მუნიაინი.

**გოლები:** 0:1 ფ. ლორენტე (20), 1:1 რაული (22), 2:1 რაული (60), 2:2 ფ. ლორენტე (73), 2:3 დე მარკოსი (81), 2:4 მუნიაინი (92)

**გაფრთხილება:** ჰოგერი, უჩიდა, ჰუნტელაარი - იტურასპე, ამორებიეტა, პერესი

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 13-10 (7-6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 53 883

**სპორტინგი–მეტალისტი 2:1**

**სპორტინგი (4-3-1-2):** პატრისიო - პერეირა, ჩანდაო, პოლგა, ინსუა - ფერნანდეში, კარიკო (70. ნეტო), სხაარსი - იზმაილოვი (79. კარილიო) - კაპელი (71. ხეფრენი), ვან ვოლფსვინკელი.

**მეტალისტი (4-2-3-1):** გორიაინოვი - ობრადოვიჩი, გიე, ტორსილიერი, ვილიაგრა - ტორესი, შავიერი - სოსა (92. ვალიაევი), ბლანკო (77. მარლოში), ტაისონი - კრისტალდო (66. დევიჩი).

**გოლები:** 1:0 იზმაილოვი (51), 2:0 ინსუა (64), 2:1 შავიერი (90)

**გაფრთხილება:** იზმაილოვი, კარიკო, პატრისიო - ტორსილიერი, გიე, შავიერი

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 10-7 (7-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 27 000


რაულის დუბლმა შალკეს ვერ უშველა

**რაულ გონსალეს ბლანკო** მართლაც ლეგენდაა - ის ევროთასების ისტორიაში მთავარი გოლეადორია 75 გოლით. რაულთან ახლოსაც არავინაა („მალაგას" **რუუდ ვან ნისტელროის** ევროთასებზე 60 გოლი აქვს გატანილი, ხოლო კიევის „დინამოს" **ანდრეი შევჩენკოს** - 59). 34 წლის ვეტერანმა წუხელ დუბლი შეასრულა ევროპალიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში თავისივე თანამემამულეების კარში. „ხუმარების" ფანებისთვის ვაგლახ, რაულის გმირობა საკმარისი არ ყოფილა თუნდაც მარცხისგან თავის დასახსნელად - „ბილბაომ" წლევანდელ გათამაშებაში მორიგი ბრწყინვალე საგარეო გამარჯვება ჩაიწერა - 4:2 და ცალი ფეხით ნახევარფინალშია. ბასკთაგან დუბლი „მეფე ლომმა", **ფერნანდო ლორენტემ** შეასრულა, თითო გოლიც უნივერსალმა **ოსკარ დე მარკოსმა** და ესპანური ფეხბურთის ვუნდერკინდმა **იკერ მუნიაინმა** გაიტანეს.

ევროპალიგის ამ ეტაპზე ოთხიდან 2 წყვილი გერმანულ-ესპანური დაპირისპირებით იქცევდა ყურადღებას. ესპანელებმა მეორე დაპირისპირებაც მოიგეს, თუმცა ამჯერად გადამწყვეტად ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ „ჰანოვერთან" 2:1 მოგების მიუხედავად „ატლეტიკოს" საპასუხო მატჩში დიდი ბრძოლა ელის. „ვისენტე კალდერონზე" გამარჯვების გოლი შეცვლაზე შემოსულმა არგენტინელმა **ედუარდო სალვიომ** გაიტანა. 22 წლის ფორვარდმა თანამემამულე მწვრთნელს, **დიეგო სიმეონეს** კარგ დროს მოაგებინა - მიმდინარეობდა მატჩის ბოლოსწინა წუთი. მანამდე გოლები კოლუმბიელმა **რადამელ ფალკაომ** და სენეგალელმა **მამე ბირამ დიუფმა** გაცვალეს.


ლორენტეს გოლს ულოცავენ

აი, „ვალენსიას" რომ არ ულხინს ბოლო დროს კიდევ ერთხელ გამოჩნდა - **უნაი ემერის** გუნდმა ალკმაარში 1:2 წააგო. ამ წყვილში ყველაფერს საპასუხო მატჩი გამოავლენს - ჰოლანდიელებს ერთბურთიანი უპირატესობა აქვთ, „ღამურების" უპირატესობას კი „მესტალია" ჰქვია. ტაიმის მიწურულს **ჰოლმანმა** „ალკმაარი" დააწინაურა, მეორის დასაწყისში კი თავი ესპანელთა თურქმა ნახევარმცველმა **მეჰმეთ თოპალმა** გამოიჩინა. მაგრამ 27 წლის **მაარტენ მარტენსმა** გამარჯვება „ალკმაარს" მოუტანა.

„მეტალისტი" უცნაური გუნდია, რომ იფიქრებ, უშანსოდ არისო, სწორედ მაშინ მოიქნევს „კუდს". ასე იყო ლისაბონშიც, „სპორტინგი" რუსი **მარატ იზმაილოვისა** და არგენტინელი **ემილიანო ინსუას** გოლებით თითქოსდა უშფოთველად იგებდა, მაგრამ მატჩის მიწურულს გოლი გაუშვა და საპასუხო მატჩიც ძალზე საინტერესო გახადა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ატლეტიკომ ჰანოვერი ბოლოსლა გატეხა

უცხოური ფეხბურთი

მოსაზრება | The Telegraph

# ლივერპული რეალობას მოსწყდა

**ავტორიტეტული ბრიტანული გამოცემა "ტელეგრაფის" საფეხბურთო ანალიტიკოსმა კრის ბეკმა "ლივერპულის" ბოლოს წლების ისტორიას გადახედა და მკითხველს საინტერესო დასკვნები შესთავაზა.**




ერთხელ ისეთ საცეკვაო დარბაზში მოვხვდი, სადაც შეკრებილი იყო ქალთა საზოგადოება, რომელსაც მომხიბვლელობის პიკი უკვე ჩავლილი ჰქონდა. თუმცა ისინი არ კარგავდნენ იმედს და განაგრძობდნენ პომადით ტუჩების მოთხიპვნას, რათა ახალი თაობის ყურადღება როგორმე მიეპყროთ. დროდადრო მათ ეს გამოსდიოდათ. ახალგაზრდებიდან ზოგი იოლად ემორჩილებოდა მათ მომხიბვლელობას და სურვილს, ღამე ბალზაკის ასაკის ქალებთან გაეტარებინათ.

ახლანდელ "ლივერპულს" აქვს რაღაც საერთო იმ ქალებთან, რომლებიც მეჯლისზე კუთხეში სხედან და ყველას უყვებიან, თუ რა მომხიბვლელები არიან და როცა ვინმე საწინააღმდეგოს ეუბნება, ძალიან ბრაზდებიან. მეგობრები, ნაცნობები და საყვარლები ასეთი ისტორიების ყოველ მოსმენაზე თავს უკრავენ, ნეიტრალური მსმენელები და კონკურენტები კი დარწმუნებულები არიან, რომ მათი სილამაზე უკვე წარსული ამბავია.

დრო და დრო "ლივერპულიც" ახერხებს ძლიერად ფეხბურთის თამაშს. შეიძლება ამის მაგალითად გავიხსენოთ სტამბულის ფინალი და ამასწინანდელი გამარჯვება ლიგის თასზე. მთავარი საფრთხე მერსისაიდელებისთვის არის ის, რომ ადამიანებს, ვინც კლუბთან არიან დაკავშირებულნი, არ შეუძლიათ მოვლენების ჯანსაღად შეფასება. ისინი რეალობას არიან მოწყვეტილნი. "უიგანთან" საშინაო მარცხს რატომ უნოდეს "ლივერპულში" წესიდან გამონაკლისი? არა, რატომ? მასთან ხომ აგერ უკვე 3 წელია, თამაში არ მოუგიათ. ის ხომ ერთ-ერთია იმ 10 გუნდიდან, რომელიც "ენფილდს" ეწვია და არ წაუგია. **შონ მელონისა** და **გარი კოლდუელის** გოლებმა მასპინძელთა არა მხოლოდ რიგითი ნაგება გააფორმეს, არამედ, 1953 წლის შემდეგ გუნდის ყველაზე ცუდი საშინაო ასპარეზობაც.

აღნიშნული "ისტორიული" გამარჯვების შემდეგ "უიგანის" მთავარმა მწვრთნელმა **რობერტო მარტინესმა** თქვა, რომ "ენფილდი" მსოფლიო ფეხბურთისთვის განსაკუთრებულ ადგილად რჩება. მისი ეს გამონათქვამი მხოლოდ წარსულის გამოძახილია. "ლივერპულს" ასეთივე წარმატებით შეეძლო საკუთარ მუზეუმში თამაში. გაიარეთ "ოლდ ტრეფორდზე", "ემირიტსზე", "ეტიჰადზე" თამაშის დღეს, განიცადეთ იმის მასშტაბები, რაც გარშემო ხდება და ამის მერე არწმუნეთ თქვენი თავი, რომ "ენფილდი" წარსულის დიდების ნატეხს არ წარმოადგენს. ერთ დღესაც გაიღვიძებთ და ისევ დაინახავთ მალაიზიელ გულშემატკივრებს, თუმცა მათ "ლივერპულის" ნაცვლად "მანჩესტერ სიტის" შარფები ეჭირებათ ხელში.

რატომ დაეცა ძირს ოდესღაც დიდი კლუბი? ეს არ მომხდარა იმის გამო, რომ სხვებმა შეავიწროვეს, არც საფეხბურთო ასოციაციის გაუგებარი გადაწყვეტილებების გამო და არც შეთქმულების წყალობით, რომელსაც სათავეში **ალექს ფერგიუსონი** უდგას. საქმე მენეჯერებშია, რომლებიც წლების განმავლობაში ხარჯავდნენ ფულს არასაჭირო ფეხბურთელებში. მათი მთავარი კონკურენტები კი (31 ქულით ჩამორჩენის შემდეგ საერთოდ რა კონკურენციაზეა ლაპარაკი?) ფულს ბევრად უფრო რაციონალურად ხარჯავდნენ.

**კენი დალგლიში** "ლივერპულში" კიდევ ერთ სეზონს მიიღებს. ეს მოხდება იმის გამო კი არა, რომ მიმდინარე სეზონი ფანტასტიკური იყო (არ იყო), იმიტომ, კი არა, რომ ცხრილი "ლივერპულის" ძალას რეალურად ვერ ასახავს (ასახავს), არამედ იმის გამო, რომ მის გაშვებას არც არავინ აპირებს მას მერე, რაც მან გუნდთან ერთად ტიტული მოიგო.

მას მერე, რაც **რაფაელ ბენიტესმა** სეზონი მეშვიდე ადგილზე დაასრულა, რაც **როი ჰოჯსონმა** გუნდი პრაქტიკულად გასავარდნ ზონაში დაამკვიდრა, კლუბის თანამშრომლები, მდივნების ჩათვლით, დიდ რეფორმებს ელოდნენ. პრინციპული სხვაობა კი მწვრთნელებს შორის ის არის, რომ დალგლიში უყვართ და ენდობიან. ამ შაბათს გულშემატკივარმა გუნდს უსტვინა, დალგლიშს კი ისევ უმღეროდნენ. შეიძლება ძველებურად ხმამაღლა აღარ, მაგრამ მაინც.

კლუბის ამერიკელი მფლობელებისთვის ამოცანა არცთუ ისე მარტივია. მათ უნდა დაარწმუნონ გულშემატკივრები, რომ კლუბში "რეკონსტრუქციი, ნელი, მაგრამ შეუქცევადი" პროცესი მიდის, კარგი იქნებოდა, თუკი ამ ფორმულირებაში სიტყვა "მტანჯველს" ჩაამატებდნენ. *"არსებობს სიტყვა, რომელსაც აქტიურად ვიყენებთ ბოლო წლების განმავლობაში – ერთიანობა,"* – აცხადებს "ლივერპულის" აღმასრულებელი დირექტორი **იან ეირი.** ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თუკი კლუბში არ აღიარებენ პრობლემებს და მის გამოსწორებას რადიკალური მეთოდებით არ შეუდგებიან, ჩვენ ინგლისურ ფეხბურთში "ლივერპულის" სულ სხვა სტატუსთან შეგუება მოგვიწევს, რაც დაუშვებელია.

**კრის ბეკი.**
ტელეგრაფი

არსენალი




არსენალის ლეგენდა ნაიჯელ უინტერბერნი ოპტიმისტურად არის განწყობილი

# ნარმატებების იმედად

**ნაიჯელ უინტერბერნმა** "არსენალში" 13 წელიწადი (1987/200) გაატარა და "მეთოფეთა" ღირსება ყველაზე ტურნირზე ერთად 500-ზე მეტი თამაშში დაიცვა. მისი აზრით, ჩრდილოლონდონელებს მომდევნო სეზონში უკვე შეეძლებათ პრემიერლიგის მოსაგებად ბრძოლა.

*"გუნდში ნამდვილად კარგი შემადგენლობაა შეკრებილი. თუკი მათ 2-3 ძლიერ ფეხბურთელს დაამატებენ, დარწმუნებული ვარ, "არსენალი" კიდევ უფრო საშიში გახდება და იმედი მაქვს, რომ, როგორც მინიმუმ, გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. თუმცა ისიც მესმის, რომ თუკი ამ მიზანს იდეაფიქსად დაისახავ, ვერაფერსაც ვერ მიაღწევ. ის, რაც "არსენალს" პირველ რიგში სჭირდება, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვაა. ბოლო წლებში სულ ის მესმის, რომ გუნდს "მშრალი" პერიოდი ძალიან გაუგრძელდა, მაგრამ კრიტიკოსებს შემიძლია გავახსენო, ყველაზე ცოტა, ორი სეზონი, როცა რეალურად ძალიან ახლოს ვიდექით გამარჯვებებთან. გუნდი ფინალებში გავიდა, ნახევარფინალებშიც იყო, ასე რომ, ჩემი აზრით, ხანდახან წარმატებასა და უიღბლობას შორის ძალიან ვიწრო ზოლია ხოლმე გავლებული. თუკი "არსენალი" ასეთივე დონეზე განაგრძობს გამოსვლას სეზონის ბოლომდე და მომდევნოსაც ანალოგიურად დაიწყებს, ნამდვილად შეძლებენ უმაღლეს მიზნებთან შეჭიდებას.*

*გუნდისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ძალების რწმენას. ჩვენ უბრალოდ არ უნდა დავუშვათ ფიქრიც კი იმაზე, რომ შეიძლება წავაგოთ. მაშინაც კი, როცა თამაშს ვაგებთ. როცა წარმატების გჯერა, მას აუცილებლად მიაღწევ და მინიმუმ ფრეს მაინც გამოჰკრავ ხელს. ჩემი აზრით, გულშემატკივრებს ხანდახან არ ესმით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფეხბურთელებისთვის ეს ფაქტორი. "არსენალმა" კი უკვე დაამტკიცა, რომ მას ეს თვისება აქვს. ფეხბურთელები მორალურად განადგურებულები იყვნენ "მილანთან" საშინელი ნაგების შემდეგ, მაგრამ არანაკლებ მძიმე იყო იმ კრიტიკის მოსმენა, რაც მათ მისამართით ისმოდა. არა უშავს, "არსენალმა" მიყოლებით მოგებული თამაშების სერიით ყველას უჩვენა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა დაბრუნებულიყო საჩემპიონთალიგო ოთხეულში,"* – აცხადებს უინტერბერნი.

ამბები

## ტევესი და კომპანი ძირითადში

**"მანჩესტერ სიტის"** შაბათს შინ "სანდერლენდთან" მატჩი ელოდება. როგორც ინგლისური წყაროები იტყობინებიან, **რობერტო მანჩინის** გადაწყვეტილი აქვს, **კარლოს ტევესი** და **ვენსან კომპანი** ძირითად შემადგენლობაში დააყენოს. "სტოკ სიტისთან" 1:1-ის შემდეგ არგენტინელმა "ქალაქელთა" რეზერვისტებს შორისაც ითამაშა "მორეკამბის" წინააღმდეგ და გოლიც გაიტანა. ასე რომ, კარლოსი ფორმაში შედის. მოსალოდნელია, რომ ის სკამზე **მარიო ბალოტელის** გადასვამს, ვინც წინა ტურში მოსალოდნელზე სუსტად ითამაშა და თანაც შუა კვირაში მორიგი სკანდალის ეპიცენტრში მოხვდა, როცა "ინტერის" პრესკონფერენციაზე შეიჭრა. ამას დაემატა ისიც, რომ გუშინ დილას "ტელეგრაფმა" "სუპერმარიოზე" მორიგი სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა, მანჩინიმ ვარჯიშებზე დაუმორჩილებლობის გამო იტალიელი ვარჯიშიდან გააძევა და ინდივიდუალური პროგრამით მზადება დაავალა. ტრავმა მოიშუშა და მზადაა სათამაშოდ გუნდის ბელგიელი კაპიტანი ვენსან კომპანიც. 25 წლის ცენტრალური მცველი უკვე რამდენიმე დღეა ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

## პსჟ: 5 მილიონი შამახში

"არსენალს" **მარუან შამახის** გაშვება რომ სურს, ამ თემაზე არაერთხელ დაგვიწერია. მაროკოელის ტრანსფერზე ლაპარაკი ჯერ კიდევ იანვარ-თებერვალში ჩატარებულ აფრიკის ეროვნებათა თასამდე მიდიოდა, მაგრამ მაშინ საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. როგორც ჩანს, სეზონის დასრულების შემდეგ ეს აუცილებლად მოხდება. 28 წლის თავდამსხმელის გადაბირებას "პარი სენ-ჟერმენი" აპირებს. პარიზელები მზად არიან, "მეთოფეებს" 5 მილიონი ფუნტი გადაუხადონო, წერს "სანი". ლონდონელები 7 მილიონს ითხოვენ. შამახს "არსენალთან" გაფორმებული კონტრაქტი 2014 წლის ივლისს უმთავრდება.

## ულიე: მიეცით კენის დრო!

**ჟერარ ულიე** ვარაუდობს, რომ "ლივერპულის" გულშემატკივარი ვერ დარჩება სეზონით კმაყოფილი მიუხედავად იმისა, რომ "წითლებმა" შეიძლება სეზონი ორი ტიტულით დაასრულონ. ამის მიზეზი კი ერთადერთისპ რამე იქნება - მერსისაიდელები ჩემპიონობაზე ოცნებობენ. ისინი ხომ ინგლისის პირველობაზე გამარჯვებას შორეული 1990 წლის შემდეგ ელოდებიან. *"ხალხი "ლივერპულს" ძალიან დიდ იმედებს უკავშირებს. ისინი შეიძლება იმაზეც კი ოცნებობენ, რომ გუნდმა ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგოს, მაგრამ ალბათ ყველას გვესმის, რომ ეს შეუძლებელია. ყველაზე მეტად მათ პრემიერლიგის მოგება სურთ. რაფაელ ბენიტესმა გუნდი ერთხელ გახადა ვიცე-ჩემპიონი (2009), ერთხელ ეს მეც შევძელი (2002). ჩვენ ყველა სათასო ტურნირი მოვიგეთ, სადაც კი გამოვდიოდით, მაგრამ ესეც კი არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან ფანები ჩვენგან სულ სხვა რამეს ითხოვდნენ. ის, რომ "ლივერპულმა" ლიგის თასზე იმარჯვა, ძალიან კარგი ნიშანია. ჩემი აზრით, გუნდი ახლა სწორი მიმართულებით ვითარდება, ასე რომ, დალგლიშს დრო აუცილებლად უნდა მიეცეს. მის გუნდს წარმატებისთვის ერთი წელიწადი კიდევ დასჭირდება,"* – აცხადებს ულიე.

## სიტის სისუსტე ნერვებია

"მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული ფეხბურთელი **სტივ ბრუსი** (300-ზე მეტი თამაში "ეშმაკების" რიგებში) მიიჩნევს, რომ საჩემპიონო რბოლაში "სიტის" ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი ნერვიულობაა. აი, რას ამბობს შოტლანდიელი: *"იმისთვის, რომ ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახო, ჩემპიონატის მოგებაა საჭირო. ჩვენ ეს მხოლოდ მას მერე გავიაზრეთ, როცა 1993 წელს მოვიგეთ პრემიერლიგა. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი გყავს შემადგენლობაში? ექვსგარეშეა, რომ მაინც ინერვიულებ. გავიხსენოთ 1992 წელი. მაშინ ტიტული "ლიდსთან" ბრძოლაში წავაგეთ და ნამდვილი შოკი მივიღეთ, თუმცა ამ ფაქტმა გამოცდილება შეგვძინა და ის სამომავლოდ გამოვიყენეთ. პირველად ყოველთვის ძალიან ძნელია ამის გაკეთება. სწორედ ამ უპირატესობას ფლობს ახლა "იუნაიტედი". გუნდმა იანვარ-თებერვალში ფანტასტიკური შედეგები აჩვენა, არადა, ძალიან რთული გრაფიკი ჰქონდა – "არსენალთან", "ჩელსისთან" და "ტოტენჰემთან" უნდა ეთამაშა. ამ გამოცდას "ეშმაკებმა" იოლად გაუძლეს. ახლა ყველაზე საინტერესო "სიტის" რეაქციაა, რადგან პირველად 5 თვის განმავლობაში მდევრის როლში უკვე თავად აღმოჩნდნენ".*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# სან სიროზე შავი და წითელი გამოჩნდა

## შავი და თეთრი კი ნოუ კამპზე გამოჩნდება

**მილანი–ბარსელონა 0:0**

წინათქმაში ვწერდით, რომ ევროპის მასშტაბით ნებისმიერი კლუბის რეალური ძალა „ბარსელონასთან“ თამაშის ხარისხით იზომება და რომ სწორედ „ბარსასთან“ დუელში გამოჩნდებოდა, რა შეუძლია ამ „მილანს“ სინამდვილეში. გამოჩნდა კიდეც: „როსონერიმ“ კატალონიურ სუპერგრანდს გოლი არ გაატანინა და მართალია, ვერც თავად გაუტანა, მაგრამ ეს ყველაფერი შემთხვევითი არ ყოფილა – „მილანმა“ უგოლო ფრეს, რაც იტალიელთათვის საკმაოდ კომფორტული შედეგია (თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ), დისციპლინირებული, ტაქტიკურად გამართული ფეხბურთისა და უდიდესი მონდომების ხარჯზე მიაღწია. მეტიც: იტალიელებმა კატალონიელებზე უკეთესი მომენტები შექმნეს და მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ დიდი შანსია, საპასუხო მატჩის წინ „მილანისთვის“ ეს 0:0 უფრო უკეთესი შედეგი იყოს, ვიდრე 1:0, 2:0 ან მით უმეტეს 2:1 იქნებოდა... ჩამოთვლილ შედეგებზე უკეთესს კი „როსონერი“ ნაღდად ვერ დააფიქსირებდა – სახელდობრ, ნამდვილად ვერ გაიმეორებდა იმას, რაც მერვედფინალში ლონდონის „არსენალს“ „სან სიროზე“ უქნა.




ამელ მესბა და დანიელე ბონერა ლეო მესის წინააღმდეგ – მილანელები ბარსელონელებს ასეთი თავდადებით ებრძოდნენ

### რეაქციები

**კლარენს ზეედორფი** (მილანი): *„მომენტები გვქონდა და გოლი უნდა გაგვეტანა, მაგრამ ამ შედეგითაც კმაყოფილები უნდა ვიყოთ. თუ, „ნოუ კამპზე“ უფრო მოვინდომებთ და უკეთეს კონტრიერიშებს განვახორციელებთ, ნახევარფინალში გასვლის შანსი მოგვეცემა.“*

**მასიმილიანო ალეგრი** („მილანის“ მწვრთნელი): *„მინდა, ჩემს შეგირდებს მივულოცო: მათ მედგრად იბრძოლეს და „ბარსელონას“ არაფერი გააბედვინეს. მეორე ტაიმში უფრო უკეთესად ვითამაშეთ და ესეც დასაფასებელია – ისევე, როგორც ლუკა ანტონინის შრომა, რომელმაც ლიონელ მესი თამაშიდან გამოთიშა. საერთო ჯამში, ჩემმა გუნდმა იდეალურად იბრძოლა. საპასუხო მატჩშიც უდიდესი კონცენტრაციით უნდა ვითამაშოთ, ამ შეხვედრაში დაფიქსირებული 0:0 კი „მილანისთვის“ ნამდვილად მისაღები შედეგია. ამ სეზონში „ბარსას“ უკვე სამჯერ შევხვდით და თამამად ვიტყვი, რომ საუკეთესო ფეხბურთი სწორედ ახლა ვაჩვენეთ.“*

**ხოსეპ გვარდიოლა** („ბარსელონას“ მწვრთნელი): *„მასიმილიანო ალეგრიმ თქვა, რომ 0:0 „მილანისთვის“ კარგი შედეგია, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვაქო. კარგად ვითამაშეთ და ერთადერთი, რაც დაგვაკლდა, გატანილი გოლი იყო. საპასუხო მატჩი რთული იქნება, რადგან „მილანი“ მაღალი კლასის გუნდია. ნახევარფინალში გასასვლელად „ნოუ კამპზე“ მოგება გვჭირდება და ეს უნდა შევძლოთ.“*

**TOP ფეხბურთელი**

**მასიმო ამბროზინი (მილანი)**

„მილანის“ კაპიტანი მაისში 35 წლის ხდება და მიუხედავად ამისა, „ბარსას“ გენიალურ ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებს იდეალურად გაუმკლავდა. მასიმომ იმდენად კარგად ითამაშა, რომ „როსონერის“ არ დაეტყო **მარკ ვან ბომელის** არყოფნა. გარდა არაერთი უმნიშვნელოვანესი ორთაბრძოლის მოგებისა, ამბროზინი ძალიან ჭკვიანურად აზღვევდა „მილანის“ მცველებს და ბურთთან ერთადაც თავდაჯერებული იყო. მან არა მარტო პოზიციურად და ტაქტიკურად, არამედ საფეხბურთო აზროვნების კუთხითაც სწორად ითამაშა – ისე, როგორც გუნდის კაპიტანს შეეფერება. მასთან ერთად აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **ლუკა ანტონინის** ძალიან კარგი, უშეცდომო და თავგანწირული თამაშიც.

**FLOP ფეხბურთელი**

**ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)**

ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა „ბარსელონას“ ფეხბურთელს მატჩის მთავარ Fლოპ-ად ვასახელებთ. თანაც ვის – თვით **ინიესტას**! ანდრესის ერთადერთი გამორჩეული სცენა ის იყო, როცა **აბიატის** საჯარიმოს გარედან დაურტყა. სხვამხრივ, ინიესტას ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, რადგან **ნოჩერინოსა** და **ბონერას** სახით საუკეთესო მეურვეები ჰყავდა. ინიესტას იდეებიც არ ჰქონია – როგორღაც გამოფიტული ჩანდა. ამიტომაც იყო, გვარდიოლამ 65-ე წუთზე რომ შეცვალა. ინიესტას გარდა, მატჩის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ფეხბურთელი მილანელი **ურბი ემანუელსონი** გახლდათ, რომელმაც მოედანზე შესვლის შემდეგ ბურთი რამდენჯერმე უაზროდ დაკარგა. **ჯამელ მესბაზე** არაფერს ვამბობთ – მხოლოდ ამას დავძენთ: რომ არა **ნესტას** ტრავმა, ალეგრი მას მოედანზე არაფრისდიდებით არ შეიყვანდა...

**ტაქტიკა-სტრატეგია**

„მილანს“ საკადრო პრობლემები ჰქონდა და ალეგრიმ მოედანზე შეძლებისდაგვარად საუკეთესო შემადგენლობა გაიყვანა, ტაქტიკური სქემა კი უცვლელი დატოვა: 4-4-2 რომბისებული ნახევარდაცვით, სადაც ამბროზინი კლასიკური „ექვსიანი“ გახლდათ, ნოჩერინო და ზეედორფი კი ნახევრადსაყრდენი ნახევამრცველები, რომლებიც შეტევებშიც ერთვებოდნენ და ამბროზინისაც ეხმარებოდნენ. პრინციპში, იგივე ითქმის **კევინ-პრინს ბოატენგზეც**, წინ კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **რობინიო** მოქმედებდნენ.

გვარდიოლამ უარი თქვა **სესკ ფაბრეგასზე**, თავდასხმაში კი, სტატიკურად, ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ალექსის სანჩესი** გაამწესა, თუმცა ხომ იცით, რა ხდება ხოლმე „ბარსას“ წინა ხაზზე და ამგვარად, სანჩესს ტიპურ ცენტრფორვარდად მაინც ვერ მოვიხსენიებთ. პეპი დაცვის ცენტრში **მასკერანო-პიკეს** ტანდემს ენდო, **კარლეს პუიოლი** კი (როგორც ამას ხშირად აკეთებს ხოლმე) მარცხენა მცველად გადაისროლა.

### ანალიზი

„მილანმა“ თამაში ძალიან აქტიურად დაიწყო – ალეგრის ბიჭებმა პირველ წუთებში მაგრად შეუტიეს, რითაც ბარსელონელები აშკარად გააკვირვეს, კატალონიური გრანდის მცველები კი აიძულეს, შეცდომები დაეშვათ, რასაც მოჰყვა კიდეც რობინიოს რეალური საგოლე მომენტი: ჯერ ბოატენგმა დაარტყა საჯარიმოს მისადგომებიდან, მაგრამ ბურთი მცველს მოხვდა, რასაც იბრაჰიმოვიჩის მიერ რობინიოს მისამართით თავით გაკეთებული გადაცემა მოჰყვა, მაგრამ იდეალურ პოზიციაში, კარიდან ხუთ მეტრში მყოფმა ბრაზილიელმა **ვალდესის** კარს ააცილა. რაკი სწრაფი გოლი ვერ გაიტანეს, მილანელებმა უკან დაიხიეს და თამაში საკუთარი კარიდან 40 მეტრში გადაიტანეს – იტალიელები ხვდებოდნენ, რომ შეტევების გაგრძელების შემთხვევაში „კარგ ჩიტს ვერ დაიჭერდნენ“, რადგან „ბარსელონა“ ადრე თუ გვიან თავის თამაშს იპოვნიდა. მიუხედავად მილანელთა ასეთი სტრატეგიისა, თამაშის ტემპი 30-ე წუთამდე არ დავარდნილა, მერე კი „მილანმა“ თამაში დაამშვიდა და საკუთარი საჯარიმოს მისადგომებიც უფრო მყარად გადაკეტა. პირველ ტაიმში „ბარსას“ ბურთის ფლობის 66-პროცენტიანი მაჩვენებელი კი ჰქონდა, მაგრამ გვარდიოლას ბიჭებმა რეალური საგოლე მომენტი ვერ შექმნეს.

მეორე ტაიმში „მილანმა“ უფრო წინ, კერძოდ მოედნის ცენტრში მიმართა პრესინგს. შესაბამისად, თამაში არ დაიკეტა და რაკი მილანელები დაცვაში კვლავ მაქსიმალური კონცენტრაციით თამაშობდნენ, ბარსელონელებს მომენტების შექმნა ძალიან უჭირდათ. ზომიერი აგრესია და პოზიციურად უშეცდომო თამაში – აი, ეს იყო „მილანის“ მთავარი იარაღი და სწორედ ამიტომ ვერ აკეთებდნენ ბარსელონელები ბოლო პასს.

უკანასკნელ ათ წუთში „ბარსელონამ“ მაინც მოუმატა, რადგან მილანელებს დაღლა დაეტყოთ და კატალონიელებს ბოლო წუთებში გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ **აბიატიც** და „მილანის“ მცველებიც ბოლომდე მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ.

### დასკვნა

ფრე ლოგიკური და „მილანისთვის“ დამსახურებული შედეგია, რადგან „როსონერიმ“ დაცვაში უშეცდომოდ ითამაშა, ბარსელონელებს კი სიმსუბუქე აკლდათ. რატომ არის „სან სიროზე“ დაფიქსირებული 0:0 „მილანისთვის“ მისაღებზე უკეთესი შედეგი? იმიტომ, რომ „ნოუ კამპზე“ „ბარსელონა“ უმონყალოდ სავარაუდოდ არ შეუტევს, რაც „როსონერის“ კონტრიერიშებზე ხეირის ნახვის საშუალებას მისცემს. „მილანს“ „ნოუ კამპზე“ გოლის გატანა ნამდვილად ხელეწიფება და თუ ალეგრის გუნდი დაცვაში ისევ ასე კარგად ითამაშებს, თამამად უნდა ვთქვათ, რომ იტალიის ჩემპიონი უშანსოდ არ არის.

# სადაც რეალი, იქაც ბაიერნი!

## ერთი ნახევარფინალი უკვე ცხადია

**მარსელი–ბაიერნი 0:2**

ოთხი მეოთხედფინალური ჯახიდან, მეორე რაუნდისთვის რეალური ინტრიგა მხოლოდ „მილანისა“ და „ბარსელონას“ წყვილს შემორჩა, რადგან ისევე, როგორც „რეალმა“ და „ჩელსიმ“ სამშაბათს, „ბაიერნმაც“ სტუმრად მოიგო (2:0), რაც იმას ნიშნავს, რომ მიუნხენში გასამართი საპასუხო შეხვედრა ფაქტობრივად ფორმალობაა. ეს კი მხოლოდ იმ გუნდებისთვის და მათი ქომაგებისთვისაა კარგი, რომლებიც ცალი თუ ორივე ფეხით ნახევარფინალში არიან. „მარსელმა“ ძალიან კარგ ფორმაში მყოფ „ბაიერნს“ წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

### რეაქციები

**ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი): *„ძალიან კარგი შედეგი დავაფიქსირეთ, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, რადგან თუ გახსოვთ, ჯგუფურ ეტაპზე „ოლიმპიკმა“ დორტმუნდშიც სამი გოლი გაიტანა. შესაბამისად, ჯერ მაინც ადრეა იმაზე საუბარი, რომ ჩვენ უკვე ნახევარფინალში ვართ. რაც შეეხება იმას, რომ ხალხი ფიქრობს, თითქოს ყვითელი ბარათი განგებ მივიღე, რათა საპასუხო მატჩი გამოვტოვო და ნახევარფინალში დისკვალიფიკაციის საფრთხე აღარ დამემუქროს: შეგიძლიათ, ასე იფიქროთ, მაგრამ ეს არასწორია, რადგან არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ უკვე ნახევარფინალში ვართ.“*

**მარიო გომესი** (ბაიერნი): *„თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს იოლი გასეირნება იყო, ძალიან ცდება! ძალიან კარგად ვითამაშეთ და ორბურთიანი სხვაობით მოგება დავიმსახურეთ. სამი გოლის გატანაც შეგვეძლო...“*

**ფრანკ რიბერი** (ბაიერნი): *„საპასუხო მატჩის წინ ძალიან კარგ სიტუაციაში ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონცენტრაცია უნდა დავკარგოთ. მიუნხენშიც ასეთივე შემართებით უნდა ვითამაშოთ. ნახევარფინალი ძალიან ახლოსაა!“*

**TOP ფეხბურთელი**

**არიენ რობენი (ბაიერნი)**

ვერ ვიტყვით, რომ ჰოლანდიელმა პირველიდან ბოლო წუთამდე ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში მოწოდების სიმაღლეზე იდგა და მთავარიც ესაა. **რობენმა** ერთი გოლი თავად გაიტანა, ერთი კი გომესს გაატანინა. ამასთან, არიენმა ორთაბრძოლების 58 პროცენტი მოიგო და დაცვასაც ხშირად ეხმარებოდა.

**FLOP ფეხბურთელი**

**ელინტონ ანდრადე (მარსელი)**

**სტივ მანდანდას** არყოფნაში, „მარსელის“ თავკაცი **დიდიე დეშამი** მესამე მეკარეს ენდო და ძალიანაც მიჰქარა! ანდრადე რამდენიმე ჩაწოდებისას თავდაუჯერებელი გახლდათ და როგორც პირველ, ისე მეორე გოლშიც ბრალი მიუძღვის.

**ტაქტიკა-სტრატეგია**

როგორც მოსალოდნელი იყო, 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში **იუპ ჰაინკესმა** მარჯვენა მცველად **ფილიპ ლამი** გაამწესა, მარცხნივ კი **დავიდ ალაბას** ენდო. „დონ იუპმა“ ახალგამოჯანმრთელებული **ბასტიან შვაინშტაიგერი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა, **პეტერსენი** და **უსამი** კი 18-კაციან განაცხადშიც არ შეიყვანა.




კადრი, რომელიც შემთხვევითაა დაჭერილი, მაგრამ იდეალურად ასახავს იმას, რაც გუშინწინ ველოდრომზე მოხდა...

დეშამმა, როგორც ზემოთაც ვთქვით, დისკვალიფიცირებული მანდანდა ბრაზილიელი ანდრადეთი შეცვალა. **ანდრე აიუმ** და **ლოიკ რემიმ** გამოჯანმრთელება მოასწრეს და ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, ხოლო დაცვაში, ტრავმირებული **დიავარა ნ'კულუმ** შეცვალა.

### ანალიზი

ბავარიელებმა თამაში ოდნავ მოკრძალებულად, უფრო სწორად, გერმანელებისთვის დამახასიათებელ სტილში, კონსერვატიულად დაიწყეს: მიუხედავად იმისა, რომ „მარსელის“ სტრატეგია ამის საშუალებას იძლეოდა, ჰაინკესის ბიჭები ზედმეტ რისკებს ერიდებოდნენ. ფრანგები ორთაბრძოლებში ხისტად შედიოდნენ, მაგრამ პრესინგს არ მიმართავდნენ და მიუხედავად ამისა, „ბაიერნს“ „მარსელის“ მძლავრად დაწნეხვა არ უცდია. მეტიც: **ტონი კროოსი** და **ლუის გუსტავო** ზედმეტად ხშირად კარგავდნენ ბურთს. რიბერი შეწუხებული ჩანდა იმის გამო, რომ ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა, რასაც „ველოდრომის“ პუბლიკა ბურთთან მისი თითოეული შეხებისას სტვენით უწყობდა ხელს.

დეშამის მიზანი გასაგები იყო: მან აქცენტი კონტრშეტევებზე და შესაბამისად, ფლანგის ნახევარმცველებზე, **აიუსა** და **ამალფიტანოზე** გააკეთა, თუმცა ფრანგებს განსაკუთრებით პირველ ტაიმში აბსოლუტურად არაფერი გამოუვიდათ. მეტსაც ვიტყვით: ასეთი „ოლიმპიკი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ყოფნას არ იმსახურებს.

ტაიმის მიწურულს „ბაიერნს“ ოდნავ გაუმართლა, ანგარიში რომ გახსნა, რამაც რეკორდმაისტერი საბოლოოდ დაამშვიდა. ამიტომაც იყო, მეორე ნახევარში მიუნხენელებმა უკან რომ დაიხიეს, მარსელელები კი წინა ხაზზე უფრო აქტიურები გახდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ბაიერნელებს შეტევაში წასვლა აღარ სურდათ, კროოსმა კი მეორე ტაიმში არაზუსტ პასებს არნახულად უმატა, რის გამოც ჰაინკესმა გაიყვანა კიდეც მოედნიდან.

რობენის გოლი მშვენიერ კომბინაციას მოჰყვა, რამაც არა მარტო ამ მატჩის, არამედ, თამამად უნდა ვთქვათ, საერთოდ ამ წყვილის ბედი გადაწყვიტა და მიუნხენელებმა თამაში მშვიდად ჩაამთავრეს.

### დასკვნა

„ბაიერნს“ საუკეთესო ფეხბურთი ნამდვილად არ უთამაშია, მაგრამ რაც მთავარია, რეკორდმაისტერმა კარი მშრალად შეინახა და ორი გოლი გაიტანა. შესაბამისად, უკვე წყალი არ გაუვა იმას, რომ ნახევარფინალში „რეალისა“ და „ბაიერნის“ უმძაფრეს დუელებს ვნახავთ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ქართული სპორტი

ცხენოსნობა

# პირველი ქართველი მსოფლიო თასის ფინალში


შალვა გაჩეჩილაძე

საქართველოს ცხენოსნობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელიც ოლიმპიური პროგრამაა, ქართველი მხედარი მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს. პირველმა ამ წარმატებას მიაღწია თბილისელმა მხედარმა, 24 წლის **შალვა გაჩეჩილაძემ,** რომელმაც ბრწყინვალედ დაასრულა - „მსოფლიო თასი, კავკასიის ლიგა" - 2011-2012 წლის სეზონი. სულ ჩატარდა 7 ასპარეზობა.

კავკასიის ლიგისთვის მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე საასპარეზოდ განკუთვნილი ერთადერთი საგზური დარჩებოდა იმ მხედარს, რომელსაც შვიდი შეჯიბრებიდან ოთხი საუკეთესო შედეგის შეჯამებით უპირატესი მაჩვენებელი ექნებოდა.

მეშვიდე ასპარეზობა ბაქოში ამ დღეებში გაიმართა. შალვა გაჩეჩილაძე მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერთა შორის იყო და ბოლო შანსიც შესანიშნავად გამოიყენა. მართალია, მეშვიდე ეტაპზე გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებით ხტომებში მან 0,20 წამით დათმო ბაქოელ მხედარ **ელმარ აბდულაევთან,** საგზურის მოსაპოვებლად საბოლოოდ ეს მისთვის საკმარისი აღმოჩნდა, მასპინძლისთვის - არა!

ამრიგად, შალვა გაჩეჩილაძე საქართველოდან და, საერთოდ, კავკასიიდან პირველი მხედარია, რომელიც დაბრკოლებათა გადალახვაში მსოფლიო თასის გათამაშების ფინალში გამოვა. ეს ასპარეზობა ერთ თვეში, აპრილის ბოლოს გაიმართება ჰოლანდიაში.

დავძენთ, რომ აქამდე სამჯერ აზერბაიჯანელი ცხენოსანი მოხვდა მსოფლიო ეტაპების ფინალში, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღიათ.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

ფიგურული ციგურაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნიცა (საფრანგეთი). ქალები

# კარგი სტარტი ნიცაში: ელენე მეშვიდეა, ლიდერები - ახლოს

22 წლის **ელენე გედევანიშვილის** საუკეთესო მიღწევა მსოფლიოს ჩემპიონატებზე მე-10 ადგილია, ახლა კი ქართველ მოციგურავეს ბრწყინვალე შანსი აქვს მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ეს შედეგი, ნიცაში მოკლე პროგრამის ჩამთავრების შემდეგ ელენე მე-7 ადგილზეა და თან მეოთხეადგილოსან **მაო ასადას** მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება.


ელენე გედევანიშვილი ნიცაში

ეს მსოფლიოს პირველობა მეშვიდეა ელენეს კარიერაში, 2009 და 2011 წლებში მან საუკეთესო შედეგი აჩვენა - მე-10 ადგილზე გავიდა. სავარაუდოდ, ქართველს ამ შედეგის გამეორება (უარეს შემთხვევაში) არ გაუჭირდება, რადგან მე-11 ადგილზე მყოფ იტალიელ **ვალენტინა მარკეის** 6 ქულაზე მეტით უსწრებს. მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოკლე პროგრამის შემდეგ ჩვენებური ორჯერ იყო მე-8 ადგილზე (ვერც ერთხელ ვერ შეინარჩუნა), ასე რომ, მეშვიდე ადგილი მისი კარიერის საუკეთესო მიღწევაა მოკლე პროგრამაში მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

ქართველმა მოციგურავემ **ჯეიკობ გარდის** „ტანგო" შეასრულა, ტექნიკური ელემენტების სეგმენტში ჩვენებურმა 30,86 ქულა დააგროვა, ხოლო პროგრამულში - 27,63 ქულა. სასიხარულოა ისიც, რომ გედევანიშვილს ვინც უსწრებს, მათი დიდი ნაწილი ოდნავ დაწინაურდა, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია თავისუფალ პროგრამაში.

მოკლე პროგრამის წინ რუსი **ალიონა ლეონოვა** დაწინაურდა, მოულოდნელ ლიდერს 64,61 ქულა აქვს (6 ქულით მეტი, ვიდრე ელენეს). შემდეგ მოდის იაპონელი **კანაკო მურაკამი** 62,67 ქულით (4 ქულა უპირატესობა გედევანიშვილთან). საპრიზო სამეულში ევროპის 4-გზის ჩემპიონი **კაროლინა კოსტნერია** (იტალია) - 61 ქულა (ელენეს 2,5 ქულით უსწრებს). როგორც ხედავთ, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაც სავსებით რეალურია.

ქალთა თავისუფალი პროგრამა ხვალ, 31 მარტს გაიმართება. შეჯიბრება საქართველოს დროით 20:30 სთ-ზე დაიწყება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სატურნირო მდგომარეობა მოკლე პროგრამის შემდეგ. ტოპ-10

| სპორტსმენი | ქვეყანა | ქულა |
|---|---|---|
| 1. ალიონა ლეონოვა | რუსეთი | 64.61 |
| 2. კანაკო მურაკამი | იაპონია | 62.67 |
| 3. კაროლინ კოსტნერი | იტალია | 61.00 |
| 4. მაო ასადა | იაპონია | 59.49 |
| 5. აკიკო სუზუკი | იაპონია | 59.38 |
| 6. ქსენია მაკაროვა | რუსეთი | 58.51 |
| 7. ელენე გედევანიშვილი | საქართველო | 58.49 |
| 8. ეშლი ვაგნერი | აშშ | 56.42 |
| 9. კექსინ ჟანგი | ჩინეთი | 55.00 |
| 10. ვიქტორია ჰელგესონი | შვედეთი | 54.19 |

სპორტის სამინისტროში




# საპატიო წოდებები: დაფასება და სტიმული

კარგა ხანია დღის წესრიგში დგას სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭების სრულყოფის საკითხი. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში რამდენიმე თვის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ შეიქმნა პროექტი, რომელიც გუშინ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა სამინისტროსთან არსებულმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ამავე სამინისტროს ხელმძღვანელებთან, წამყვან მუშაკებთან და იურისტებთან ერთად.

სხდომას უძღვებოდა მინისტრის მოადგილე **გია გალდავა.** ახალ პროექტზე პუნქტობრივად მსჯელობისას გამოითქვა მთელი რიგი შენიშვნები, რომლის გათვალისწინება აამაღლებს სპორტული ფედერაციების პასუხისმგებლობას საპატიო წოდებებზე მუშაკთა წარდგენისას, ამავე დროს გააფართოებს მათ უფლებებს, სტიმულს მისცემს დარგის სპეციალისტებს. წინა პლანზე წამოიწევს სპორტული წოდებისა და ამ სფეროში გაწეული ღვაწლის შესაბამისობა. ამასთან, გაჩნდება არაობიექტურობისგან დამცავი მექანიზმები, მათ შორის კომისიის უფლებების გაფართოების ხარჯზე.

კომისიის წევრები და იურისტები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სამი დღე კიდევ იმუშავებენ პროექტის დახვეწაზე და სამშაბათს დაგეგმილ სხდომაზე პროექტის საბოლოო რედაქციას წარადგენენ დასამტკიცებლად.

**თენგიზ თომაშვილი**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ინტერვიუ

# ადეიშვილი შარშანდელის გამეორებას იმედოვნებს

**მკითხველმა უკვე იცის, ჩვენი ახალგაზრდა მოჭიდავეები როგორი წარმატებით გამოვიდნენ რიგაში ჩატარებულ ფრეინდელფელდსის სახელობის საერთაშორისო ტურნირში - უკლებლივ ყველა მონაწილე მედლით დაბრუნდა. „თავისუფლები" 14 მოჭიდავით იყვნენ წასული, ბერძენ-რომაელები - 16-ით და ოცდაათივემ ჯილდო მოიპოვა. აქვე უნდა ვთქვათ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით მომხდარ უზუსტობაზე - ვწერდით, რომ ბერძენ-რომაელები რიგაში 17 ფალავნით გამოვიდნენ, რომელთაგანაც უმედლოდ მხოლოდ ზურაბ გედეხაური დარჩა. ამ შემთხვევაში ოფიციალურად მოწოდებულ გუნდის შემადგენლობას ვეყრდნობოდით, თუმცა თურმე გედეხაური ლატვიაში არ წასულა.**


ვლადიმერ ადეიშვილი

შეგახსენებთ, რომ ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონები **ზურაბ სანიკიანი** (50), **რამაზ სურმანიძე** (55), **გიორგი დავითაია** (66), **თორნიკე ძამაშვილი** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84) და **ლევან არაბული** (120) არიან, ვიცე-ჩემპიონობა **გიზო მელაძემ** (50), **ხვიჩა ჭითავამ** (60), **იაკობ ქაჯაიამ** (96) და **შოთა გოგისვანიძემ** (120) მოიპოვეს, ბრინჯაოს მედლები კი **ნიკა ცეცხლაძეს** (55), **ამირან შავაძეს** (60), **ფირუზ წულუკიძეს** (66), **ლაშა გობაძეს** (74), **დავით ჩაკვეტაძეს** (84) და **ბექა ქურცაძეს** (96) ერგოთ.

„თავისუფალთა" ტურნირი **ბექა ბუჯიაშვილმა** (50), **ლევან ქელეხსაშვილმა** (60), **ზურაბ იაკობაშვილმა** (66), **სანდრო ამინაშვილმა** (84), **ომარ გუსოშვილმა** (96) და **გენო პეტრიაშვილმა** (120) მოიგეს, **ლაშა ტალახაძემ** (55), **ლაშა ბითარაშვილმა** (60) და **გიორგი მეშვილდიშვილმა** (96) მხოლოდ ფინალური შეხვედრები დათმეს და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ, მესამე პრიზიორები კი **ოთარ გოგავა** (55), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **ზურაბ ყველაშვილი** (74) და და **ლევან გოგრიჭიანი** (84) გახდნენ.

ჩვენები უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში. ამჯერად განვლილ შეჯიბრებაზე ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაც **ვლადიმერ ადეიშვილს** ვესაუბრეთ, რომელიც რთული ამოცანის წინაშე დგას - არ დათმოს შარშან მოპოვებული პოზიციები, როცა მისმა გუნდმა 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვა.

**- თავდაპირველად ტურნირის სიძლიერეზე ვთქვათ, თორემ 16-ივე მოჭიდავისგან მედლის მოპოვება იმდენად სასიამოვნო მოულოდნელობაა, ეჭვი შეჯიბრების სისუსტეზე ჩნდება.**

- 19 ქვეყანა მონაწილეობდა, თუმცა არ ვიტყვი, რომ უძლიერესი ტურნირი იყო. უფრო საშუალო დონის შეჯიბრებებში გადის, მაგრამ დასაწყისში ზუსტად ასეთ სტარტს ვარჩევ და მერე თანდათან ვაძლიერებ დატვირთვებს. ეს ჩემეული მეთოდია და ყოველწლიურად ასე ვაკეთებ - ვიწყებ სუსტით, შემდეგ შედარებით უკეთესზე მიმყავს, ბოლოს კი ძლიერ შეჯიბრებაზე ვაჭიდავებ. რიგაში რუსები, აზერბაიჯანელები, ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცის კიდევ რამდენიმე ქვეყანა არ გამოდიოდა, ძირითადად არასაბჭოური ევროპის გუნდები ასპარეზობდნენ - პოლონელები, გერმანელები და სხვა ისეთები ნაკრებები, რომლებსაც კარგი ფალავნები მოეპოვებათ. ერთი სიტყვით, დასაზვერად კარგი ტურნირია.

**- თუმცა ყველაზე მედალი დაგეგმათ, ალბათ, ცოტა თამამი ოცნება იქნებოდა.**

- ცხადია, ყველა ფალავნისგან მედლის მოპოვებას ვინ იფიქრებდა! თან ბევრგან საქართველოს ჩემპიონები დამარცხდნენ ანუ მათ მოადუნეს ყურადღება. ეტყობა, იფიქრეს, რადგან საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, მაინც წაიყვანენ ევროპის პირველობაზე, თუმცა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენს ნაკრებში ასე არ ხდება. აქ მთელი მოსამზადებელი ციკლის განმავლობაში უნდა შეინარჩუნო სტაბილურობა. იმედია, რიგაში მარცხი მათთვის კარგი გაკვეთილი იქნება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ საქართველოს პირველობის ფინალში წაგებულებმაც მოუმატეს მას შემდეგ, ანუ მათთვის ის წაგება აღმოჩნდა ჭკუის სასწავლი და სტიმულის მიმცემი გაკვეთილი. ქვეყნის პირველობის შემდეგ გუნდმა შეკრებაც გაიარა და ეროვნულ ნაკრებთან ერთადაც ივარჯიშა. ეტყობა, ამან ზოგზე სასიკეთოდაც იმოქმედა და მოუმატეს.

**- შედეგიდან გამომდინარე, შეგირდთა გამოსვლით უკმაყოფილო არ უნდა იყოთ, თუმცა თაობათა ცვლაც შეგეხოთ და ბევრი ახალი კადრიცაა. პრაქტიკულად ახალი ნაკრები იქმნება და როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ამ გუნდმა?**

- რიგაში ორი გუნდი მყავდა წაყვანილი - საქართველოს პირველობის ფინალისტები. ისე მოხდა, რომ ქვეყნის ჩემპიონთა უმეტესობა დამარცხდა, რითაც კმაყოფილი ნამდვილად არ ვარ. თუმცა ქვეყნის ვიცე-ჩემპიონთა გამარჯვებაც სასიამოვნოა. ქვეყნის ჩემპიონთაგან მხოლოდ დავით სანიკიანმა გაიმარჯვა 55-ში და კიდევ ლევან არაბულმა - მძიმე წონაში.

საქართველოს ჩემპიონთაგან რიგაში ზოგმა ვერ იყოჩაღა, თუმცა ჩვენებთან არ დამარცხებულან. მაგალითად, 96-ში იაკობ ქაჯაიამ ლიტველთან გამოუცდელობით წააგო. ის ჭაბუკებიდანაა გადმოსული და ახალგაზრდებში ასპარეზობის გამოცდილება აკლია, ამ ორ ასაკს შორის კი დიდი სხვაობაა. თან ჩემი დაკვირვებით, ჭაბუკებიდან გადმოსულებს 2-3 სეზონი სჭირდებათ შედეგისთვის, პირველივე წელს ვერავინ აღწევს წარმატებას.

**- ვთქვათ, საქართველოს ჩემპიონატს რომ ადარებდით, იყო ბიჭების ჭიდაობაში პროგრესი ან - პირიქით, თუ იგივე დონე აჩვენეს?**

- კონკურენტებთან დამარცხებულ ჩემპიონებს თუ არ ჩავთვლით, სხვებში ნამდვილად საგრძნობი პროგრესი იყო. მაგალითად, 66-ში -გიორგი დავითაიას, 74-ში - თორნიკე ძამაშვილს, 84-ში - რობერტ ქობლიაშვილს. დავითაიამ ფირუზ წულუკიძეს აული რევანში, ძამაშვილმა - ლაშა გობაძეს. 84-ში ქვეყნის ჩემპიონი

» გვ-11 გვერდზე

« მე-10 გვერდიდან

დავით ჩაკვეტაძე გახდა, რომელიც უფრო გამოცდილია, მაგრამ რიგაში ქობლიაშვილმა უფრო დამაჯერებლად იჭიდავა. ერთმანეთს არ შეხვედრიან, მაგრამ ქობლიაშვილმა ძალიან იოლად მოუგო იმ ბელარუს მეტოქეს, ვისთანაც ჩაკვეტაძე დამარცხდა.

პრეტენზიები ყველა იმ ფალავანთან მაქვს, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონატზე მოპოვებული ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლეს. ეს მათ ადგილზეც ვუთხარი, თუმცა მოვლენათა ასეთი შეტრიალებაც ზრდის კონკურენციას, რაც კარგია - ახლა ყველა წონაში 2-2 ანგარიშგასაწევი ფალავანი გვყავს. წინ კიდევ ორი საერთაშორისო ტურნირია და შანსი ყველას მიეცემა.

**- მძიმე წონაში ეროვნულ ნაკრებში სერიოზული საკადრო კრიზისია, ამ დროს კი თქვენთან კონკურენცია იზრდება. ამ წონაზე რას იტყვით?**

- არაბულმა ბოლო ხანებში მოუმატა, რაც მისასალმებელია. ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მზადაა, მაგრამ პროგრესი ნამდვილად არის. გოგისვანიძეს ტრავმის გამო ძალიან ბევრი დრო გაუცდა და ახლაც სულ რალაც ორი კვირის განახლებული ჰქონდა ვარჯიში, ოლონდ ჯერ მხოლოდ ფიზიკურად ემზადებოდა, ლეიბზე კი ნავარჯიშები არც ჰქონდა. ამდენად, ძალისმიერი ვარჯიშიდან პირდაპირ წავიყვანეთ ტურნირზე, რადგან იმდენი გაცდენის შემდეგ საშეჯიბრო პრაქტიკა სჭირდებოდა. ამ შემთხვევაში შედეგი მეორეხარისხოვანი იყო. უფრო ის გვაინტერესებდა, ტრავმა თუ მოირჩინა და ბოლომდე გამოჯანმრთელდა. ტურნირმა დაგვანახა, რომ ფორმაში არ იყო, მაგრამ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები მოგვარებულია. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მას ისევ პირველ ნომრად განვიხილავთ, თუმცა წინ კიდევაა ტურნირები დარჩენილი.

**- ანუ იმედოვნებთ, რომ შარსანდელ ფორმას დაიბრუნებს?**

- ძალიან გვეიმედება. მას ხერხემალზე სერიოზული პრობლემები ჰქონდა, თუმცა იმკურნალა და ბოლომდე გამოჯანმრთელდა, რაც ამ შეჯიბრებამაც დამანახა.

**- შარშანაც კარგი გუნდი გყავდათ და კარგ შედეგსაც მიაღწიეთ. კონკურენცია წლეულსაც დიდია, თუმცა ხომ არ ფიქრობთ, რომ შარშან უფრო მეტი იყო?**

- კონკურენცია წლეულსაც რომ დიდია, ეს პირველივე ტურნირმა დაადასტურა. ვიმედოვნებ, შედეგიც ისეთივე იქნება, როგორსაც შარშან მივაღწიეთ.

**- ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის როგორი გეგმით მოემზადებით?**

- 25-28 აპრილს ბაქოში გამოვალთ „აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე", სადაც გაფართოებულ შემადგენლობას წავიყვან - 2-2 გუნდს კიდევ დავამატებ რამდენიმე ისეთ მოზარდს, ვინც საგაისოდ გადმოვა ჩვენს ნაკრებში. მინდა, ისინი აქედანვე შეეჩვიონ აქაურ დატვირთვებს. მაისში თურქულ იზმირში გამოვალთ, ბოლოს კი გვინდა, კიდევ ერთხელ გამოვიდეთ ბაქოში, „პრეზიდენტის თასზე". ეს შეჯიბრება შარშან ჩაატარეს გუნდური პრინციპით და წლეულსაც აპირებენ, თუმცა ჯერ მიწვევა არ მიგვილია. გუნდური ტურნირი გვაწყობს იმდენად, რომ მოიგებს თუ წააგებს, ყველა მოჭიდავეს 4-5 შეხვედრის ჩატარება გარანტირებულად უწევს და ჩვენც დაკვირვების მეტი საშუალება გვეძლევა.

**- ერთობლივი შეკრებები თუ გექნებათ უცხოეთში ან - ადგილზე?**

- ორი დღის წინაც დამირეკეს სომხებმა - აქ უნდათ ჩამოსვლა, მაგრამ მე არ მიმაჩნია ეს საჭიროდ. თუმცა ამ საკითხზე ჯერ გადაწყვეტილება არ მიმილია, მაგრამ გუნდის გაშიფვრას ასე ცალკე ვარჯიში მირჩევნია.

**- ალბათ, წლეულსაც გაგრძელდება შარშანდელი მიდგომა, როცა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე სხვადასხვა შემადგენლობა აჭიდავეთ.**

- ამას წლეულსაც ვაპირებთ, რადგან ჩვენი მთავარი მიზანი მაინც ეროვნული ნაკრებისთვის კადრების გაზრდაა. ცხადია, შედეგიც გვაინტერესებს, მაგრამ მთავარია, რაც შეიძლება გავაფართოვოთ კონკურენცია და ვინც კი გამოჩნდება პერსპექტიული, ყველას მივცეთ თავის გამოჩენის საშუალება.

წლეულს ძალიან კარგია ის ფაქტი, რომ ევროპიდან მსოფლიომდე დროც მეტი მექნება მოსამზადებლად. შარშან ამ ტურნირებს შორის სულ რალაც ორკვირიანი შუალედი იყო, წლეულს კი ევროპა 19-24 ივნისს ტარდება ზაგრებში, მსოფლიო - 4-9 სექტემბერს ტაილანდურ პატაიაში.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# იმედგაცრუება

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთაგან ევროპის წინა 12 ჩემპიონატში **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** თითო ოქროს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო **ბაადურ ჯობავა** თითო ვერცხლსა და ბრინჯაოს დასჯერდა. პლოვდივში მიმდინარე მე-13 ჩემპიონატში იგი რვა ტურის შემდეგ ახლოს იყო კიდევ ერთ საპრიზო ადგილთან, მაგრამ კვარცხლბეკისკენ მიმავალი გზა მოსკოველმა თანამემამულემ - **მიხეილ ქობალიამ** გადაუღობა. გალელ დიდოსტატს შუა თამაშში თითქოს ურიგო პოზიცია არ ჰქონდა, მაგრამ 30-ე სვლისთვის ცაიტნოტში აღმოჩნდა. ბოლო წუთნახევარში ზუსტი სვლების მოძებნა ვერ მოახერხა და მეორმოცეზე გამარჯვება მიულოცა მეტოქეს, რომელმაც, დაწინაურებულთა მსგავსად, 7 ქულას მოუყარა თავი.

6,5-ქულათაგან დაზავდნენ ვლადიმირ აკოპიანი (სომხეთი) და ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი), ხოლო მაქსიმ მატლაკოვი (რუსეთი) 6-ქულიან თანამემამულე ნიკიტა ვიტიუგოვს შეუთანხმდა ყაიმზე. მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ერნესტო ინარკიევი (რუსეთი) - ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) 1:0, გავაინ ჯონსი (ინგლისი) - ანდრეი ვოლოკიტინი (უკრაინა) 0,5:0,5, ლორენ ფრესინე (საფრანგეთი) - ანტონ კორიბოვი (უკრაინა) 1:0, იური კუზუბოვი (უკრაინა) - ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) 0:5:0,5, დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი) - ანდრეი ისტრატესკუ (საფრანგეთი) 1:0, იგორ ხენკინი (გერმანია) - მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი 0,5:0,5.

ამდენად, 9 ტურის შემდეგ აკოპიანს, მალახოვს, მატლაკოვს, ინარკიევს, ანდრეიკინს, ქობალიას, ფრესინეს 7-7 ქულა აქვთ, 21-მა მოჭადრაკემ 6,5-6,5 ქულა მოაგროვა. ამგვარ სიტუაციაში, თანაც ჩემპიონატის დამთავრებამდე როცა ორი ტურია დარჩენილი, ჯობავას მედლებისთვის ბრძოლა, პრაქტიკულად, გამორიცხულია, უკიდურეს შემთხვევაში თეორიული შანსის დაშვებაა შესაძლებელი და, ღმერთმა ქნას, ასეც მოხდეს. აი, დანარჩენი ქართველი მოჭადრაკეებისთვის გუშინდელი პარტიების შემდეგ კვარცხლბეკისკენ მიმავალი გზა საერთოდ ჩაიხერგა: **მიხეილ მჭედლიშვილი** 41-ე სვლაზე დანებდა ვიქტორ ბოლოგანს (მოლდოვა), **შოთა აზალაძე** 32-ე სვლაზე დამარცხდა მარკუს რაგერთან (ავსტრია), ხოლო ზახარ ეფიმენკომ (უკრაინა) **ლევან ფანცულაიას** მე-40 სვლაზე გააჩერებინა საათი. ტომაშ მარკოვსკი (პოლონეთი) - **დავით ბენიძე** 1:0, დანიუშ სვერჩი (პოლონეთი) - **დავით ლომსაძე** 1:0, **ლუკა პაიჭაძე** - გერხარდ შროლი (ავსტრია) 0.5:0.5, ემანუელ შიენდორფი (შვეიცარია) - **გაიოზ ნიგალიძე** 0:1, **გიორგი ხელაია** - ვოლოდიმირ ვდოვენკო (უკრაინა) 1:0.

ამდენად, გუშინ ჩვენებურებმა 9 შეხვედრიდან ორი მოიგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და ექვსი ორთაბრძოლა წააგეს, რაც ნამდვილი იმედგაცრუება იყო ფინიშის სწორზე გასვლის წინ.

ქართველთა მონაგარი 9 ტურის შემდეგ: ჯობავა - 6, მედლიშვილი, აზალაძე - 5,5-5,5, ფანცულაია - 5, ბენიძე, ლომსაძე, ნიგალიძე - 4,5-4,5, პაიჭაძე - 4, ხელაია - 2,5 ქულა.

ორი საინტერესო ფაქტიც: გუშინ შეჯიბრებას გამოეთიშა ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი შაჰრიარ მამედიაროვი (2752). აზერბაიჯანელმა დიდოსტატმა ზედიზედ ექვსი ყაიმის შემდეგ მეშვიდე პარტია კი მოიგო, მაგრამ მერვეში აზალაძესთან თამაშზე დააგვიანა და წაგება ჩაეთვალა. გუშინ მე-9 ტურში იგი 40 სვლამდე შეუთანხმდა ყაიმზე (რაც აკრძალულია) ალონსო როსელს. ორივეს ტექნიკური დამარცხება ჩაუწერეს, რის გამოც მამედიაროვმა განცხადება დაწერა და შეჯიბრება მიატოვა.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩდნენ აზერბაიჯანელი ელთაჯ საფარლი და ტალ ბარონი (ისრაელი). ისინიც 40 სვლამდე დაზავდნენ, ოლონდ მას შემდეგ, რაც პოზიცია სამჯერ გამეორდა. მსაჯთა გადაწყვეტილება მოჭადრაკეებმა გააპროტესტეს, მაგრამ მათი აპელაცია არ დააკმაყოფილეს.

**ვაჟა დანელია**


შოთა აზალაძე

● რეგიონი. ძიუდო

# ახმეტიდან კიევში...

ვეტერანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოში **ნუგზარ მესაბლიშვილი**, რომელიც უკრაინაში ცხოვრობს, წარმოშობით ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვარელწყლიდანაა. კიევში ყოველ წელს ტარდება მისი სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომლშიც ქართველი ვეტერანის მიწვევით, სისტემატურად მონაწილეობენ ახმეტელი ჭაბუკი ძიუდოისტები.

გუშინწინ ახმეტაში, ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლის დარბაზში სწორედ კიევში გასამგზავრებელთა შესარჩევად ჩატარდა ახმეტის მუნიციპალიტეტის პირველობა 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის 9 წონით კატეგორიაში. საუკეთესოები 70 მონაწილის დაძაბულმა ორთაბრძოლებმა გამოავლინა.

პირველ ადგილზე გავიდნენ: **მიშიკო შათირიშვილი** (30 კგ, სოფ. მატანი), დათო ფაქიზაშვილი (34, ახმეტა), გიორგი ახალაური (38), რობი მღებრიშვილი (42), **გიორგი სუხოშვილი** (46), **ილია ბათურიშვილი** (50), **ბაჩანა სარქისაშვილი** (55, ყველა — სოფ. მატანი), **გიორგი ქიბროწაშვილი** (60, ახმეტა), **გიორგი კვიცაშვილი** (მძიმე, სოფ. ქისტაური).

**ლელა ხეჩოშვილი**
გურჯაანიდან

● წყალბურთი



# დღეს ოლიმპიკში

საწყლოსნო კომპლექს "ოლიმპიკში" დღეს დაიწყება საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც ექვსი გუნდი იასპარეზებს. შარშანდელ პირველობაში ოთხი მონაწილეობდა. ოქროს მედალი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყლოსნო კლუბმა :ლიგამუსმა" მოიპოვა, მეორე ადგილზე "თბილისი" გავიდა, ბრინჯაოს მედალი ერგო "ივერიას", რომელიც 1993-1994 წლებში დაბადებულთა საქართველოს ნაკრების წევრებით (მწვრთნელი **რევაზ ჩომახიძე**) იყო დაკომპლექტებული. მეოთხე ადგილი "ზვიგენებს" ერგო. წლეულს ამ კვარტეტს ორი გუნდი დაემატება – "ბათუმი" და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (1995 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი), რომელსაც სერბი სპეციალისტი **იოვან პოპოვიჩი** ავარჯიშებს. ამას წინათ ჩვენი ბიჭები ნოვი სადსა და ბელგრადში იყვნენ საწვრთნელ შეკრებაზე და თანატოლებთან ოთხი შეხვედრაც გამართეს: ორი მატჩი მოიგეს, ერთი ორთაბრძოლა ფრედ დაამთავრეს, ერთი წააგეს და მასპინძელთა შექებაც დაიმსახურეს. პოპოვიჩის შეგირდები 6-8 აპრილს "ოლიმპიკის" საცურაო აუზში სახელოვანი წყალბურთელის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორის – **ნოდარ გვახარიას** თასზე იასპარეზებენ. ეს საერთაშორისო ტურნირი თბილისში მეორედ ჩატარდება. ქართველები თურქებს, ყაზახებსა და ბელარუსებს დაუპირისპირდებიან.

დღეს კი ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ითამაშებენ: „ივერია"-„თბილისი", ჭაბუკთა ნაკრები-„ბათუმი", „ზვიგენები"-„ლიგამუსი".

**ვაჟა დანელია**

● მაგიდის ჩოგბურთი

# ჩვენებურებს კორეელი დამოძღვრავს

საქართველოში მაგიდის ჩოგბურთი ყოველთვის სარგებლობდა დიდი პოპულარობით. აქაური ათლეტები საგულისხმო წარმატებებს აღწევდნენ საერთაშორისო სარბიელზე. მაგრამ გავიდა დრო და სპორტის ეს სახეობა, ფაქტობრივად, დავიწყებას მიეცა. და აი, ბოლო პერიოდში მისი აღორძინება დაიწყო. ენთუზიასტებს მხარში დაუდგა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, რომელმაც ფედერაციას ნაკრების წევრების მოსამზადებლად და შეჯიბრებების ჩასატარებლად სპორტკომპლექს "არენაში"დარბაზი გამოუყო.



- სპორტის სამინისტროს, პირადად მინისტრ ვლადიმერ ვარძელაშვილის დახმარებით დავუკავშირდით ახალგაზრდა კორეელ მწვრთნელს, თავისი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონსა და მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორ სო იონ ლის, - გვითხრა საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ხათუნა ფირცხალავამ**, - აზიელი სპეციალისტი სკოლებისთვის მაგიდის ჩოგბურთის მწვრთნელების მომზადებაში, წვრთნისა და სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში დაგვეხმარება. ცხადია, ნაკრების წევრებსაც გაუწევს კონსულტაციებს.

გვაქვს ერთი სიახლეც: ბოლო დროს მჭიდრო კონტაქტები დავამყარეთ ევროპის ჩოგბურთის ფედერაციასთან, რომელმაც საკმაოდ ძვირადღირებული ჩოგბურთის ექვსი მაგიდა გამოგვიყო მთელი კომპლექტით. აპრილის ბოლოს იქაური წარმომადგენელიც გვეწვევა და ჩვენს მწვრთნელებთან თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს გამართავს.

**- უწინ საქართველოში მაგიდის ჩოგბურთის უმთავრეს კერებს ბათუმი და თბილისი წარმოადგენდა. დღეს რა მდგომარეობაა?**

- ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად ძირითად წყაროდ, ალბათ, ისევ ეს ორი რეგიონი დარჩება, მაგრამ ახლახან თბილისში გამართულმა შეჯიბრებამ დაგვანახვა, რომ პერიფერიებშიც გვყავს ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები. დღეისთვის მაგიდის ჩოგბურთის ჯგუფები მუშაობს თბილისში, აჭარაში, რუსთავში, ქუთაისში, ლანჩხუთში, აბაშასა და ზესტაფონში. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ინვენტარის შეძენას გპირდება, რის შემდეგაც გეოგრაფიას გავზრდით, მით უმეტეს, რომ კორეელი იონ ლის დახმარებით სპეციალისტთა დეფიციტი არ გვექნება.

**- შეჯიბრებებს თუ გეგმავთ?**

- აუცილებლად. აპრილის დასაწყისში თბილისის პირველობას გავმართავთ ოთხ ასაკში, მერე საქართველოს ჩემპიონატსაც ჩავატარებთ. ჯერჯერობით უცხოურ ტურნირებზე გამგზავრებას მოვერიდებით – არ გვინდა, შეჯიბრებებზე ტურისტებად მოგვნათლონ: სათანადოდ მოვძლიერდებით და საერთაშორისო სარბიელზე თავის გამოჩენის დროც მოვა.

**ვაჟა დანელია**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".



კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ზაზა ფაჩულია: ყველა გვჭირდება, თუ არა – გაგვიჭირდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ატლანტა ჰოქსმა" „ჩიკაგო ბულზს" უმასპინძლა. ფავორიტის სტატუსით სტუმრები სარგებლობდნენ და გაამართლეს კიდეც. მწვრთნელ **ტომ ტობოდოს** საათის მექანიზმივით აწყობილი გუნდი ჰყავს. ლიდერის, **დერეკ როუზის** არყოფნას ჩიკაგოელები არ იმჩნევენ, თამაშს თამაშზე იგებენ. მათ ჯორჯიის შტატში სეზონის 41-ე გამარჯვებას მიაღწიეს, ოდენ 11 შეხვედრა აქვთ წაგებული.

პირველის გარდა „ხარებმა" სამივე პერიოდში დამაჯერებლად ითამაშეს. მატჩის დასაწყისში კი „ატლანტა" ჰგავდა ფავორიტს: სამწამიან ზონასაც კარგად აკონტროლებდა, მეტოქეს არც შორი და არც ახლო დისტანციიდან ზუსტად ტყორცნას არ ანებებდა. თავად „ქორები" ბურთს კარგად ატრიალებდნენ და დამაგვირგვინებელ ფაზაშიც სიზუსტით გამოირჩეოდნენ. **ჯო ჯონსონსა** და **ჯოშ სმიტს** არც **ზაზა ფაჩულია** ჩამორჩებოდა. 28 წლის ქართველმა პირველი მეოთხედი 5 ქულით დაასრულა, ორიდან 2-2 ორქულიანი და საჯარიმო სტყორცნა და მხოლოდ 1 საჯარიმო ვერ გამოიყენა. პირველი მეოთხედი „ატლანტამ" 23:21 მოიგო.

მეორე პერიოდიდან მოედანზე სათადარიგოების გამოჩენას „ჰოქსის" დალმასვლა დაემთხვა, „ჩიკაგომ" 10-ქულიანი ფორა დაიბევა და მატჩის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვია. როგორც ჩანს, „ხარები" შესანიშნავ ფორმაში არიან. აბა სხვა რას უნდა დავაბრალოთ, რომ მათ პირველი ტაიმის ბოლო წუთამდე 6-დან 6 სამქულიანი ჰქონდათ გამოყენებული.

პირველ ტაიმში ზაზას ხელი ჩიკაგოელ **კორვერს** შუბლში მოხვდა და მოედანი სისხლიანმა დატოვა. წინა დღისით მილუოკიში კი, ხუთი ნაკერი დასჭირდა „ატლანტას" კაპიტან ჯო ჯონსონს. ტრავმა მანაც ფაჩულიასთან შეჯახების შემდეგ მიიღო.

„ატლანტა ჰოქსი" აღმოსავლეთის კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა (30 მოგება, 22 მარცხი), პირველია „ჩიკაგო" (მისი მონაგარი დასაწყისში გაგაცანით). ჯორჯიელები მომდევნო თამაშს 30 მარტს შინ „ნიუ იორკთან" შინ გამართავენ.

■ ■ ■



„ატლანტას" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ზაზა ფაჩულიას ინტერვიუ, რომლიც ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს. მას, პირველ რიგში, „იუტასთან" ოთხ ოვერტაიმზე ჰკითხეს.

- 4 დამატებითი ხუთწუთეული... ეს სიგიჟე იყო. გადამწყვეტ მომენტში თავისი საქმე კარგად შეასრულა ჯო ჯონსონმა, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი ტყორცნა გამოიყენა. ბოლო ოვერტაიმში ვილი გრინის სამქულიანიც ძალიან დაგვეხმარა გამარჯვებაში. მიხარია, ასეთი გუნდის წევრი რომ ვარ.

**- რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ბევრი აღარ დარჩა...**

- ვცდილობთ, რაც შეიძლება უკეთეს პოზიციაზე ჩავამთავროთ რეგულარული, რათა პლეი ოფში სხვა გუნდებთან გარკვეული უპირატესობა მოვიპოვოთ. ამასთან, მნიშვნელოვანია კონფერენციის მეოთხედფინალს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდეთ და საუკეთესო თამაში ვუჩვენოთ. გუნდთან ერთად მეც ამისთვის ვემზადები.

**- სადღეისოდ „ატლანტაში" არაერთი ტრავმირებულია...**

- იმედია, ჯანერო პარგო მალე შემოგვიერთდება, დაგვიბრუნდნენ ვლადიმირ რადმანოვიჩი და ჯეისონ კოლინზი. აპრილის შუამდე ისინი ფორმას აკრეფენ და ისევე ათამაშდებიან, როგორც ტრავმამდე. პლეი ოფის შეხვედრებში ხომ თითოეული კალათბურთელი გვჭირდება. თუ რესურსი სრულად არ აამოქმედე, შედეგს ვერ მიაღწევ.

| ატლანტა–ჩიკაგო | | 77:98 |
|---|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 32 წუთი, 7 ქულა (5/3 ორქულიანი, 2/1 საჯარიმო), 10 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 3 ფოლი, 3 შეცდომა.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 11:21 | 0-0 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 10:04 | 2-4 | დაფარება: 1 (დენგს დაუფარა) |
| 9:53 | 2-6 | ორქულიანი: 2ძ |
| 8:45 | 4-7 | საჯარიმოები: 2/1 (3ძ) |
| 7:24 | 5-11 | ჩაჭრა: 1 (ბუზერს აართვა) |
| 7:18 | 5-13 | ორქულიანი: 5ძ |
| 6:16 | 7-13 | შეცდომა: 1 |
| 4:37 | 12-16 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 2:42 | 17-21 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 2:31 | 17-21 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |
| **II პერიოდი** | | |
| 6:18 | 40-31 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 3:02 | 49-36 | ფოლი: 1 |
| 2:18 | 54-38 | ორქულიანი: 7ძ |
| 1:44 | 54-38 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 1:42 | 54-38 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 1:23 | 54-38 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| **III პერიოდი** | | |
| 11:38 | 54-42 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 5:46 | 62-56 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 4:03 | 66-56 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 3:36 | 69-56 | ი. ჯონსინმა ზაზა შეცვალა |
| 1:28 | 74-58 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | | |
| 10:56 | 76-60 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 |
| 10:52 | 76-60 | ფოლი: 2 |
| 10:52 | 76-60 | შეცდომა: 2 |
| 10:37 | 77-60 | მოხსნა: შეტ-2, დაც-7 |
| 9:42 | 79-64 | მოხსნა: შეტ-2, დაც-8 |
| 8:30 | 81-66 | შეცდომა: 3 |
| 5:39 | 86-68 | ფოლი: 3 |
| 5:39 | 86-68 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

ბავშვთა კალათბურთი



# ყირიმელი 120-ე სკოლას ჩემპიონობისკენ გაუძღვა

გუშინ დასრულდა საკალათბურთო ტურნირი, რომელიც კლუბ „მორკინალის" ინიციატივით გაიმართა. შეჯიბრება 25 თებერვალს დაიწყო და მასში 24 საჯარო სკოლა ჩაერთო. საინტერესოა, რომ ვაჟთა ტურნირში ერთი ქალთა გუნდიც მონაწილეობდა (115 სკოლა), რომელმაც ორი მატჩი მოიგო.

გუნდები 4 ჯგუფად განაწილდა, საიდანაც მეოთხედფინალში ორ-ორი საუკეთესო გავიდა. ნახევარფინალში 32-ე საჯარო სკოლამ 69-ს მოუგო, ხოლო 120-მ - 173-ს.

თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა მესამე ადგილისთვის მატჩმა, რომელიც ფრედ 33:33 დასრულდა. ოვერტაიმში კი 69-ე საჯარო სკოლამ 4:2 იმარჯვა.

მესამე ადგილისთვის შეხვედრა და ფინალი აგრარული უნივერსიტეტის დარბაზში გაიმართა. ფინალში 120-ე სკოლამ 32-ს 47:32 აჯობა. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა **ნიკა ყირიმელმა**, რომელიც საბოლოოდ ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. მეორეადგილოსანი 32-სკოლის გუნდიდან კი **ნიკა ნიშნიანიძე** გამოარჩიეს, 69-დან **- აკაკი ნუცუბიძე**, ხოლო 173-დან - **გიორგი ყეინაშვილი.**

კლუბ „მორკინალის" ვიცე-პრეზიდენტმა **გია ბეგიაშვილმა** უახლოესი მომავლის გეგმაც გაგვაცნო:

- აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობაზე შევთანხმდით და აპრილის მეორე ნახევარში ჩავატარებთ შეჯიბრებას მაგიდის ჩოგბურთში. მასში მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასების მოსწავლეები და პედაგოგები მიიღებენ მონაწილეობას. თითოეული გუნდი დაკომპლექტდება 3 მოსწავლისა და 2 მასწავლებლისგან.

დონეცკის საერთაშორისო ტურნირი

# ქართველი ჩემპიონები დონეცკიდან

თბილისის „ჰიუნდაიმ" უკრაინაში ალექსანდრ შვედჩენკოს ხსოვნის ტურნირი მოიგო. ქართულთან ერთად შეჯიბრებაში უკრაინული, რუსული და ბელარუსული გუნდები ასპარეზობდნენ. **ლაშა თოიძის** განწრთნილმა ჰიუნდაელებმა ტურნირზე ხუთივე შეხვედრაში იმარჯვეს.

გადამწყვეტი მატჩი ქართველებმა მასპინძელ „დონეცკს" მოუგეს - 54:46, რითაც 15-წლიანი ტრადიცია დაარღვიეს. რაც ეს მემორიალი იმართება, მისი გამარჯვებული მხოლოდ მასპინძელი „დონეცკი" ხდებოდა.

ქართულ გუნდს უკრაინაში ვერ გაჰყვა მწვრთნელი **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი**, რომელსაც აქილევსის მყესი გაუწყდა და გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. კალათბურთის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდა ჰიუნდაელთა თავკაცის **ლაშა თოიძის** ინტერვიუ, საიდანაც რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ.

*- ჩვენთან ერთად ალექსანდრ შვედჩენკოს მემორიალურ ტურნირში უკრაინის, ბელარუსისა და რუსეთის 6 გუნდი მონაწილეობდა: მინსკის „მინსკი", ხარკოვის „ჰადო", ვოლგოგრადის „პოვოლჟიე", დონეცკის „დონეცკი" და მოსკოვის „ზრენიგოროდი". პირველ მატჩში, 24 მარტს, მოსკოველებს დაძაბულ ბრძოლაში 57:53 მოვუგეთ. ბომბარდირი 22 ქულით ქავთარაძე გახდა, ბითაძის ანგარიშზე 16 ქულა იყო. „ხარკოვს" 52:40 მოვუგეთ, ყველაზე მეტი მაჭავარიანმა ჩააგდო - 18 ქულა. მესამე შეხვედრაში ვოლგოგრადის „პოვოლჟიეს" 47:35 ვაჯობეთ. 18 ქულა ბითაძეს ჰქონდა, 17 - ქავთარაძეს.*

*დრამატული გამოდგა „მინსკთან" დაპირისპირება. გუნდური თამაშის წყალობით „ჰიუნდაიმ" მეტოქე დაძაბულ ბრძოლაში, 3 ქულის სხვაობით, 60:57 დაამარცხა.*

*გადამწყვეტი შეხვედრა ქართველებსა და დონეცკელებს შორის გაიმართა. მასზე ლაშა თოიძე მოგვითხრობს:*

*- მეორე მეოთხედში 12 ქულას ვაგებდით, თუმცა მობილიზებისა და შეუპოვრობის ხარჯზე ღირსეული გამარჯვება მოვიპოვეთ. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ბერდია ქავთარაძე დაასახელეს, რომელმაც დონეცკელებს 28 ქულა ჩაუგდო. ბითაძემ 10 ქულა მოაგროვა, კაკუბერმა - 8, ფიფიამ - 6, მაჭავარიანმა - 2. ალექსანდრე კაკუბერმა მაყურებელთა სიმპათიის პრიზი დაიმსახურა, ხოლო გოგა ბითაძე ტანმაღალ მოთამაშეთა შორის გამოარჩიეს. თითოეულ მათგანს ფასიანი საჩუქრები გადაეცა.*

*მწვრთნელმა კიდევ ერთ საინტერესო საკითხზე ილაპარაკა:*

*- დონეცკის საკალათბურთო სკოლებში ინსტრუქტორად ჩამოსულია სერბი სპეციალისტი მიოდრო ბოიკოვიჩი, რომელმაც ჩვენი გუნდისთვის ვარჯიშის ჩატარება შემოგვთავაზა. სერბმა გვითხრა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის მეგობარია და ქართველებზე ბევრი კარგი სმენია.*

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**






ინტერვიუ ბესიკ ხამაშურიძესთან

# აია პირველობისთვის იბრძოლებს

საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ქუთაისის „აია“ ახალ სარაგბო სეზონს გაზაფხულის ტურნირზე „თიბისისთან“ შეხვედრით იწყებს. შარშანდელი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ქუთაისური გუნდიდან რამდენიმე წამყვანი მორაგბე წავიდა და „აია“ მცირედით გადახალისდა. რა ცვლილებებია გუნდში, როგორ მოემზადა იგი ახალი სეზონისთვის და რა მიზნებს ისახავს გარდამავალ შეჯიბრებაში? ამის შესახებ „აიას“ მოთამაშე მწვრთნელი **ბესიკ ხამაშურიძე** გვესაუბრა.

- სამწუხაროდ, დიდთოვლობისა და ცუდი ამინდების გამო, ტურნირისთვის გეგმის მიხედვით ვერ მოვემზადეთ. კლიმატმა ხელი ყოველნაირად შეგვიშალა. ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი კვირაა, რაც სავარჯიშოდ მოედანზე გავედით. ასეთ ვითარებაში სრულფასოვნად მომზადება შეუძლებელი იყო. თუმცა, ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ და შეძლებისდაგვარად მზადყოფნაში ვართ. ვიმუშავებთ და გუნდი თამაშიდან თამაშამდე, ნელ-ნელა ფორმაშიც ჩადგება.

**- შარშანდელი სეზონის შემდეგ რა ცვლილებები მოხდა გუნდში?**

- მიუხედავად იმისა, რომ გუნდი რამდენიმე წამყვანმა მორაგბემ დატოვა, ძირითადი ბირთვი მაინც შევინარჩუნეთ. „აიადან“ თორნიკე ძაგნიძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ირაკლი დგებუაძე და ერეკლე მეტრეველი წავიდნენ. თორნიკე ლომიძე კი საფრანგეთში, ერთ-ერთ კლუბშია გასინჯვაზე. სავარაუდოდ, იგი ამ ეტაპზე დაგვიბრუნდება და გაზაფხულის ტურნირზე „აიაში“ ითამაშებს, მაგრამ ზაფხულიდან გუნდს ისიც დატოვებს, კვლავ საფრანგეთში წავა. რაც შეეხება ახალწვეულებს, დავიმატეთ რვა ნომერი ბექა ყურაშვილი, რომელიც რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობდა და მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება აქვს. კიდევ ორი მორაგბე გიორგი ფრუიძე და შაკო შაშიაშვილი კი „აიას“ ახალგაზრდული გუნდიდან გადმოვიყვანეთ.

**- ახალწვეულები შეძლებენ გუნდიდან წასულების სრულფასოვან შეცვლას?**

- ახალგაზრდა მორაგბეებზე დიდ იმედებს ვამყარებთ. გასულ სეზონში 7 მოთამაშე გადავიყვანეთ ახალგაზრდული გუნდიდან და იმედი ყველამ გაამართლა. დარწმუნებული ვარ, ახლებიც მალე შეეწყობიან გუნდს. პერსპექტიული ბიჭები არიან და „აიას“' ახალ ენერგიას შემატებენ.

**- სამწვრთნელო შტაბში თუა ცვლილებები?**

- არა, მხოლოდ ფიზმომზადების მწვრთნელი ავთო ამყოლაძე დავიმატეთ, რომელიც ჩვენს მორაგბეებს ადრეც ეხმარებოდა. ის თავისი საქმის კარგი მცოდნეა და გუნდს გამოადგება.

**- გაზაფხულის ტურნირზე რა მიზანს ისახავთ?**

- ეს ტურნირი გვინდა ახალგაზრდების გამოსაცდელად, გუნდის ჩამოსაყალიბებლად და ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოვიყენოთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფინალში გასასვლელად არ ვიბრძოლებთ. ერთი სიტყვით, მთავარი მიზანი გუნდის ჩამოყალიბებაა, პარალელურად კი შედეგზეც ვიზრუნებთ.

**- მეტოქეებზე რას იტყვით, საინტერესო და კონკურენტული იქნება ეს გათამაშება?**

- ჩვენს ჯგუფში ყველაზე ძლიერი მეტოქე აშკარად „ლოკომოტივია“. „ყოჩები“ გასული წლის თასის გათამაშების ფინალისტია და ხელწამოსაკრავი მეტოქე არაა. „ხარებთან“ „ჯიქებთან“ და „თიბისისთანაც“ ყურადღებით გვმართებს თამაში, თუ წარმატების მიღწევა გინდა, ყველა მეტოქე უნდა დააფასო. გარდამავალ ტურნირს სხვებიც ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოიყენებენ. შარშანდელივით ძლიერი გუნდი ეყოლება „არმიას“, როგორც ვიცი, საკმაოდ გაძლიერებულია „ლელო“ და სწორედ ეს გუნდები იქნებიან ჩვენი ძირითადი კონკურენტები. ვფიქრობ, საინტერესო თამაშები გველოდება. ხოლო თუ ვინ როგორ ფორმაშია და რისი ძალა შესწევს, ამას უშუალოდ შეხვედრები დაგვანახებს.

**- პირველ მატჩში „თიბისის“ ფოთში, მალთაყვას სტადიონზე მასპინძლობთ, ქუთაისში რატომ არ ხერხდება ამ თამაშის ჩატარება?**

- ქუთაისში, „დინამოს“ სტადიონზე, სადაც საშინაო შეხვედრებს ვატარებთ, მოედნის საფარის მოწესრიგება მიმდინარეობს. 23 კვირა კიდევ მოვიცდით და „დინამოს“ შემდეგ დავუბრუნდებით. „თიბისისთან“ ფოთში ვითამაშებთ, შემდეგ გასვლა გვექნება რუსთავში, მერე აღდგომის კვირეულიც მოვა, ამ დროს შეჯიბრებაში პაუზაა. ამასობაში ჩვენი მოედანიც ჩადგება ფორმაში და იმედია, „ყოჩებთან“ ქუთაისში ვითამაშებთ.

**- გუნდის დაფინანსებაში ხომ არ არის პრობლემები?**

- ქალაქის მერია შეგვპირდა 60 000 ლარით დახმარებას, რაც საკრებულომ უნდა დაამტკიცოს. მთავარი სპონსორი კი „კავკასუს ონლაინია“ და მჯერა, ამ მხრივ პრობლემები არ გვექნება.

**ქუთაისის აია**

პირველი ხაზი: **თორნიკე ლომიძე, ამირან წაქაძე, ზურაბ ჟვანია, მერაბ მატკავა, ტარიელ ჩხიკვაძე, ბექა არაბიძე.**

მეორე ხაზი: **გელა შალამბერიძე, გიორგი ჩიტეიშვილი, ბიძინა ჯიმშიტაშვილი.**

მესამე ხაზი: **ბექა ყურაშვილი, ირაკლი რევიშვილი, გიორგი ცირეკიძე, ლევან თხელიძე, ნოდარ მარდალეიშვილი.**

№9: **ლევან გოგია, ზურაბ თუთბერიძე.**

№10: **ზურაბ ზივიადაძე, გაგა სინაურიძე, ნიკა ჯინჭველაშვილი.**

№12-13: **ირაკლი გიორგაძე, გია ცნობილაძე, გიგლა კუხიანიძე.**

№11-14: **ბაკურ გოშაძე, გიორგი აბრამიძე, ზურაბ ძნელაძე.**

№15: **ბესიკ ხამაშურიძე.**

**B ჯგუფი**

**I ტური**

**1 აპრილი**

ლოკომოტივი-ყოჩები
ხარები-ჯიქები
აია-თიბისი

**II ტური**

**8 აპრილი**

თიბისი-ლოკომოტივი
ყოჩები-ჯიქები
ხარები-აია

**III ტური**

**22 აპრილი**

ჯიქები-ლოკომოტივი
აია-ყოჩები
თიბისი-ხარები

**IV რაუნდი**

**19 აპრილი**

ლოკომოტივი-ხარები
ჯიქები-აია
ყოჩები-თიბისი

**V ტური**

**6 მაისი**

აია-ლოკომოტივი
თიბისი-ჯიქები
ყოჩები-ხარები

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



ევროპის ჩემპიონატი, U-18



# პირველი მატჩი ევროპის ელიტაში

დღეს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, რომ ეს შეჯიბრება პირველად ტარდება და ექსპერიმენტულია. ევროპის ელიტარული ექვსი ქვეყნის 18-წლამდელთა გუნდს შარშან გამართულ შესარჩევ ტურნირში ორი საუკეთესო, საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებები დაემატნენ.

„უმცროსი ბორჯღალოსნები“ მადრიდში საფრანგეთიდან გაემგზავრნენ, სადაც „კლერმონის“ ბაზაზე საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ. ჩვენმა ნაკრებმა აქ ერთი საწვრთნელი შეხვედრა გამართა „კლერმონის“ 19-წლამდელთა გუნდთან და 17:0 მოიგო.

საქართველოს 18-წლამდელთა გუნდის მეტოქე, ინგლისის ნაკრები ამ ტურნირის ფავორიტია და ჩვენს მორაგბეებს უმძიმესი ბრძოლა მოელით. გამარჯვების შემთხვევაში მომავალი მეტოქე უელსისა და იტალიის ნაკრებებს შორის გამარჯვებული იქნება. ამავე წყვილში ხელმოცარული გვერგება მოწინაალმდეგედ, თუ ინგლისელებთან ვერას გავხდებით.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: **ბექა ფირიაშვილი (ყოჩები), ბადრი ალხაზაშვილი (აკადემია), მიხეილ ზურიკაშვილი (ხარები), ლექსო ცისკარიშვილი (არმია), ზურაბ ხარებავა (რაინდები), გიორგი მარგველანი (ივერია).**

მეორე ხაზი: **გიორგი სორდია (საფ), მიხეილ მასხარაშვილი (ჯიქები), შალვა შაშიაშვილი (აია).**

მესამე ხაზი: **საბა შუბითიძე, გიორგი გოგლიძე (ორივე-აკადემია), ვახტანგ ამირანაშვილი (ივერია), ონიეს მოგელაშვილი (ჯიქები), ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი).**

№9: **რევაზ ბროძელი (არმაზი),**

№10: **იოსებ ტუკვაძე (ყოჩები), გიორგი ტალახაძე (ხულიგანა).**

№12-13: **ნიკა ამაშუკელი (ჯიქები), გიორგი ნათელაშვილი (ხარები), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები).**

№11-14: **დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), იოსებ კიკვაძე, გიორგი ფრუიძე (აია).**

№15: **გიორგი აფციაური (არმია).**

**ევროპის ჩემპიონატი**

**30 მარტი**

საქართველო-ინგლისი, ირლანდია-პორტუგალია, უელსი-იტალია, საფრანგეთი-შოტლანდია

**3 აპრილი**

**ნახევარფინალი**

**7 აპრილი**

**ფინალი**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ექვსი ერი

# პომებს სტიუარტ ლანკასტერი უთავკაცებს

ინგლისის რაგბის კავშირმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი **სტიუარტ ლანკასტერი** იქნება, რომელთანაც ოთხწლიანი ხელშეკრულება გაფორმდება.

ლანკასტერმა „პომების“ მთავარი მწვრთნელი **მარტინ ჯონსონი** 2012 წლის დასაწყისში შეცვალა. თუმცა, ის მხოლოდ დროებით იყო დანიშნული. ლანკასტერის ხელმძღვანელობით ინგლისელებმა ექვსი ერის წლევანდელ გათამაშებაში ხუთი მატჩიდან ოთხი მოიგეს და მეორე ადგილი დაიკავეს. ეს შედეგი ბევრისთვის მოულოდნელი იყო.

ლანკასტერის კონკურენტი ცნობილი სამხრეთაფრიკელი სპეციალისტი **ნიკ მალეტი** გახლდათ. თუმცა ინგლისის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **იან რიჩიმ,** მას შემდეგ, რაც ორივეს გაესაუბრა, აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად ლანკასტერის კანდიდატურა წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის ვინაობას მარტო იან რიჩი არ წყვეტდა. შექმნილი იყო სპეციალური ჯგუფი **სერ იან მაკგიჰანის, კონორ ოშის, რიჩარდ ჰილისა** და **რობ ენდრიუს** შემადგენლობით, რომელიც „პომების“ თავკაცობის კანდიდატებს დეტალურად განიხილავდა.

ლანკასტერმა ყველასგან მაღალი შეფასება მიიღო. მას ანიჭებენ უპირატესობას თვითონ მორაგბეებიც. სტიუარტის ნაკრებში მისვლის დღიდან გუნდში ატმოსფერო სრულიად შეიცვალა. მან წინ წამოწია რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბე. **ოუენ ფარელმა** და **ბრედ ბარიტმა** კი ეროვნული გუნდის კვართი წლეულს პირველად მოირგეს.

„ძალიან ამაყი ვარ და ჩემთვის უდიდესი პატივია, ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა რომ მანდეს. ექვსი ერის გათამაშების მსვლელობისას მორაგბეები, მწვრთნელები და ნაკრების სხვა პერსონალი შესანიშნავად თანამშრომლობდა.

ახლა მთავარია, კარგად ჩაყრილ საფუძველზე კიდევ უფრო უკეთესი სახლი ავაშენოთ. 2015 წლის მსოფლიოს თასისთვის მზადება ახლავე უნდა დავიწყოთ. ერთი წამის დაკარგვაც კი არ შეიძლება.

ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს საკმაოდ სერიოზული გამოცდა ელის ივნისში, სამხრეთ აფრიკაში გასამართ ტურნეში. ამის გარდა, კიდევ 37 მატჩი გვაქვს სათამაშო, მანამდე, სანამ ჩვენს მშობლიურ მიწაზე მსოფლიოს თასის პირველ მატჩში ვიასპარეზებთ. 2015 წელს ვებ ელისის თასი ინგლისში უნდა დავტოვოთ. ეს უნდა იყოს ჩვენი მუშაობის საბოლოო მიზანი.

მინდა მადლობა გადავუხადო იან რიჩისა და კომისიის წევრებს, რომლებმაც საშუალება მომცეს, მათთვის ინგლისური რაგბის განვითარების ჩემეული ხედვა გამეცნო. ვგრძნობ, რომ ისინი მენდობიან და მომავალს იმედით შესცქერიან.

სურვილი მაქვს ნაკრებში ისევ ძველ ასისტენტებთან ერთად ვიმუშაო. გრემ რაუნტრი და ენდი ფარელი შესანიშნავი სპეციალისტები არიან და მათ ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.“ - თქვა სტიურატ ლანკასტერმა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1


ბაჰრეინის ავტოდრომი

# ეკლსტოუნი: ბაჰრეინში მივდივართ

## საფრანგეთი დიდ ცირკს უბრუნდება

გუშინ ლონდონში, სამეფო საავტომობილო კლუბში გაიმართა შეხვედრა ბაჰრეინის გრანპრის ორგანიზატორებს, ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერ **ბერნი ეკლსტოუნს**, გუნდების წარმომადგენლებსა და ბრიტანეთის გამოცემათა ჟურნალისტებს შორის. ლაპარაკი იყო ბაჰრეინში დღეს არსებულ სიტუაციასა და იქ მომავალი ეტაპის ჩატარებაზე.

შეხვედრას ბაჰრეინის მხრიდან ესწრებოდა რბოლის აღმასრულებელი დირექტორი შეიხი **სალმან ბინ ისა ალ-ჰალიფა, ფრენკ უილიამსი, მარტინ უიტმარში, კრისტიან ჰორნერი, ნიკ ფრაი, პოლ ჰემბრი** და სხვები.

შეხვედრის შემდეგ ეკლსტოუნმა შემდეგი განაცხადა: *"რბოლა ჩატარდება და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ პრობლემა არ წარმოიშვება. მე არ მჭირდება პირადი უსაფრთხოების გარანტიები, მაგრამ ვიცი, რომ ყველა საჭირო ზომა მიღებულია.*

*დემონსტრანტებმა შეიძლება გამოიყენონ გრანპრი საკუთარი ინტერესებისთვის, მაგრამ ეს სისულელე იქნება. ბედნიერი ვიქნებით იმით, თუ გარკვეულ წვლილს შევიტანთ სიტუაციის სტაბილიზაციაში. ფორმულა 1-ის იქ ჩასვლა იმის მანიშნელები იქნება, რომ ჩვენ გვჯერა ბაჰრეინის მომავლის.*

*პოზიტიური მომენტია ის, რომ ბაჰრეინში სიტუაცია უფრო დემოკრატიულია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხალხს შეუძლია ილაპარაკოს ის, რასაც ფიქრობს ან საჯაროდ გამოხატოს თავისი უკმაყოფილება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით".*

კრისტიან ჰორნერი ("რედ ბულის" შეფი): *"ყოველთვის მოგვწონდა ბაჰრეინში გამოსვლა. ეს ეტაპი შესულია ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში, ჩემპიონატის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ რბოლა უნდა გაიმართოს და მოხარულები ვიქნებით ეტაპის ჩატარებით.*

*ჩვენ გვაქვს გარანტიები ფედერაციისგან, რომელიც კმაყოფილია იქ არსებული უსაფრთხოების ზომებით".*

■ ■ ■

გუშინ, საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა ფრანგულმა პრესამ. ვარაუდობენ, რომ დღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი **ფრანსუა ფიიონი** ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს ფორმულა 1-ის კალენდარში ფრანგული რბოლის დაბრუნების შესახებ.

ჯერჯერობით უცნობია, რა სტადიაზეა მოლაპარაკებები მხარეებს შორის, მაგრამ ამბობენ, რომ საფრანგეთმა, შესაძლოა, უკვე მომავალ წელს მიიღოს "დიდი ცირკის" ეტაპი. რბოლა პოლ რიკარის ავტოდრომზე ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში ფორმულა 1-ის ეტაპები 2008 წლიდან აღარ ტარდება.

# ორდენოსანი ჯორდანი

ფორმულა 1-ის გუნდის ყოფილმა მფლობელმა **ედი ჯორდანმა** ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მიიღო ავტოსპორტში მიღწევებისა და საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის.

64 წლის ჯორდანმა საკუთარი გუნდი 1990 წელს შექმნა. "ჯორდანის" პილოტებმა ჯამში 250 გრანპრიში მიიღეს მონაწილეობა და ხუთჯერ მიაღწიეს გამარჯვებას. 2005 წელს გუნდი კომპანია "მიდლენდმა" შეიძინა. ამჟამად მას "ფორს ინდია" ეწოდება.

*"ეს შესანიშნავი მომენტია ჩემს ცხოვრებაში,* - განაცხადა ირლანდიელმა, რომელიც BBC-ზე ტელეკომენტატორად მუშაობს. – *ძალიან მიხარია ამ ჯილდოს მიღება, მაგრამ ეს შეუძლებელი იქნებოდა ჩემი ოჯახის, "ჯორდანის" გუნდის, საქველმოქმედო ორგანიზაცია CLIC Sargent-ისა და BBC-ზე ჩემი კოლეგების დახმარების გარეშე".*

"ჯორდანი" კიდევ იმით არის ცნობილი, რომ 1991 წელს მისი ბოლიდით დებიუტი ჰქონდა მომავალში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ **მიხაელ შუმახერს**. ასევე "ჯორდანის" ბოლიდით სატესტო რბოლებში მონაწილეობას იღებდნენ **აირტონ სენა** და **დეიმონ ჰილი**.


ედი ჯორდანი

ოლიმპიზმი

# ყველა დროის ყველაზე დიადი შოუ

ეროვნული

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ბოლო ინსპექცია ჩაატარა ლონდონში მოახლოებული ზაფხულის თამაშების წინ.

კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგე** კმაყოფილი დარჩა ლონდონის მზადყოფნით. ბოლო შემოწმების დროს, სოკმა ვერანაირი ხარვეზი ვერ აღმოაჩინა ოლიმპიური ობიექტების მდგომარეობაში, ხოლო ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **დევიდ კემერონი** თამაშების სტუმრებს სრულ უსაფრთხოებას დაჰპირდა.

*"ლონდონი ყველა დროის ყველაზე დიად შოუს გიჩვენებთ!"* – ხმამაღლა განაცხადა პრემიერმინისტრმა. მართლაც, კემერონს აქვს სიხარულის საბაბი. ინსპექციის შემდეგ ჟაკ როგემ თქვა: *"ყველაფერი ძალიან მოგვეწონა".*


ჟაკ როგე და დევიდ კემერონი

კემერონმა თავის რეზიდენციაში, პირველ რიგში, უსაფრთხოებაზე გაამახვილა ყურადღება და აღიარა, რომ მომავალ თამაშებზე მისი მთავარი პრიორიტეტი სწორედ ეს საკითხი იქნება.

*"თამაშების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ყველაზე მასშტაბური იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში"*, - ამაყად განაცხადა ბრიტანეთის მთავრობის ხელმძღვანელმა. ოლიმპიადაზე უსაფრთხოების ორგანიზებისთვის ბრიტანეთის ხელისუფლებამ 533 მილიონი ფუნტი დახარჯა.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა შეშფოთება გამოთქვა უსაფრთხოების არასაკმარისი დონის გამო. ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა **ფილიპ ჰემონდმა** დაამშვიდა ოკეანისგაღმელი კოლეგები. მისი თქმით, ლონდონის გარეუბნებში განთავსდება "დედამიწა-ჰაერის" რაკეტები.

კემერონის თქმით, ლონდონის მთავარი პრობლემა – ტრაფიკი იქნება. მაგრამ ეს არასერიოზული პრობლემაა. *"საცობებმა იკლო,* - აღნიშნა მან. – *ბოლო პერიოდში ჩვენი გზების გამტარობამ აშკარად მოიმატა".*

*"გაქვთ თუ არა შენიშვნები უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის მხრივ?"* - ჰკითხა როგეს პრემიერმინისტრმა, რაზეც შვეიცარიელმა მოკლედ უპასუხა: *"არა".*

ლონდონის თამაშების ბიუჯეტი – 9.3 მილიარდი ფუნტია (შედარებისთვის, პეკინის ოლიმპიადის ორგანიზებისთვის 35 მილიარდი დაიხარჯა, სოჭი 2014-ის ბიუჯეტი 28 მილიარდს უდრის). კემერონმა თავისი გამოსვლის დროს არ დაივიწყა ინვესტორებისთვის მადლობის გადახდა. *"მათ შესანიშნავი სამუშაო ჩაატარეს"*, – შეაქო ინგლისური, შოტლანდიური, უელსური და ჩრდილოირლანდიური კოპანიები ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა.

შეხვედრის შემდეგ კემერონმა რეზიდენციის ბაღში ბადმინტონის თამაში გადაწყვიტა – ის ახალგაზრდა სპორტსმენებს გაეჯიბრა. როგეს ამ ბატალიებში მონაწილეობა არ მიუღია.

შეგახსენებთ, რომ ლონდონის ოლიმპიადა 27 ივლისს გაიხსნება და 12 აგვისტოს დასრულდება.

# ქორწინებები აკრძალულია




ლონდონის თამაშების მონაწილეებსა და სტუმრებს აკრძალული ექნებათ ოლიმპიადის მსვლელობისას ქორწინება და ბრიტანეთის მოქალაქეობაზე პრეტენზიის გამოცხადება. ეს აკრძალვა ბრიტანეთის მთავრობამ იმისთვის შემოიღო, რათა ქვეყანა დაიცვას მიგრანტების სავარაუდო "შემოსევისგან", რომლებმაც, შეიძლება ფიქტობრივად დააკანონ თავიანთი ურთიერთობები ბრიტანეთის ტერიტორიაზე და შემდეგ პრეტენზია გამოაცხადონ ქვეყნის მოქალაქეობაზე. დაახლოებით 20 ათასი ადამიანი არაევროკავშირის ქვეყნებიდან ექვსთვიან ვიზას მიიღებს, რომელშიც პირდაპირ იქნება აკრძალული ქორწინებაში შესვლა ან ნებისმიერი სამოქალაქო პარტნიორობა. ბრიტანეთში შიშობენ, რომ თამაშების დროს ქვეყანა ძალიან ღია იქნება ემიგრანტებისა და ტერორისტებისთის.

გასულ წელს, 16 წლის ორი კამერუნელი, რომელიც მანჩესტერში ახალგაზრდულ ტურნირებში მონაწილეობისთვის ჩავიდა, პირდაპირ აეროპორტიდან "აორთქლდა". იმავე მანჩესტერში, თანამეგობრობის თამაშებზე მთლიანად "დაიკარგა" სიერა ლეონეს ნაკრები.

ბრიტანეთის სასაზღვრო სააგენტომ უკვე მიაწოდა 204 ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თამაშების ყველა სტუმარმა უნდა წარმოადგინოს დამამტკიცებელი საბუთი იმის შესახებ, რომ ის ნახევარ წელზე მეტხანს არ დარჩება გაერთიანებულ სამეფოში, არ დაიწყებს იქ ჯამაგირზე მუშაობას და არ დაარეგისტრირებს ქორწინებას. გარდა ამისა, აუცილებელია სტუმარმა წარმოადგინოს საკუთარი ფინანსური გარანტიები და უკან დასაბრუნებელი ბილეთი.

კრივი

# კლიჩკო ოქროს იძლევა

დღეს სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონები, უკრაინელი ძმები **ვლადიმერ** და **ვიტალი კლიჩკოები** კიევში საქველმოქმედო აუქციონს ჩაატარებენ, რომლის ერთ-ერთი მთავარი ლოტი ქნება უმცროსი კლიჩკო'ა – ვლადიმერის მიერ 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე მოგებული ოქროს მედალი.


კლიჩკო ატლანტაში


გარდა ამისა, აუქციონზე გამოიფინება მსოფლიოში ერთადერთი ნახატი, რომელიც საკრივო ორთაბრძოლის დროს პირდაპირ არენაზეა შესრულებული. ცნობილმა გერმანელმა ფერმწერმა **არმინ ფლოსდორფმა** ტილოზე გადმოიტანა თავისი ემოციები 3 მარტს, დიუსელდორფში გამართული ბრძოლის დროს, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ ვლადიმერ კლიჩკო და **ჟან-მარკ მორმეკი**. მხატვარმა ტილოს შექმნა ოთხ რაუნდში მოასწრო. სწორედ ამდენ ხანს გრძელდებოდა შეხვედრა, რომელიც ფრანგი მოკრივის ნოკაუტით დასრულდა.

კიდევ ერთი ლოტი იწვევს ინტერესს. ეს არის გოლფის თამაში შოტლანდიაში სენტ-ენდრიუსის უძველეს სამეფო კლუბში. ამ ლოტის მფლობელი გოლფს ითამაშებს ვლადიმერ კლიჩკოსთან ერთად მსოფლიოში უძველეს მოედანზე.

აუქციონზე დაახლოებით 150 სტუმარს ელიან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## უცხოური სპორტი

**ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი**

# რეინჯერსი ორმაგ ტიტულს უმიზნებს


ნეშვილი პლეი ოფშია

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა აღმოსავლეთი კონფერენციის ჩემპიონის ტიტულისკენ "ნიუ იორკ რეინჯერსმა". გუშინ, "რეინჯერებმა" სტუმრად დაამარცხეს "ვინიპეგი" და ხუთი ქულით გაუსწრეს უახლოეს მდევარ "პიტსბურგს", თუმცა ამ ბრძოლაში ერთით მეტი თამაში აქვთ ჩატარებული.

"ვინიპეგი" მეორე პერიოდში 2:0-ს იგებდა, მაგრამ სტუმრებმა ამავე 20-წუთეულში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მესამე პერიოდში კი გოლებს მხოლოდ "რეინჯერსი" იტანდა - 4:2. სტუმართაგან სამმა ჰოკეისტმა დააგროვა ორი ქულა – 1+1 ჰქონდათ **დელ ზოტოსა და ბოილს, გაბორიკმა** კი ორი საგოლე პასი მიითვალა.

"ვინიპეგმა" ამ წაგებით პრაქტიკულად დაკარგა პლეი ოფში მოხვედრის შანსი – მისი ჩამორჩენა მერვე ადგილზე მყოფ "ბაფალოსთან" 8 ქულას შეადგენს.

რაც შეეხება "რეინჯერსს", მას მთლიანად რეგულარულში პირველობის კარგი შანსი აქვს, რადგან ქულებით გაუთანაბრდა დასავლეთის ლიდერ "სენტ ლუისს". ამ გუნდებს 5-5 მატჩი დარჩათ ჩასატარებელი რეგულარულის ბოლომდე.

"ანაჰაიმმა" პრაქტიკულად დაკარგა პლეი ოფის მოხვედრის შანსი, მაგრამ მაინც მონდომებით ითამაშა და სატურნირო მდგომარეობა გაუუარესა "სან ხოსეს". "იხვების" რიგებიდან გამარჯვების გოლის ავტორი გახდა "ანაჰაიმის" სუპერვეტერანი **ტეემუ სელიანე**. ლეგენდარულმა ფინელმა 25-ე შაიბა გაიტანა და ეს ზღვარი მან მეთექვსმეტედ გადალახა თავის ბრწყინვალე კარიერაში.

დღის პირველი ვარსკვლავი გახდა "ვანკუვერის" მეკარე **კორი შნაიდერი**. "კენქასმა" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო საფეხბურთო ანგარიშით – 1:0. ორი დღის წინ კანადელებმა "ლოს ანჯელესი" დაამარცხეს, ახლა კი "კოლორადოს" არ გაატანინეს. კორი შნაიდერმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა – 43 დარტყმა მოიგერია და სეზონში მესამე შათაუტი ჩაიწერა აქტივში. ერთადერთი გოლი კი "ვანკუვერმა" პირველი პერიოდის ბოლოს გაიტანა, როცა **ჰიგინსი** რიცხობრივი უმცირესობისას გაიქცა და გამოიყენა იმპროვიზირებული ბულიტი.

"დალასის" ფორვარდმა მაიკლ რაიდერმა "ედმონტონთან" მატჩში სამი ქულა (2+1) დააგროვა და თავის გუნდს მოაგებინა. ამ მატჩის შემდეგ, რაიდერი 35 გოლით რეგულარულის სნაიპერთა ტოპ-ათეულში შევიდა.

"ლოს ანჯელესი" და "კალგარი" პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტები არიან და მათ მატჩამდე სხვაობა მხოლოდ ერთი ქულა იყო "მეფეების" სასარგებლოდ. კალიფორნიელთა გამარჯვების მიზეზი გახდა "კინგზის" მეკარის **ჯონათან კუიკის** კარგი თამაში, რომელმაც ყველა დარტყმა მოიგერია. თუმცა "კალგარის" დარტყმების ძირითადი ნაწილი შორი მანძილიდან განხორციელდა, რამაც კუიკს საქმე გაუადვილა. ამ მეკარისთვის ეს მეცხრე შათაუტია სეზონში და ამ მაჩვენებლით ის გაუთანაბრდა ლიდერს – **ბრაიან ელიოტს** "სენტ ლუისიდან". კუიკის დამაჯერებელი თამაში მის პარტნიორებს გადაედოთ და მათ სამი უპასუხო შაიბის გატანა შეძლეს.

გასული დღის კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა ის იყო, რომ პლეი ოფში თამაში გაინაღდა "ნეშვილმა". მას ამ დღეს არ უთამაშია, მაგრამ სხვა მატჩები "მტაცებლებისთვის" სასურველი ანგარიშით დასრულდა.

**ბარი ტროტცის** გუნდმა ბოლო რვა სეზონში მეშვიდედ მოიპოვა სტენლის თასზე თამაშის უფლება.

**ვინიპეგი–ნიუ იორკი 2:4**

**0:0, 2:2, 0:2**

**გოლები:** 1:0 მაჩალეკი-2 (მაქსველი-5, მ. სტიუარტი-10), 2:0 ლიტლი-23 (ველერი-44, ლედი-21), 2:1 დელ ზოტო-8 (კელეჰანი-25), 2:2 კელეჰანი-28 (გაბორიკი-32, დელ ზოტო-30), 2:3 ბ. ბოილი-9 (ფედოტენკო-9, მაკდონაჰი-24), 2:4 სტეპანი-17 (გაბორიკი-33, ბ. რიჩარდსი-37).

**კოლამბუსი–დეტროიტი 4:2**

**2:1, 2:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 პროსპალი-14 (ნეში-26), 2:0 დორსეტი-11 (რ. იოჰანსენი-11), 2:1 ზეტერბერგი-22 (დაციუკი-45, ჰოლმსტრიომი-12), 3:1 ბრასარი-14 (ნიკიტინი-22, უმბერგერი-19), 4:1 უმბერგერი-15 (ატკინსონი-3, ნიკიტინი-23), 4:2 კრონვალი-15 (ლიდსტრიომი-23, დაციუკი-46).

**კალგარი–ლოს ანჯელესი 0:3**

**0:1, 0:1, 0:1**

**გოლები:** 0:1 უ. მიტჩელი-5 (კოპიტარი-42, ვოინოვი-12), 0:2 დ. ბრაუნი-20 (კოპიტარი-43, დაუტი-26), 0:3 ჯასტინ უილიამსი-19.

**ედმონტონი–დალასი 1:3**

**0:1, 0:1, 1:1**

**გოლები:** 0:1 რაიდერი-34 (რიბეირო-43, რობიდასი-17), 0:2 რიბეირო-18 (ლ. ერიქსონი-43, რაიდერი-27), 0:3 რაიდერი-35 (რიბეირო-44, ლ. ერიქსონი-44), 1:3 ჰემსკი-10 (რ. სმიტი-27, პოტერი-17),

**ვანკუვერი–კოლორადო 1:0**

**1:0, 0:0, 0:0**

**გოლი:** 1:0 ჰიგინსი-16 (პალსონი-13).

**ანაჰაიმი–სან ხოსე 3:1**

**0:0, 1:1, 2:0**

**გოლები:** 1:0 რაიანი-28 (სმიტ-პელი-4, ბონინო-12), 1:1 ქლოუ-15 (კუტური-30), 2:1 სელიანე-25 (სბისა-18, ს. კოივუ-24), 3:1 პერი-36.

# ბელარუსს ჩემპიონატს ართმევენ

ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციას, ჩამოართვას ბელარუსს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება. ასეთი გადაწყვეტილება პარლამენტარებმა იმ მიზეზით მიიღეს, რომ ბელარუსში პოლიტიკური პატიმრები ჰყავთ და ამ ქვეყანაში ხშირად ირღვევა ადამიანთა უფლებები.

დეპუტატებმა მოუწოდეს ევროკავშირის ქვეყნების ჰოკეის ფედერაციებს, რათა მათ ზეწოლა განახორციელონ საერთაშორისო ფედერაციაზე. შედეგი უნდა იყოს ამა წლის მაისში, ჰელსინკიში გასამართი კონგრესის სხდომაზე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის სხვა ქვეყანაში გადატანა, თუ, რა თქმა უნდა, იქამდე ბელარუსმა არ გაათავისუფლა ყველა პოლიტიკური პატიმარი.

ცნობილია, რომ გასულ კვირას ევროსაბჭომ ბელარუსთან მიმართებაში სანქციების გამკაცრების გადაწყვეტილება მიიღო. ახალი სანქციების მიხედვით, შეზღუდვები დაუწესდათ მთელ რიგ მსხვილ ბელარუს ბიზნესმენებს, რომლებიც დაახლოებულნი არიან რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. მათ ეკრძალებათ ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში ჩასვლა, ყადაღა დაედო მათ აქტივებს ევროპის ბანკებში.


ლუკაშენკო ჰოკეის გარეშე რჩება

მსოფლიოს ჩემპიონატის ჩამორთმევის პერსპექტივაზე საუბრისას ბელარუსის პრეზიდენტმა **ალექსანდრ ლუკაშენკომ** განაცხადა, რომ ევროსაბჭოს ამგვარი გადაწყვეტილება სერიოზულ ზიანს მიაყენებს ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის იმიჯს. *"ეს წმინდა წყლის პოლიტიზირებული პროცესია და მას სპორტთან არანაირი კავშირი არ აქვს"*, - ამბობს პრეზიდენტი. მისი თქმით, *"ბელარუსმა დაიმსახურა ეს ჩემპიონატი"*.

ხუთშაბათს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბელარუსის მთავრობა პირობას იძლევა - მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატისთვის შეწყდება ოპოზიციის შევიწროება. ამ ინფორმაციის წყარო საერთაშორისო ფედერაციის ჩინოვნიკი **კალერვო კუმოლა** გახლავთ. მანვე იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ჩემპიონატის ორგანიზების უფლება არა დიქტატორ ლუკაშენკოს, არამედ ბელარუსის წარმატებულ ნაკრებს მიანიჭეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**ცხელი ხაზი**

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევროპის ლიგა** | |
| **1/4 ფინალი. I მატჩები** | |
| ატლეტიკო-ჰანოვერი | 2:1 |
| ალკმაარი-ვალენსია | 2:1 |
| შალკე-ბილბაო | 2:4 |
| სპორტინგი-მეტალისტი | 2:1 |
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 17** | |
| შვეიცარია-იტალია | 1:2 |
| შვედეთი-საფრანგეთი | 1:3 |
| ბელარუსი-ჩეხეთი | 0:0 |
| ლუქსემბურგი-პოლონეთი | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ინტერი-ჰიკ | 2:2 პენ. 3:4 |
| **რუმინეთის თასი** | |
| დინამო-გაზ მეთანი | 1:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლუდოგორეცი-ჩერნო მორე | 0:2 |
| ლიტექსი-ლევსკი | 1:0 |
| ჩერნომორეცი-სვეტკავიცა | 6:0 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| იაბლონეცი-ზლინი | 5:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| **1/4 ფინალი. IV მატჩი** | |
| მაკაბი-პანათინაიკოსი | 69:78 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ტრაქტორი-ავანგარდი | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| კლაგენფურტი-ლინცი | 1:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტრენჩინი-სლოვანი | 2:6 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 1:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მაიამი** | |
| ფიში-მონაკო | 1:6, 3:6 |
| **WTA. მაიამი** | |
| ვოზნიაცკი-შარაპოვა | 6:4, 2:6, 4:6 |

**TV პროგრამა**

**30 მარტი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. შალკე-ბილბაო. პირველი მატჩი.
**14:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. ალკმაარი-ვალენსია. პირველი მატჩი.
**16:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. ატლეტიკო-ჰანოვერი. პირველი მატჩი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ბარსელონა.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**00:30** იტალიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ბორდო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-დალასი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-ბოლონია.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ირლანდია.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**19:50** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-დალასი.
**22:05** NBA Action.
**22:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შტუტგარტი (LIVE).
**00:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი. IV მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
**14:00** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰანოვერი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ოკლაჰომა.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 2 | 19 |
| ქუთაისი | 4 | 19 |
| ბათუმი | 7 | 17 |
| ფოთი | 6 | 18 |
| ზუგდიდი | 4 | 18 |
| გორი | -2 | 18 |
| თელავი | 0 | 19 |
| ბაკურიანი | -8 | 6 |
| გუდაური | -10 | 3 |
| მესტია | -5 | 7 |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2055 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6524 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6313 |
| 100 რუსული რუბლი | 5.6814 |

**კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი**

**შარლოტი–მინესოტა 83:88**

**21:24, 26:21, 18:23, 18:20**

**შ:** მაგეტი (22), უოკერი (20), ჰენდერსონი (15+6 მოხსნა), უაიტი (14).

**მ:** ლავი (40+19 მოხსნა), რიდნური (15+14 პასი), ტოლივერი (11+11 მოხსნა).

**კლივლენდი–დეტროიტი 75:87**

**23:21, 21:28, 17:19, 14:19**

**კ:** ირვინგი (22+9 მოხსნა+6 პასი), ჯეიმისონი (17+3 დაფარება), ტომპსონი (9+11 მოხსნა+3 დაფარება).

**დ:** პრინსი (29+8 მოხსნა), ნაიტი (16+5 პასი), მაქსიელი (12+9 მოხსნა+3 დაფარება), მონრო (8+10 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი–ინდიანა 100:84**

**25:22, 24:21, 20:24, 31:17**

**ნ-ჯ:** უილიამსი (30+9 პასი), ბრუქსი (17), გრინი (14+3 ჩაჭრა), ჰემფრიზი (12+8 მოხსნა), უოლასი (10+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა).

**ი:** ჯორჯი (22), ჰენსბრო (13), უესტი (12+6 მოხსნა).

**ატლანტა–ჩიკაგო 77:98**

**23:21, 19:33, 18:22, 17:22**

**ა:** სმიტი (19+7 მოხსნა), ტიგი (13+8 პასი), ჯონსონი (12+6 პასი), უილიამსი (10+5 მოხსნა), ფაჩულია (7+10 მოხსნა).

**ჩ:** დენგი (22), ბუზერი (20+9 მოხსნა), გიბსონი (19+6 მოხსნა), ნოა (10+8 მოხსნა), ლუკასი (10+5 პასი).

**კლიპერსი–ფინიქსი 103:86**

**24:27, 19:14, 31:23, 29:22**

**კ:** გრიფინი (27+14 მოხსნა+5 პასი), პოლი (15+15 პასი+5 მოხსნა), ბატლერი (14), ჯორდანი (13+6 მოხსნა).

**ფ:** გორტატი (23+7 მოხსნა), ფრაი (16+7 მოხსნა), დადლი (10), ბრაუნი (10+5 მოხსნა), ლოპესი (10), ნეში (1+15 პასი).

**ტორონტო–დენვერი 105:96**

**27:22, 28:31, 30:32, 20:11**

**ტ:** ბარნიანი (26+5 მოხსნა), დეროზანი (17+5 მოხსნა+5 პასი), კლეიზა (15), ფორბსი (11+10 მოხსნა), კალდერონი (10+10 პასი).

**დ:** ლოუსონი (26+9 პასი), აფლალო (15), ჩენდლერი (13+8 მოხსნა), ჰარინგტონი (11+7 მოხსნა), ფარიდი (10+5 მოხსნა).

**ნიუ იორკი–ორლანდო 108:86**

**25:29, 32:12, 33:18, 18:27**

**ნ-ი:** ენტონი (25+6 პასი+5 მოხსნა), შუმპერტი (25+7 მოხსნა), ნოვაკი (16), სმიტი (12), დევისი (11+7 მოხსნა+6 პასი).

**ო:** ნელსონი (17), რედიკი (15), ჰოვარდი (12+5 მოხსნა), დევისი (10+6 მოხსნა).

**ბოსტონი–იუტა 94:82**

**18:21, 28:14, 20:26, 28:21**

**ბ:** გარნეტი (23+10 მოხსნა), პირსი (20+6 მოხსნა), ბასი (19), რონდო (6+14 პასი).

**ი:** ჰეივორდი (19+7 მოხსნა+5 პასი), ჯეფერსონი (18+12 მოხსნა+3 დაფარება), მილსეპი (16+7 მოხსნა).

**საკრამენტო–სან ანტონიო 112:117**

**22:27, 27:26, 29:28, 34:36**

**საკ:** ტომასი (28+10 პასი), კაზინსი (25+11 მოხსნა), ტორნტონი (18), ტომპსონი (15+7 მოხსნა).

**ს-ა:** ჯინობილი (20+5 პასი), ლეონარდი (19+9 მოხსნა), დანკანი (18+8 მოხსნა), ნილი (13), პარკერი (10+10 პასი+7 მოხსნა).

**გ. სტეიტი–ნიუ ორლეანი 87:102**

**24:27, 16:30, 25:24, 22:21**

**გ-ს:** ლი (28+7 მოხსნა+5 პასი), ტომპსონი (13), რაიტი (12), რაში (12).

**ნ-ო:** ბელინელი (22+6 პასი+3 ჩაჭრა), ლენდრი (20+8 მოხსნა), ჯეკი (20+9 პასი), სმიტი (12+6 მოხსნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. მაიამის ტურნირი



აზარენკა მარცხის შემდეგ

# აზარენკა ოცდამეშვიდეზე შეაჩერეს

მაიამიში მკვეთრად შემცირდა ერთეულთა თანრიგში მატჩების რაოდენობა. გუშინ განრიგში მხოლოდ ოთხი შეხვედრა ეწერა: ქალები ასრულებდნენ მეოთხედფინალურ სტადიას, მამაკაცები კი ამავე რაუნდს იწყებდნენ.

ცენტრალურ კორტზე დღის პროგრამას **ვენუს უილიამსი** და **აგნიეშკა რადვანსკა** ხსნიდნენ. ერთი დღით ადრე უმცროსმა უილიამსმა – **სერენამ** ფავორიტის რანგში დათმო შეხვედრა **კაროლინ ვოზნიაცკისთან**, ამ შემთხვევაში კი უფროსი უილიამსი აუტსაიდერად იყო მიჩნეული. ვენუსი მხოლოდ ახლა ბრუნდება ტურში და ჯერ შორს არის ოპტიმალური ფიზიკური და სპორტული ფორმისგან. რაც შეეხება აგნიეშკას, მეოთხედფინალამდე ყველაზე დამაჯერებელი გზა, ალბათ, მან გაიარა.

აგნიეშკამ დასაწყისშივე გააკეთა ბრეიკი, თუმცა ვენუსმა იქვე აჩვენა, რომ სერიოზულად არის განწყობილი და ანგარიში გაათანაბრა. პოლონელი ბევრს არბენინებდა მეტოქეს, მოძრაობა კი დღეს ამერიკელის ყველაზე სუსტი წერტილია. თუმცა ვენუსს თამაშზე საკუთარი გეგმა ჰქონდა. სეტის შუაში მან მოუხშირა ბადესთან გასვლას, რამაც პოლონელს შესამჩნევი პრობლემები შეუქმნა. მაგრამ ცნობილია, რომ რადვანსკა ტაქტიკურად კარგად არის მომზადებული, ამიტომაც გარკვეული დროის შემდეგ გასაღები მოუნახა მეტოქის თამაშს და დაიბრუნა ინიციატივა. აგნიეშკას სეტზე ჩაწოდებისას ვენუსს ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ პოლონელმა სამი ბრწყინვალე მოწოდება შეასრულა, რომელთაგანაც ორი ეისი იყო. მეორე სეტში ბრძოლა არ გამოვიდა, რისი მიზეზიც ამერიკელის მხრიდან ბევრი შეცდომა იყო. აგნიეშკამ კი თავისი დონე შეინარჩუნა – 6:4, 6:1.

ამ სეზონში პოლონელს მხოლოდ ერთ ჩოგბურთელთან – **ვიქტორია აზარენკასთან** აქვს წაგება, თანაც ოთხჯერ. თავად ბელარუსი კი 2012 წელს წაუგებლად თამაშობდა და მისი მოგებათა სერია 26 მატჩს ითვლიდა. რა თქმა უნდა, **ნოვაკ ჯოკოვიჩის** შარშანდელ შედეგამდე (სეზონის სტარტზე ზედიზედ 43 მოგება) ჯერ შორი იყო, თანაც, ქალთა ჩოგბურთში ლიდერებს უფრო ხშირად აქვთ ჩავარდნები, ვიდრე მამაკაცებს. ვიქტორიასთვის საგანგაშო სიგნალი იყო წინა წრის მატჩი **დომინიკა ციბულკოვასთან**, რომელიც აზარენკამ 1:6, 0:4-დან მოიგო. იმ თამაშში იგრძნობოდა მსოფლიოს პირველი ჩოგანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაღლილობა.

მეოთხედფინალში აზარენკა **მარიონ ბარტოლის** ეთამაშებოდა, რომელმაც მხოლოდ სამი გეიმი დათმო **მარია კირილენკოსთან** მატჩში. ფრანგმა პირველივე გეიმებიდან კარგი თამაში აჩვენა, რასაც ვერ ვიტყვით აზარენკაზე. ბელარუსი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, სუფთად მოგებული ქულები კი მინიმალური ჰქონდა. ბელარუსი თამაშში მხოლოდ 0:4-ის შემდეგ შევიდა. შეამცირა ანგარიშში სხვაობა და მეტოქეს სერიოზული ბრძოლა გაუმართა, მაგრამ ბარტოლიმ სტარტზე მოპოვებული სოლიდური უპირატესობა ბოლომდე არ გაფლანგა და სეტი გამარჯვებამდე მიიყვანა. მეორე სეტში ვიქტორიამ ბრეიკით წინ გასვლა შეძლო, მაგრამ დიდი ხნით უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. მარიონმა 1:3-ზე ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო – 6:3, 6:3.

შეწყდა 26-მატჩიანი მოგებათა სერია, გარდა ამისა, ვიქტორიამ ვერ შეძლო შარშანდელი ტიტულის დაცვა. თუმცა რეიტინგში მის პირველ ადგილს ჯერ არაფერი ემუქრება. სამაგიეროდ, შვებით ამოისუნთქა აგნიეშკა რადვანსკამ. ახლა მას აღარ მოუწევს სეზონში მეხუთედ აზარენკას წინააღმდეგ თამაში.

**1/4 ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-ვენუს უილიამსი (აშშ) 6:4, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 7)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1) 6:3, 6:3.

**1/2 ფინალი**

ბარტოლი (7)-ა. რადვანსკა (5); ვოზნიაცკი (4)-შარაპოვა (2).

ჩოგბურთი. მაიამის ტურნირი

# ფავორიტებს გაუჭირდათ

მამაკაცებს შორის გუშინ ორი მატჩი იყო დაგეგმილი ტოპ-ათეულის წევრთა მონაწილეობით. დღეს კაცების ჩოგბურთში ისეთი ტენდენციაა, რომ "დიდი ოთხეულის" უპირატესობა კატასტროფულად დიდი არ ჩანს. ინდიან უელსში ნახევარფინალამდე ვერ მივიდა **ენდი მიურეი**, მაიამის მასტერსი კი ნაადრევად დატოვა **როჯერ ფედერერმა**. თუმცა ენდი მიურეიმ და **რაფაელ ნადალმა** შეძლეს ნახევარფინალში გასვლა, ოღონდ ამისთვის დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ.

რაფაელის მეტოქე **ჟო-ვილფრიდ ცონგა** იყო, რომელსაც ესპანელი ათიდან ოთხ მატჩში ჰყავდა დამარცხებული. მატჩის პირველ ნახევარში, კერძოდ კი სეტნახევრის განმავლობაში ბრძოლა თითქმის არ ყოფილა. ცონგა მხოლოდ ეპიზოდურად აჩვენებდა კარგ თამაშს, ძირითადად კი შეცდომებს უშვებდა. რაფაელმა დამაჯერებლად მოიგო პირველი პარტია და მეორეში ბრეიკით დაწინაურდა. მაგრამ სწორედ ამ მომენტში დაეუფლა ცონგა სათამაშო ინიციატივას. ნადალმა რამდენიმე ბრეიკ-პოინტი მოიგერია, მაგრამ მატჩზე ჩაწოდებისას ფრანგმა მაინც მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. ცონგამ თამაში დაიჭირა და გააგრძელა თავისი შეტევითი მოქმედებები, იმ დროს, როცა ნადალს თითქმის არაფერი გამოსდიოდა. მეორე ბრეიკის აღებით ფრანგმა მეორე სეტში გამარჯვება გაიფორმა.

მესამე სეტი დაძაბული და ლამაზი გამოვიდა, თუმცა უფრო ხშირად პუბლიკას ცონგა ართობდა. რაფაელმა ზედიზედ მეორე მატჩში ექიმი გამოიძახა კორტზე, რადგან მუხლს უჩიოდა, თუმცა წინა შეხვედრისგან განსხვავებით, მისთვის სახვევი არ დაუდიათ. ესპანელი ცდილობდა მწვავედ თამაშს, მაგრამ ხშირად მის დარტყმებს სიღრმე არ ჰყოფნიდა და ეს ფრანგს შეტევის შანსს აძლევდა.

შესაძლოა, ცონგას თამაშში მეტი პრაგმატულობა და აკადემიზმი რომ გვენახა, მას მოეხერხებინა კიდეც ამ მატჩის მოგება, მაგრამ ჟო მუდმივად რაღაცას იგონებდა და ხშირად ეს მისთვის წარუმატებლობით მთავრდებოდა. ცონგამ რამდენიმე ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, სეტის ბოლოს კი საკუთარი მოწოდება წააგო. მეტოქის მოწოდებაზე ფრანგმა დიდი ბრძოლა მოაწყო, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც ნადალს დარჩა – 6:2, 5:7, 6:4.

მიურეისა და **იანკო ტიპსარევიჩის** შეხვედრა ნაკლებად სანახაობრივი გამოვიდა, მაგრამ დაძაბულობა აქაც იყო. პირველ პარტიაში რამდენიმე ბრეიკი ვიხილეთ, რალაც მომენტში წინ ენდი გაიჭრა, მაგრამ შოტლანდიელმა ჩააგდო სეტის ბოლო ნაწილი. იანკო კარგად იყენებდა მეტოქის უზუსტობებს და თავადაც კარგად მოქმედებდა შეტევაში. პირველი სეტის მოგების შემდეგ, სერბმა მეორე პარტია ბრეიკით დაიწყო. ამ მომენტში მიურეიმ კორტზე ექიმი გამოიძახა და მცირე პაუზამ ბრიტანელს გონზე მოსვლის საშუალება მისცა. თანდათან ენდიმ იპოვა თავისი თამაში, გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი რამდენიმე რთული გეიმი აილო. მესამე სეტში სერბის მოქმედებაში დაღლილობა შეინიშნებოდა. მან დაკარგა კონცენტრაცია და მართალია, ბოლოს ბრეიკ-პოინტიც მიიღო, მაგრამ მიურეის გადამწყვეტ მომენტში მოწოდებამ უშველა – 4:6, 6:3, 6:4.

**1/4 ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 9) 4:6, 6:3, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6) 6:2, 5:7, 6:4.



ენდი მიურეი

## ამბები

ჩოგბურთი

### კიმი ოთხ კვირას გამოტოვებს

სააგენტო AP-ის ინფორმაციით, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** ბარძაყის კუნთის დაზიანების გამო ოთხ კვირას გამოტოვებს.

როგორც იცით, ბელგიელმა ჩოგბურთელმა მაიამიში მიმდინარე ტურნირზე მესამე წრეში წააგო თანამემამულე **იანინა ვიკმაიერთან** და სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა სამედიცინო შემოწმების გავლა.

ვარაუდობენ, რომ კლაისტერსი პროფესიულ ტურს მადრიდის ტურნირისთვის დაუბრუნდება, რომელიც ესპანეთის დედაქალაქში 4-13 მაისს ჩაივლის.

შეგახსენებთ, რომ კიმი ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ აპირებს კარიერის დასრულებას.

ფორმულა 1

### შუა თითი არ ისჯება

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ უარყო ორი დღის წინ, გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი**, შესაძლოა, მკაცრად დაისაჯოს იმ უხამსი ჟესტის გამო, რომელიც მან ინდოელი **ნარაიან კართიკეიანის** მისამართით გამოიყენა, კერძოდ, "რედ ბულის" პილოტმა ორჯერ შუა თითი უჩვენა კართიკეიანს. შეგახსენებთ, რომ რბოლის ბოლო ნაწილში HRT-ის პილოტი უკნიდან შეეჯახა ფეტელს, რითაც მას უკანა საბურავი დაუზიანა. ამის გამო გერმანელი მეოთხედან მე-12 ადგილამდე დაქვეითდა და ქულების გარეშე დარჩა.

*"რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ასეთი საქმეებით ამა თუ იმ გრანპრის სტიუარდები უნდა იყვნენ დაკავებული. მათ კი არანაირი სანქცია არ გამოიტანეს, ასე რომ, საქმე დახურულია"*, - განაცხადა ფედერაციის პრესმდივანმა.

ბეისბოლი

### ლონდონში MLB ჩავა

ამერიკის პროფესიული ბეისბოლის ლიგის (MLB) ხელმძღვანელობა აპირებს რეგულარული სეზონის ერთი მატჩი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში, ოლიმპიურ სტადიონზე ჩაატაროს.

MLB-ის ბოსები დიდი ხანია ეძებენ არენას ევროპაში, რომელიც დააკმაყოფილებს ბეიბსოლის მატჩების ჩატარებისთვის საჭირო მოთხოვნებს. ლიგის საერთაშორისო წარმომადგენელმა **კლაივ რასელმა** განაცხადა, რომ მან უკვე აწარმოა მოლაპარაკებები ბრიტანულ მხარესთან.

ლონდონის სტადიონის ალტერნატივა შეიძლება გახდეს ჰოლანდიის ქალაქ სჰიპჰოლის არენა, რომელიც ამ ეტაპზე მშენებლობის პროცესშია.

კალათბურთი

### ამარემ ერთი თვე უნდა დაისვენოს

"ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდმა **ამარე სტაუდმაიერმა** ტრავმირებულ ზურგზე დაწვრილებითი სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა. ექიმებმა ხერხემლის ერთი მალის ანთება დაადგინეს.

ვარაუდობენ, რომ ნიუიორკელთა ერთ-ერთი ლიდერის მწყობრში ჩადგომას ორი-ოთხი კვირა დასჭირდება. ოპერაცია საჭირო არ არის და კალათბურთელს ნემსებით უმკურნალებენ. შეგახსენებთ, ამ დაზიანების გამო ამარემ რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა და იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ფორვარდი ამ სეზონში ვერ შეძლებდა მოედანზე გასვლას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

პასუხისმგებელი მორიგე: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია